პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯავლიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
27 აპრილი **სამშაბათი** 2010
№096 (13084) ფასი 60 თეთრი

# ბაიერნი დაცვის გარეშე?

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ლიონი სპეციალური პროგრამით ემზადება





დანიელ ვან ბუიტენი ტრავმირებულია

წინათქმა

>> გვერდი 6



## ქეცბაიამ მეორე ამხანაგურზე უარი თქვა

>> გვერდი 2

კონფლიქტის კვალდაკვალ

## ყველაფერი ხელფასის მოთხოვნიდან დაიწყო...



>> გვერდი 2



## მარკოიშვილი ბელგიელებსა და პოლონელებს დაერია

ლეგიონერები >> გვერდი 14



## კაშია, ქედია და ყაზაიშვილი თურქეთისკენ?

>> გვერდი 4

ეროვნული ნაკრები

# ქეცბაიას გადაწყვეტა: ამ ეტაპზე კამერუნი გვეყოფა



ბოლო რამდენიმე კვირაა, ფეხბურთის ფედერაცია აქტიურად მუშაობს ეროვნული ნაკრებისთვის სამაისო ამხანაგური მატჩებისა და მოსამზადებელი შეკრების ორგანიზებისთვის. ამის ერთ-ერთი შედეგი არის ის, რაც 25 მაისისთვის გადაწყდა - სპარინგმატჩი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე კამერუნთან, რომელიც ავსტრიის ქალაქ ლინცში გაიმართება. მანამდე (18 მაისიდან) **თემურ ქეცბაიას** სამწყსო ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში დაიწყებს მოსამზადებელ შეკრებას.

მკითხველს შევახსენებთ, რომ კომპანია „ინტერ ამერიკა სპორტის" წარმომადგენელმა **ნიკო პატარქალიშვილმა** ჩვენს ფედერაციას ამხანაგური მატჩის ჩატარების 6 ვარიანტი (ვენესუელა, პერუ, ბოლივია, კანადა, კოსტა რიკა, ჰონდურასი) შესთავაზა. ამას გარდა, პატარქალიშვილი და მისი პარტნიორები მზად არიან, ქართული მხარის სურვილისამებრ, რომელიმე დასახელებული ნაკრები ან თბილისში ჩამოიყვანონ, ან ამხანაგური მატჩი (კამერუნის შემდეგ) ავსტრიაში დაგეგმონ. მაგრამ როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** გვითხრა, ამ გეგმის თაობაზე საჭირო იყო თემურ ქეცბაიას ინფორმირება. ბუნებრივია, სწორედ მთავარ მწვრთნელს ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის ან ვისთან ურჩევნია სპარინგმატჩის გამართვა. ქეცბაიას სწორედ ამ საკითხში გასარკვევად დავუკავშირდით.

*„მომზადების გეგმა უკვე შედგენილი გვაქვს. გუნდს 18 მაისს ავსტრიაში შევკრებთ, 25 მაისს კი კამერუნის ნაკრებთან გვექნება ამხანაგური შეხვედრა. ეს ყველაფერი უკვე დაგეგმილია. მაგრამ ამავე გეგმის მიხედვით, ამ თამაშის შემდეგ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩის ჩატარება ველარ მოხერხდება. ასე რომ, მხოლოდ ერთი საკონტროლო თამაში გვექნება"*, - განაცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა „ლელოსთან" საუბარში.

ერთი სიტყვით, ამ ეტაპზე „ინტერ ამერიკა სპორტის" შეთავაზება გამორიცხულია. გამოდის, რომ 11 აგვისტომდე (სტუმრად მოლდოვასთან) საქართველოს ნაკრები მხოლოდ კამერუნთან მოსინჯავს ძალებს.

## ლე გენმა, საქართველო სუსტი არ გეგონოთო...

მოდი, კამერუნის ნაკრებზეც ვისაუბროთ. „ლომების" მთავარმა მწვრთნელმა **პოლ ლე გენმა** დუალაში პრესკონფერენცია გამართა და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების გადამწყვეტი ეტაპი გახსნილად გამოაცხადა. კამერუნელთა ფრანგმა თავკაცმა უკვე გაამხილა იმ ფეხბურთელთა ნაწილის ვინაობა, რომელთაც მუნდიალამდე დაგეგმილ ამხანაგურ შეხვედრაში გამოცდის. საბოლოო შემადგენლობას ის 11 მაისს დაასახელებს, მანამდე კი მედიასთან მზადების გეგმაზე ილაპარაკა.

ფიფას ბოლო რეიტინგში მე-20 ადგილზე (შვეიცარიასთან ერთად) მყოფი კამერუნი საქართველოსთან 25 მაისის მატჩის შემდეგ 29-ში სლოვაკეთს ეთამაშება, მუნდიალამდე ბოლო სერიოზული სპარინგი კი 1 ივნისს პორტუგალიასთან ექნება.

კამერუნის ნაკრების თაობაზე ფრანგულენოვანმა ვებგვერდმა camer-sport.be-მ საინტერესო მასალა მოამზადა. მასში ვკითხულობთ, რომ ლე გენი ძირითადად ორ ტაქტიკურ ვარიანტს - 4-1-4-1-სა და 4-3-3-ს ეყრდნობა. კამერუნელთა სავარაუდო სასტარტო შემადგენლობა კი ასეთია: **კამენი** (ესპანიოლი, ესპანეთი) - **ჟერემი** (ანკარაგიუჯუ, თურქეთი), **ნკულუ** (მონაკო, საფრანგეთი), **ჩედჯუ** (ლილი, საფრანგეთი), **ბედიმო** (ლანსი, საფრანგეთი) - **სონგი** (არსენალი, ინგლისი), **მანჟეკი** (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), **ენო** (აიაქსი, ჰოლანდია) - **ემანა** (ბეტისი, ესპანეთი), **იდრისუ** (ფრაიბურგი, გერმანია), **ეტოო** (ინტერი, იტალია).

ხსენებული პრესკონფერენციის (რომელიც footafrica365.fr-მა და lebuteur.com-მაც გააშუქეს) დროს, კერძოდ ამხანაგურ მატჩებზე საუბრისას, კამერუნელთა თავკაცმა ჩვენი ნაკრებიც მოიხსენია.

*„მსოფლიოს ჩემპიონატამდე სამ ამხანაგურ შეხვედრას გავმართავთ. სამი მეტოქიდან პორტუგალიას წარდგენა არ სჭირდება. პორტუგალიამდე სლოვაკეთს გავეჯიბრებით, რომელსაც კარგი გუნდი ჰყავს. აქვე მინდა ვთქვა, რომ არავის ეგონოს, თითქოს საქართველოს ნაკრები, რომელსაც პირველ საკონტროლო მატჩში ვეთამაშებით, სუსტი გუნდია. ამ ნაკრებშიც არა ერთი მაღალი კლასის მოთამაშეა და ვფიქრობ, საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილი სპარინგი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების უმნიშვნელოვანეს ეტაპზე სასარგებლო გამოცდა იქნება"*, - ბრძანა მუსიე ლე გენმა.

**დავით ცაბაძე**



პოლ ლე გენი

კონფლიქტის კვალდაკვალ

# ყველაფერი ხელფასის მოთხოვნიდან დაიწყო... როგორ აღმოჩნდა კუტალია პოლიტიკურ ორომტრიალში



**ლევან კუტალია საქართველოში დაბრუნდა და სარაევოს „სლავიასთან" საომრად ემზადება. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი, რომელიც ერთი კვირის წინ ბოსნიის სერბული კლუბის მოთამაშემ და მწვრთნელმა გალახეს, კლუბთან კონტრაქტის გაწყვეტასა და ახალში გადასვლას აპირებს. ლევანმა გუშინ კონფლიქტის უცნობი დეტალები გაგვიმხილა.**

**- ლევან, სარაევოელებთან შენი დავა დასრულდა?**

- დავა ახლა იწყება, დასრულებაზე ლაპარაკი ნაადრევია. ჩემმა მენეჯერმა კლუბიდან საბუთები გამოითხოვა.

**- „სლავია" კონტრაქტის გაწყვეტას თანხმდება?**

- 15 დღეა საჭირო, რათა ფიფამ კონტრაქტის გაწყვეტის საკითხი განიხილოს. ამას გარდა, კონტრაქტის ბოლომდე დარჩენილი ხელფასის ანაზღაურებასაც ვითხოვ, რადგან კლუბის დატოვება მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფის გამო მომიხდა. არადა, კონტრაქტი რვა თვის შემდეგ მიმთავრდებოდა.

**- რა დაგიმალო და ვერ ვხვდები, „სლავიას" ფეხბურთელსა და მეკარეთა მწვრთნელს ეჩხუბე და კლუბი რა შუაშია ან ოფიციალურად რა ბრალდებას უყენებ?!**

- ის, რომ საწვრთნელი პროცესის დროს მძიმე ტრავმები მივილე და კლუბმა ჩემი დაცვა ვერ უზრუნველყო.

**- ჩვენთან ინტერვიუში თქვი, რომ კბილები ჩაგიმტვრიეს, სხვაგან წავიკითხე, ცხვირი გაუტეხესო. რომელია მართალი?**

- წინა ორი კბილი და ცხვირის ხრტილი ჩამიტეხეს, პლუს ამას, ტუჩიც გამიხეთქეს. ეს იმიტომ, რომ უცხო ვიყავი და თავისიანს დაუჭირეს მხარი. გაოგნებული ვარ, „სლავიასგან" ბევრი სიკეთე მახსოვს, მაგრამ მეც არ ვყოფილვარ უქმად, ბოსნიის ჩემპიონობისა და თასის მოპოვებაში საკმაოდ დიდი წვლილი შევიტანე. რაც მე „სლავიასთვის" გავაკეთე, ამის შემდეგ მსგავს მოპყრობას ვერ წარმოვიდგენდი.

**- მწვრთნელი რაღას გერჩოდა?**

- ის არის ყველაფრის მიზეზი. ჩხუბი სად და რომელ კლუბში არ მომხდარა, მაგრამ გაგიგიათ მწვრთნელს ერთ-ერთი ფეხბურთელის მხარი დაეჭიროს?! მე „სლავიას" ერთადერთი ლეგიონერი ვიყავი და ვერ წარმოვიდგენდი, უცხო ადამიანთან ასე არაკაცურად მოქცევა თუ შეიძლებოდა. თურმე, ყველაფერი ხდება. მწვრთნელს რა უნდოდა? მოსვლისთანავე ამითვალწუნა. აღარც მაინტერესებს მათი დამოკიდებულება, ფიფა საქმეს წამოიწყებს და იმედია, „სლავია" მომხდარზე პასუხს აგებს - ჩემს პირობებს შეასრულებს. არ მინდა ახალი სკანდალი და მენეჯერიც „სლავიას" პრეზიდენტს ამაზე ელაპარაკა, ყველაფერი ადამიანურად გადავწყვიტოთ, არც შენს სახელს მიადგება ჩრდილი და ფეხბურთელიც მადლობელი დარჩებაო.

**- ...და თუ არ დაგთანხმდათ?**

- მაშინ სარაევოელებისთვის ეს ამბავი კარგად არ დასრულდება. საქმე ავტომატურად ფიფაში გადავა და მომხდარზე იმსჯელებს. ამის გასარკვევად ბოსნიის ფეხბურთის ფედერაციაში ვიყავი და მითხრეს, საქმის მოგება პრობლემა არ იქნება, თუმცა, დრო დაგჭირდებაო.

**- ლევან, ეს ყველაფერია გასაგებია, თუმცა, თავისთავად იბადება კითხვა - ასეთი რა გააკეთე, მთელი კლუბი შენს წინააღმდეგ რომ აამხედრე ფეხბურთელი, კაპიტანი და მწვრთნელი?**

- ამის წინა პირობა ჩხუბამდე კარგა ხნით ადრე შეიქმნა, რადგან „სლავია" თასისთვის იბრძოდა და გამოვვარდით. ეროვნულ პირველობაზეც ძალიან ცუდად ვითამაშეთ, ზედიზედ ორი შეხვედრა წავაგეთ და გუნდი აუტსაიდერებში დაეშვა. ბუნებრივია, გუნდში ვითარება დაიძაბა, რადგან წაგებას ყველა ერთმანეთს აბრალებდა. ამას ფინანსური კრიზისიც დაემატა - ბოლო ორი თვე ხელფას-პრემიებს ვერ ვილებდით. სხვათა შორის, ფიფაში წარსადგენ სარჩელში ამასაც ვიტყვი, რადგან ერთ თვეზე მეტხანს ხელფასის გადაუხდელობისთვის, კონტრაქტი ავტომატურად წყდება და კლუბი ვალდებულია, დანაკლისი აანაზღაუროს. უსიამოვნებები ფინანსური გაჭირვების განხილვიდანაც დაიწყო: ერთხელ გუნდის წევრებთან ვთქვი, რომ ასე გაგრძელება აღარ შემეძლო და ხელფას-პრემიების აუღებლად ვარჯიშზე არ გავიდოდი. ორჯერ ასეც მოვიქეცი. ბოიან რეგოე ამაზე გაბრაზდა და პირველი უსიამოვნება მაშინ მომივიდა - კაპიტანი ვარ და არაფერს ვამბობ, შენ რას თხოულობო?! გამიკვირდა, რადგან კაპიტანი სწორედ რომ მოთამაშეთა ინტერესს უნდა იცავდეს, მან კი პრეზიდენტის ნაცვლად მე შემომიტია. უკმაყოფილების დასაბუთებას შევეცადე - ბოიარ, შენ აქაური ხარ, ვინმეს ფულს გამოართმევ, მე კი უცხოელი ვარ და მათხოვრობას ვერ დავიწყებ-მეთქი. უსიამოვნო ლაპარაკი გვქონდა, მაგრამ ვიფიქრე, რომ ამით ყველაფერი დასრულდა და მაგრად ვცდებოდი. უსიამოვნება სხვებთანაც მქონდა და ბოლო დროს გუნდში გაჩერება აღარ შემეძლო, თანადგომის ნაცვლად, აგრესიას ვგრძნობდი, თავად ვერაფერს ბედავდნენ და ჩემი სითამამეც არ სიამოვნებდათ. ჩხუბში კი, კარგად მიხვდებით, უცხო კაცს მხარს არავინ დაუჭერს, რადგან ამით თავისიანს გაანაწყენებენ. ბოლო ოთხი თვე აუტანელი ვითარება იყო, ხშირად მეუბნებოდნენ - შენთვის აჯობებს, ცოტა მოითმინეო, მე კი არ ვიჯერებდი და სწყინდათ. მერე რჩევები აგრესიაში გადავიდა და ვგრძნობდი, ეს უკმაყოფილება ადრე თუ გვიან ამოხეთქავდა და ასეც მოხდა. თუმცა მწვრთნელისგან დარტყმას ვერაფრით წარმოვიდგენდი, ერთმანეთს მხარი აუბეს და უცხო კაცი დამჩაგრეს. სხვათა შორის, ყველაზე არასასიამოვნო ისაა, რომ ჩვენს ურთიერთობაზე რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება ცუდად აისახა.

**- რუსები სერბების მეგობრები არიან და ეს ლოგიკურიცაა...**

- ვერ ვიტყვი, ქართველებს ვერ გვიტანენ, მაგრამ რამდენჯერმე ფანებმა ძალიან ცუდად წამომაძახეს, „როსია, როსია". ნაღდად არ მესიამოვნა. ეს იმ დროს, როდესაც „სლავიას" გულშემატკივრებმა ბოსნიელი სერბების გუნდის, „ჟელეზნიჩარის" ჩემდამი დაინტერესება შეიტყვეს. მაშინ ტრანსფერი რეალური ეგონათ და არ ესიამოვნათ. სერბებისა და ბოსნიელების გუნდები ხომ ერთმანეთისადმი ძალიან ცუდ დამოკიდებულებაში არიან. სერბებს რუსეთი უყვართ, რადგან ყველანაირად გვერდში დაუდგნენ, მაგრამ ქართველებმა რა დავუშავეთ, ვერ ვხვდები. ცილს ვერ დავწამებ, თითქოს, საქართველო და ქართველები არ უყვართ, მაგრამ ხანდახან ცუდად წამომაძახებდნენ და ამის გამოც გამიჭირდა დარჩენა.

**- ჩხუბის დროს არც ერთი თანაგუნდელი არ დაგხმარებია?**

- მხოლოდ ერთი მიცავდა, რომელთანაც ვმეგობრობდი. სხვათა შორის, მხარდაჭერა ბოსნიელი ჟურნალისტებისგან ვიგრძენი, მაგათ ხომ სერბები არ უყვართ და ეტყობა, გავლენა ამან მოახდინა. მოკლედ, დიდ პოლიტიკურ ორომტრიალში ცუდად გავიჩხირე, ეს მინდონდა ახლა მე?

**- კარგი. შენს მომავალზეც ვილაპარაკოთ...**

- ჩემს მენეჯერს გერმანული, სლოვენიური, ხორვატული და უკრაინული კლუბებიდან დაურეკეს. თუმცა, კონტრაქტის გაფორმებამდე, ჯერ „სლავიას" პროცესი უნდა მოვუგო. კლუბების დასახელებას კი მოვერიდები. რამდენჯერმე ტრანსფერი გადაწყვეტილი მეგონა, იმდენჯერ საქმე აირია და წინასწარ ლაპარაკი არ მინდა.

**მერაბ მამულაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ოქროს სურნელი

უკვე მერამდენე ტურია, სატურნირო ცხრილი არ იცვლება; არ შეიცვალა ახლაც - ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩა. ჰო, ეგრეა - „ოლიმპმა“ მორიგი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ და, სხვათა შორის, იმის დიდი შანსიც არის, რომ გუნდმა ეს საპატიო ტიტული უკვე მომავალ ტურშიც მოიპოვოს! უცვლელი დარჩა ვითარება ცხრილის ქვედა ნაწილშიც - „ლოკომოტივი“ არ ეგუება აუტსაიდერის სტატუსს და „სპარტაკთან“ გამარჯვებით შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა. თუმცა, სხვაობა „გადამრჩენელ“, მერვე ადგილამდე კვლავაც იგივე დარჩა - „ლოკომოტივის“ მსგავსად, „ბაიამაც“ შეძლო უმოტივაციო მოწინააღმდეგის დამარცხება...

...და მაინც, ტური „განსაკუთრებული“ ჯერ მხოლოდ იმიტომ იყო, რომ მოქმედი ჩემპიონის სტატუსი დაკარგა „ვიტ ჯორჯიამ“. რა თქმა უნდა, ყველა ისედაც შეგუებული ვიყავით იმას, რომ „ვეტერინარები“ ზედიზედ მეორედ ჩემპიონები ვერ გახდებოდნენ - ჯერ კიდევ ამ ტურამდე ერთპიროვნულ ლიდერთან სხვაობა ხომ თექვსმეტ ქულას შეადგენდა. და აი, XXXI ტურის დე ფაქტო და დე იურე გაცხადდა, რომ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატს ახალი გამარჯვებული ეყოლება. ასევე თითქმის გარკვეულია ჩემპიონის ვინაობაც, მაგრამ, მოდი, ცოტა ხანს მოვიცადოთ - ვიდრე, ყველაფერი იურიდიულად გაფორმდება. ეს „ცოტა ხანი“ მინიმუმ ერთ კვირას, მაქსიმუმ კი ორ კვირას მოიცავს. თუმცა მოვლენებს მაინც ნუ გავუსწრებთ და ჯერჯერობით ისევ განვლილ ტურზე ვისაუბროთ...

## მითების მსხვრევა

ტურის წინათქმაშიც აღვნიშნეთ, რომ როცა ერთმანეთს „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ ხვდებიან, სიტყვა „მოტივაცია“ არ უნდა ვახსენოთ-თქო. ჰო, ასეა უკვე წლების განმავლობაში და ამ ორი დედაქალაქური გუნდის დაპირისპირება ყველაზე პრინციპულ ქართულ „დერბად“ უნდა მივიჩნიოთ. დროთა განმავლობაში ორივე გუნდში ფეხბურთელთა რამდენიმე თაობა გამოიცვალა, ასევე არაერთი მწვრთნელი შეიცვალა, მაგრამ მეტოქეთა შორის მართლაც „სუპერდაპირისპირება“ არ იცვლება.

ბოლოს და ბოლოს, სტატისტიკაც ნათლად ასახავდა ძალთა თანაფარდობას: ამ მატჩამდე მეტოქეებს ერთმანეთთან თერთმეტ-თერთმეტი გამარჯვება ჰქონდათ მოპოვებული, თექვსმეტი მატჩი კი ფრედ იყო დამთავრებული. და აი, ურთიერთდაპირისპირებათა „ისტორიაში“ „დინამო“ წინ გაიჭრა, თანაც, ამ მოგებით კახა კაჭარავას გუნდმა ბოლო წლების პრინციპული მეტოქე, ფაქტობრივად, უმედლებოდ დატოვა - ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე, ვეჭვობთ, „ვიტ ჯორჯიამ“ 8-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრას იმავე „დინამოსთან“ და „ზესტაფონთან“. რა თქმა უნდა, ამ შეხვედრაში პირობით მასპინძლებად მიჩნეულ „ვეტერინართათვის“ ეს მარცხი ორმაგად მტკივნეული იქნებოდა: ყველაფერთან ერთად, სწორედ „დინამოსთან“ წაგებით დაემშვიდობა „ვიტ ჯორჯია“ მოქმედი ჩემპიონის სტატუსს...

...ბოლო წლების „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ დაპირისპირებებში ძალიან ხშირად სწორედ... ჩემპიონობის ბედი წყდებოდა; თუმცა, ამჯერად ორივე გუნდს შედარებით მოკრძალებული მიზნები აქვს, მაგრამ ზემოთ ჩვენ მიერ არაერთხელ ნახსენებ მოტივაციას „სად გაექცეოდნენ“? არანაკლებ ინტრიგას მატებდა ის ფაქტიც, რომ ერთ თვეში ეს გუნდები კიდევ უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს - საქართველოს თასის ფინალში. ისე, მოვლენებს გავუსწრებთ და წინდაწინ ვიტყვით: თასის ფინალის წინ, ნეტავ რომელ გუნდს უფრო მეტი მოტივაცია ექნება? „ვიტ ჯორჯია“, ალბათ, ამ უკანასკნელი წაგების გამო შეეცდება რევანშის აღებას - იმაზე აღარაფერს ვამბობთ, ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული კლუბი პირველად რომ ითამაშებს თასის ფინალში.

რევანში „დინამოსაც“ ექნება ასაღები - ამ სეზონში „დინამო“ ერთი ტიტულის მოპოვებასთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ საქართველოს სუპერთასის მატჩი ხომ სწორედ „ვიტ ჯორჯიასთან“ დათმო. შეგახსენებთ, რომ ის შეხვედრა გასული წლის 17 დეკემბერს ჩატარდა რუსთავში, სადაც „ფოლადის“ სტადიონის ახალდაგებული ხელოვნურსაფარიანი მოედანი პირველებმა „დინამომ“ და „ვიტ ჯორჯიამ“ დააქაშნიკეს. და აი, „დინამოს“ მეორე „ვიზიტი“ ამ ახალ საფარზე უკვე წარმატებული აღმოჩნდა, თანაც, ძლიერი წვიმის მიუხედავად, იმედია, არც ერთი გუნდის ფეხბურთელებს მოედნის ხარისხზე საწუწუნო არაფერი უნდა ჰქონოდათ.

...ტურის ამ ცენტრალურ შეხვედრაზე დაწვრილებით გუშინ ვისაუბრეთ და ამჯერად, მხოლოდ ძირითად ასპექტებზე გავამახვილებთ ყურადღებას. უპირველეს ყოვლისა, ის უნდა აღვნიშნოთ, რომ „დინამოს“ გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებული და კანონზომიერი იყო. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწრაფ გოლს - **ჯორჯ აკირემიმ** მატჩის დასაწყისშივე ჩინებულად ისარგებლა მასპინძელთა მცველების შეცდომით. „დინამოს“ გაბონელი ლეგიონერი მთელი შეხვედრის განმავლობაში უაღრესად აქტიურად და, რაც მთავარია გუნდისთვის სასარგებლოდ თამაშობდა და, ალბათ, ისიც ლოგიკური იყო, მეორე ტაიმში კიდევ ერთი გოლი რომ გაიტანა მეტოქის კარში (ამ შემთხვევაშიც „ვიტ ჯორჯიას“ დაცვამ პოზიტიური შეცდომა დაუშვა).

სხვათა შორის, აკირემი ზედიზედ სამი მატჩია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს; ეგ კი არა, ჩემპიონატში უკვე რვა გოლი დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით „დინამოს“ საუკეთესო ბომბარდირებს **(გურამ კაშია, მათე ვაწაძე)** გაუთანაბრდა. „დინამოს“ კანონზომიერ გამარჯვებაზე ვსაუბრობთ და ისიც უნდა აღვნიშნოთ, თუ რა როლი შეასრულა ამ წარმატებაში გუნდის თითოეულმა ფეხბურთელმა, მაგრამ ცენტრალური ნახევარმცველების გარჯა მაინც განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს. **ელ-ნილონი და ალექსანდრე კობაძე** გამოცდილი მოთამაშეები არიან და მათი დამაჯერებელი ასპარეზობა არავის უნდა გაჰკვირვებოდა.

აი, გუნდის ახალწვეულმა **გიორგი თექთურმანიძემ** კი მართლაც სასიამოვნოდ გაგვაოცა; იმედია, ახალგაზრდა და უაღრესად ტექნიკური ნახევარმცველი მომავალშიც ასე იასპარეზებს, ანუ სტაბილურობა გვინდა ვუსურვოთ; ისე, როგორც **ლევან კაკუბავას** - კიდევ ერთ ახალგაზრდა ფეხბურთელს, „დინამოს“ ინტერესებიდან გამომდინარე დაცვისა თუ ნახევარდაცვის ნებისმიერ პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით რომ შეუძლია თამაში.

აი, „ვიტ ჯორჯიაზე“ კი არც ვიცით, რა უნდა ვთქვათ; ყოველ შემთხვევაში, „დინამოსთან“ ბოლოდროინდელ დაპირისპირებებში ასეთ უემოციო „ვიტ ჯორჯიას“ ვერც ვიხსენებთ, შაბათს რომ ვნახეთ...

## არშემდგარი ინტრიგა

ერთი შეხედვით, ამ მატჩს რა ინტრიგა უნდა ჰქონოდა: ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზე მყოფ გუნდს ხვდებოდა. ანუ, ფავორიტი ამ წყვილში წინასწარ იყო ცნობილი, მაგრამ მართლაც საინტერესოდ გვეჩვენებოდა **ანატოლი პისკოვეცის** დაპირისპირება თავის ყოფილ გუნდთან. მით უფრო, რომ უკრაინელი მწვრთნელის მოსვლის შემდეგ „გაგრამ“ თამაშის ხარისხი აშკარად გამოასწორა და წინა ტურში „ზესტაფონთან“ მართლაც მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა.

თუმცა კვირის მატჩში „გაგრა“ უშანსოდ იყო - 90 წუთის განმავლობაში მოედანზე, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი გუნდი დომინირებდა! საერთოდაც, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს იყო „ოლიმპის“ ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი მეორე ეტაპის დაწყებიდან! არადა, რუსთაველ გუნდს სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა (განაცხადში შვიდის ნაცვლად ექვსი ფეხბურთელი ჰყავდა), მაგრამ ისეთი აღმაფრენით ითამაშეს, გეგონებოდათ, სწორედ ამ შეხვედრაში წყდება ოქროს მედლების ბედიო. ისე, რაღა დარჩა, ერთ ან ორ კვირაში რუსთაველ კლუბის ხელმძღვანელებს ახალი საფიქრალი გაუჩნდებათ - საჩემპიონო სუფრასაც ხომ ორგანიზება სჭირდება...

...**თემურ მახარაძის** ხელმძღვანელობით „ოლიმპმა“ მატჩების უმრავლესობა მეორე ტაიმში გატანილი გოლების წყალობით, მოიგო; არადა, თანამედროვე ფეხბურთში ეს არცთუ პატარა ნიუანსია. თუმცა, კვირის მატჩში „ოლიმპმა“ პირველ ტაიმშივე დაიწყო ოქროს მედლებისკენ მორიგი ნაბიჯის გადადგმა და მეორეში გააგრძელა. რა თქმა უნდა, ყველას გვახარებს, რომ ზედიზედ ორი მატჩია ეფექტური გოლებით „თავს გვახსენებს“ **სანდრო იაშვილი**. ახლაც, „გაგრასთან“ შეხვედრაში, **გელა ხუბუას** კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს „იაშკამ“ საფირმო თავური დარტყმა მოაყოლა და ურთულესი მდგომარეობიდან ასე საჭირო მატჩის პირველი გოლი გაიტანა. შემდეგ კი „ოლიმპის“ კაპიტანმა და ამ სეზონში გუნდის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა **დავით იმედაშვილმა** გაილაღა - რუსთაველთა კაპიტანმა ორი გოლი გაიტანა და კიდევ ამდენის შანსიც ჰქონდა.

...და განა მარტო იმედაშვილს? „ოლიმპის“ მარჯვენა მცველი **თემურ ლონლაძე** (საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნების შემდეგ საუკეთესო მატჩი რომ ჩაატარა) ორჯერ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ სტუმრები, ორივეჯერ **რევაზ თევდორაძემ** გადაარჩინა. „გაგრას“ მეკარემ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ **ანდერსონ აკინოსაც** ორი ურთულესი ბურთი აუღო და საერთოდაც - სამი გაშვებული გოლის მიუხედავად, სტუმართა გუნდში საუკეთესო სწორედ რევაზ თევდორაძე გახლდათ.

სხვათა შორის, ამ ორი წლის განმავლობაში მეტოქეებმა ერთმანეთთან უკვე 7 მატჩი ჩაატარეს და აქედან 6 „ოლიმპის“ გამარჯვებით დასრულდა, ხოლო ერთ შეხვედრაში ფრე დაფიქსირდა, ოღონდ, ამ შვიდ დაპირისპირებაში „გაგრამ“ ვერც ერთხელ შეძლო „ოლიმპის“ კარში გოლის გატანა! არადა, პისკოვეცის შეგირდებს ამის შანსი (თანაც - ორჯერ) კვირის მატჩში ჰქონდათ, მაგრამ შეცვლაზე შემოსულმა **ოვონიკოკომ** ორჯერვე ისარგებლა მასპინძელთა ცენტრალური მცველების პოზიციური შეცდომებით. თუმცა, „გაგრას“ ნიგერიელ ლეგიონერს ერთი გოლი რომც გაეტანა, არაფერი შეიცვლებოდა - „ოლიმპის“ უპირატესობა ხომ აშკარად თვალში საცემი იყო...

...მთელი მატჩის განმავლობაში არ აკლდათ „ოლიმპის“ ფეხბურთელებს ომახიანი და აქტიური მხარდაჭერა ერთგული ქომაგებისაგან. განსაკუთრებით კი, აღმოსავლეთ ტრიბუნაზე მოკალათებული „ოლიმპის“ ახალშექმნილი, მრავალრიცხოვანი ფანკლუბი აქტიურობდა, მატჩის შემდეგ... საყვარელი კლუბის ჰიმნიც რომ დააგუგუნეს! მოკლედ, „ოლიმპის“ საჩემპიონო ზეიმისთვის რუსთავში ყველა ემზადება...

დაბოლოს, გასული ტურის კიდევ ორ გამორჩეულ მოვლენაზეც; ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გოლი გაიტანა „ზესტაფონის“ თავდამსხმელმა, **რატი წინამძღვრიშვილმა**. ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორი მძიმე ტრავმა ჰქონდა ამ ნიჭიერ ფორვარდს. და აი, თავის ახალ გუნდში პირველი გოლის დროც დადგა. თანაც, სწორედ წინამძღვრიშვილს ზუსტმა დარტყმამ მოუტანა გამარჯვება „ზესტაფონს“ საკმაოდ ღირსეულად მოასპარეზე „სიონთან“. სადებიუტო გოლი გაიტანა საქართველოს ჩემპიონატში „სპარტაკის“ ლეგიონერმა **პატრიკ მედ ნალომ**, ოღონდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა - „ლოკომოტივმა“ ბევრად გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ მეტოქესთან დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ისე, მედ ნალო „ისტორიაში“ მაინც შევიდა - პირველი ფრანგი ფეხბურთელია, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატში გოლი გაიტანა...

**გია ტუხაშვილი**



გიორგი თექთურმანიძე

## XXXI ტურის სიმბოლური ნაკრები




| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი * | 31 | 23 | 6 | 2 | 62-17 | 72 |
| 2. დინამო | 31 | 18 | 7 | 6 | 49-17 | 61 |
| 3. ზესტაფონი | 31 | 17 | 10 | 4 | 49-26 | 61 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 31 | 14 | 11 | 6 | 41-30 | 53 |
| 5. სპარტაკი | 31 | 10 | 9 | 12 | 37-47 | 39 |
| 6. სამტრედია | 31 | 8 | 7 | 16 | 36-58 | 31 |
| 7. სიონი | 31 | 6 | 13 | 12 | 22-39 | 31 |
| 8. ბაია | 31 | 7 | 8 | 16 | 27-39 | 29 |
| 9. ლოკომოტივი | 31 | 4 | 10 | 17 | 16-41 | 22 |
| 10. გაგრა | 31 | 3 | 7 | 21 | 22-53 | 16 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | **26 (10პენ.)** |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | **15 (1პენ.)** |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯ.) | **11 (1პენ.)** |

*ოლიმპს დაკლებული აქვს 3 ქულა.
ზესტაფონი-ოლიმპის მატჩში ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება 0:3

**მომდევნო ტური**

**30 აპრილი, პარასკევი**

გაგრა-ბაია

**1 მაისი, შაბათი**

დინამო-ზესტაფონი
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
სამტრედია-ლოკომოტივი
სიონი-ოლიმპი

მოსალოდნელი ტრანსფერები



# თურქი მენეჯერი საქართველოში

## კაშია, ჭედია და ყაზაიშვილი ტრაბზონის სამიზნეში

**საქართველოს ჩემპიონატის ლიდერთა მონაწილეობით შაბათ-კვირას რუსთავში ორი შეხვედრა გაიმართა: „ვიტ ჯორჯია"-"დინამო" და „ოლიმპი"-"გაგრა". ორივე მატჩს თურქი სტუმრები ესწრებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი საფეხბურთო მენეჯერი ჰასან ალი ქარაჰასანოღლუ აღმოჩნდა. ვისარგებლეთ შემთხვევით და სტუმარს გავესაუბრეთ...**

**- ბატონო ქარაჰასანოღლუ, თურქი საფეხბურთო მენეჯერი საქართველოს ტურისტის რანგში არ ესტუმრებოდა...**

- რა თქმა უნდა, სუფთა საქმიანი ინტერესით ვარ ჩამოსული, ფეხბურთელებს ვაკვირდები...

**- ეს გასაგებია, მაგრამ თუ საიდუმლო არ არის, ვის აკვირდებით?**

- რამდენიმე შეხვედრას დავესწარი, ვნახე თქვენი ლიდერების მატჩი და ვფიქრობ, თურქეთში საინტერესო ინფორმაციას ჩავიტან.

**- როგორც ვიცით, „ოლიმპის" ფორვარდ გიორგი ჭედიას აკვირდებოდით...**

- დიახ, გვქონდა ინფორმაცია, რომ ნიჭიერი და სწრაფი თავდამსხმელია, ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს და დავინტერესდით. თუმცა დაკვირვებას კიდევ გავაგრძელებთ.

**- „ვიტ ჯორჯია"-"დინამოს" მატჩიდან ვინმე ჩაინიშნეთ?**

- დიახ, ამ შეხვედრაში კიდევ ერთი საინტერესო მოთამაშე ვნახეთ.

**- ამ ცოტა ხნის წინ იყო ინფორმაცია თურქული კლუბების მხრიდან გურამ კაშიათი დაინტერესების თაობაზე. „დინამოს" მცველი ხომ მოინიშნეთ?**

- დიახ, კაშია ძალიან საინტერესო ფეხბურთელია და ვაკვირდებით კიდეც.

**- კაშიასა და ჭედიას წაყვანა „ტრაბზონში" გსურთ?**

- არა მხოლოდ „ტრაბზონში", სხვა კლუბებთანაც ვთანამშრომლობთ.

**- თქვენი აზრით, მათ თურქეთის უმაღლეს ლიგაში დამკვიდრებისთვის შესაბამისი პოტენციალი თუ აქვთ?**

- ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას თუ შეძლებენ, მაშინ უპრობლემოდ ითამაშებენ. სწორედ ეს მაფიქრებს. არ ვიცი, საქართველოს ჩემპიონატში თავს რომ გამოიჩენს, ისეთი ფეხბურთელი თურქეთში თუ მოახერხებს დამკვიდრებას. ჩვენთან ქართული ფეხბურთის სახეს ძმები არველაძეები, ნემსაძე და ჯამარაული წარმოადგენდნენ. მათ შემდეგ თურქეთში ბევრი ქართველი ფეხბურთელი ჩამოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაფერისი დონის არც ერთი არ აღმოჩნდა. არადა, კაშია მართლა ნიჭიერი ბიჭია. მოკლედ, დაფიქრება გვჭირდება.

**- საქართველოს ჩემპიონატის დონეზე რას იტყვით?**

- „ოლიმპისა" და „გაგრას" შეხვედრა უფრო მაღალ ტემპში წარიმართა და უფრო მომეწონა, ვიდრე „ვიტ ჯორჯია"-"დინამოს" შეხვედრა. რა თქმა უნდა, მაღალი დონის ჩემპიონატი არ არის, მაგრამ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია.

**- ბოლო დროს, უცხოელები საქართველოში ნიჭიერ ახალგაზრდებს უფრო ეძებენ, ვიდრე გამოცდილებს.**

- წამყვანი კლუბების გარდა, შავი ზღვის უნივერსიტეტის ფეხბურთელებსაც ვაკვირდებით. კლუბის პრეზიდენტი ჩვენი მეგობარია, საინტერესო გეგმები აქვს და თანამშრომლობა არ გვაწყენდა. ძალიან მომწონს 17-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი ვაკო ყაზაიშვილი, მისით რამდენიმე ძლიერი ევროპული კლუბი მოიხიბლა. მისი ასაკის ფეხბურთელის წაყვანა და გაზრდა, რა თქმა უნდა, უფრო შესაძლებელია, ვიდრე უკვე გაზრდილი მოთამაშის ტაქტიკურ-თეორიულად გადამზადება.

**- ბოლო დროს ვრცელდება ინფორმცია, თითქოს „ტრაბზონსფორი" „შალკედან" ლევან ყენიას გადაყვანას აპირებს...**

- ახლა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. „ტრაბზონს" საკმაოდ სერიოზული სატრანსფერო გეგმები აქვს, მაგრამ რის საშუალებას მისცემს ფინანსური მდგომარეობა, ამის თქმა გამიჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

U 19 ამხანაგური მატჩები

# ახლა ბელარუსთან...

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიური ტურნირის შემდეგ მზადებას თბილისში აგრძელებს. **ვლადიმერ გუცაევის** ხელმძღვანელობით გუნდი „ბასაში" ემზადება. თუმცა ჩვენს ჭაბუკებს მალე ისევ უცხოეთში მოუწევთ გამგზავრება - 8 და 11 მაისს ისინი ბელარუს თანატოლებთან ორ გასვლით ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ.

ორიოდ სიტყვით მეტოქეზე: **იური ხომკოს** გუნდმა ამ თვეში ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა. ბელარუსმა 19-წლამდელებმა სლოვაკეთის ჭაბუკთა ნაკრებთან ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს - პირველი უგოლოდ დასრულდა, მეორეში კი ექსსაბჭოელები 1:3 დამარცხდნენ. აღსანიშნავია, რომ სლოვაკთა წინააღმდეგ ჩატარებულ შეხვედრებში ბელარუსებმა ლეგიონერების გარეშე ითამაშეს.

მაისის შემდეგ ჩვენი 19-წლამდელები ბელარუსს კიდევ ერთხელ ეწვევიან - აგვისტოში იქ საერთაშორისო ტურნირი ჩატარდება. საქართველოსა და მასპინძელთა გუნდების გარდა, მასში ისრაელის 19-წლამდელთა ნაკრებიც ითამაშებს. ოქტომბერში კი ვლადიმერ გუცაევის გუნდი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე პორტუგალიაში იასპარეზებს, სადაც ასევე გამოვლენ საბერძნეთისა და აზერბაიჯანის ჭაბუკთა ნაკრებები.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# რედინგი ხიზანიშვილს ვერ ელევა

ინგლისის ჩემპიონშიფის (რანგით მეორე ლიგა) დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. **ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგმა" უკვე დააღწია თავი გასავარდ ზონას. მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა ეს ინფორმაცია - გუნდის მთავარი მწრთნელი **ბრაიან მაკდერმოტი** კმაყოფილი ბრძანებულა ხიზანიშვილით და მასთან განშორებას არ აპირებს.

*„ზამთარში ჩემპიონშიფიდან გავარდნის საფრთხე რეალურად გვემუქრებოდა და გუნდის გასაძლიერებლად რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ. მათგან ზოგმა გაამართლა ჩვენი იმედები და გვინდა, ისინი შევინარჩუნოთ. მათ შორის გამოვარჩევდი ენდის, ზურაბს და რაიან ბერტრანდს, რომელიც „ჩელსიდან" ვინათხოვრეთ. ახალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ და სამი ეს ფეხბურთელი უთუოდ დაგვჭირდება. ყველაფერს გავაკეთებთ ამ მოთამაშეების შესანარჩუნებლად და იმედია, ჩანაფიქრს განვახორციელებთ"*, - „რედინგის" თავკაც მაკდერმოტის ეს სიტყვები skysports.com-მა და vitalfootball.co.uk-მა გამოაქვეყნეს.

შეგახსენებთ, რომ ხიზანიშვილმა „რედინგს" იანვარში მიაშურა. საქართველოს ნაკრების მცველმა ამ გუნდში დღემდე 15 მატჩი ჩაატარა. 44-ე ნომრით მოთამაშე ხიზანიშვილს, რომელიც „რედინგში" განათხოვრებულია, „ბლექბერნთან" კონტრაქტის ვადა 30 ივნისს უმთავრდება. შესაბამისად, „რედინგს" შეუძლია, არ იჩქაროს - ჩვენებური მალე თავისუფალი აგენტი გახდება და...

ბოლოს კი პოპულარული transfermarkt.co.uk-ს ცნობით, ხიზანიშვილი, რომელსაც ეროვნულ გუნდში 69 მატჩი (2 გოლი) აქვს ჩატარებული, ერთ მილიონ ევროდაა შეფასებული.



ზურა ხიზანიშვილი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# უფრო მეტი კალაძეში...

როგორც ვწერდით, საქართველოს ნაკრების კაპიტან **კახა კალაძის** მსურველთა რიცხვს ყაზანის „რუბინიც" შეემატა. თებერვალში რუსეთის ჩემპიონებმა „მილანს" ქართველი მცველის სანაცვლოდ 5 მილიონი ევრო შესთავაზეს. თუმცა საქართველოს ჩრდილოეთით სატრანსფერო პერიოდი ისე დაიხურა, „რუბინმა" ჩანაფიქრი ვერ აისრულა. თუმცა მაისის მიწურულს რუსეთში კვლავ იხსნება სატრანსფერო ფანჯარა და ყაზანური კლუბის მესვეურებმაც თადარიგი დაიჭირეს - კალაძის გადაბირების წინადადებით იტალიურ გრანდს კიდევ ერთხელ მიმართეს.

*„რუსეთის ორგზის ჩემპიონმა ყაზანის „რუბინმა" კახა კალაძის დათმობის მიზნით „მილანს" კიდევ ერთხელ მიმართა. „რუბინს" თებერვალშიც სურდა კალაძის დამატება, მაგრამ მაშინ ამ ტრანსფერის განხორციელება ვერ შეძლო. ამჯერად, ყაზანელები ქართველი მცველის სანაცვლოდ „მილანს" მილიონნახევრით მეტს, 6.5 მილიონი ევროს სთავაზობენ. 31 წლის კალაძეს ამ სეზონში თითქმის არ უწევს „მილანში" თამაში. მან მიმდინარე ჩემპიონატის მხოლოდ 6 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და თავადაც აღნიშნა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ კლუბს შეიცვლის"*, - ეს ინფორმაცია milannews.it-ის ცნობაზე დაყრდნობით გუშინ რუსულენოვანმა ვებგვერდებმაც გაავრცელეს.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

**გასული წლის აგვისტოდან მოყოლებული, რამაზ მუმლაძე „ვისოლი-ავაზას" საფეხბურთო სკოლაში დირექტორის მოადგილედ მუშაობს და ამასთანავე, რეგიონულ ლიგაში მოასპარეზე „ავაზას" მთავარი მწვრთნელია. „ლელოს" მკითხველმა იცის, რომ საფეხბურთო სკოლასაც და მის გუნდსაც სერიოზული გეგმები აქვთ. ამ გეგმების განხორციელებას კი ხელს მუმლაძის ავტორიტეტი და საფეხბურთო კვალიფიკაციაც შეუწყობს ხელს. იმის მიუხედავად, რომ მანამდე საქართველოს მოქმედი ჩემპიონის, „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი იყო, იგი ახალ საქმეს არანაკლები მონდომებით შეეჭიდა და სჯერა, რომ „ავაზაშიც" შეძლებს მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევას. ამჟამინდელი საქმიანობის გარდა, მუმლაძეს მიმდინარე უმაღლეს ლიგაში განვითარებულ მოვლენებზეც ვესაუბრეთ.**



# რამაზ მუმლაძე გეგმაზომიერად უმაღლესი ლიგისკენ

- „ვისოლი-ავაზას" საფეხბურთო სკოლაში თავიდანვე დიდი ინტერესით ვმუშაობ. დიდი მიზნები გვაქვს დასახული და მოხარული ვარ, ამ პროექტში მონაწილეობის საშუალება რომ მეძლევა. გვაქვს ხუთწლიანი პროგრამა, რომლის განმავლობაშიც დაგეგმილია როგორც საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ჩვენი გუნდის ეტაპობრივი სვლა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგისკენ. არ გვინდა, უმაღლეს ლიგაში მოუმზადებლები გადავიდეთ. ეს მაშინ მოხდება, როცა საამისოდ ასი პროცენტით ვიქნებით მზად. ვფიქრობთ, ხუთი წლის შემდეგ „ავაზა" უკვე უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იქნება.

**- ამჟამად რეგიონულ ლიგაში გამოდიხართ. პირველ ლიგაში გადასვლას როდის გეგმავთ?**

- გვინდა, პირველ ლიგაში თამაშის უფლება წელსვე მოვიპოვოთ. სპორტული პრინციპით ეს უკვე ძალიან რთული იქნება, მაგრამ საუბარია პირველ ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდაზე და თუ ასე მოხდა, ამ შესაძლებლობას აუცილებლად გამოვიყენებთ.

**- საინტერესოა, როგორია „ვისოლი-ავაზას" ინფრასტრუქტურა.**

- ძალიან კარგი სავარჯიშო პირობები გვაქვს. რეგიონულ ლიგაში მოთამაშე და სხვა ასაკობრივი გუნდები ნამდვილ საფეხბურთო გარემოში ვარჯიშობენ. გვაქვს ბაზა, რომელზეც ყველა ასაკობრივი გუნდი ვარჯიშობს. რაც მთავარია, ჩვენი ინფრასტრუქტურა გეგმაზომიერად ვითარდება. დიდ დილომში დასასრულს უახლოვდება სტადიონის მშენებლობა, რომელიც ორი ათას მაყურებელზეა გათვლილი და როცა უმაღლეს ლიგაში გადავალთ, თანამედროვე არენა გვექნება. სტადიონზე ბუნებრივი საფარი დაიგება, იქვე გვექნება ხელოვნურსაფარიანი მოედანიც. გვყავს ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ხელმძღვანელობა, რომელიც საფეხბურთო სკოლის განვითარებისთვის მაქსიმალურად ზრუნავს. განსაკუთრებით აღვნიშნავ საფეხბურთო სკოლის დირექტორ გიორგი პაპიაშვილს, რომელიც ფანატიკურადაა შეყვარებული ფეხბურთზე და „ავაზა-ვისოლის" წინსვლისთვის არაფერს იშურებს.

**- რეგიონულ ლიგაში მოასპარეზე გუნდი რა ასაკის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული?**

- გუნდი ახალგაზრდულია, მის ბირთვს 1991 წელს დაბადებული მოთამაშეები შეადგენენ, თუმცა ამაზე უმცროსებიც გვყავს. ფეხბურთელთა უმეტესობა „ავაზას" აღზრდილია, მაგრამ ჩვენთან სხვა საფეხბურთო სკოლებიდან მოწვეულებიც შემოგვიერთდნენ. ნიჭიერი ახალგაზრდები არიან ჩაფიძე, „ვიტ ჯორჯიადან" მოსული იოსელიანი, „ლოკომოტივის" შემადგენლობაში უმაღლეს ლიგაში ნათამაშები გილაური, ყოფილი დინამოელი მამრაში... ამათ გარდა, ჩვენი გუნდის ყველა ფეხბურთელი ძველი ავაზელია. მათ შორისაა გიგაური, რომელიც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში ახლდა. ჩვენი პრიორიტეტი მაინც ისაა, რომ უმაღლეს ლიგაში საკუთარი ძალებით ავიდეთ და იქ წარმატებებისთვის ჩვენი აღზრდილი მოთამაშეებით ვიბრძოლოთ.

**- უმაღლესი ლიგის მატჩებს ხშირად ესწრებით?**

- „ავაზაში" იმდენი საქმე მაქვს, მოგატყუებთ, რომ გითხრათ, ყველა ტურს თვალს ვადევნებ მეთქი, მაგრამ ბუნებრივია, უმაღლეს ლიგაში განვითარებული მოვლენების საქმის კურსში მაინც ვარ. ვცდილობ, მატჩებს შეძლებისდაგვარად ვადევნო თვალი.

**- ეთანხმებით გავრცელებულ მოსაზრებას, რომ მიმდინარე ჩემპიონატი წინაზე დაბალი დონისაა?**

- სამწუხაროდ, ვეთანხმები. წინა ჩემპიონატი ამჟამინდელზე გაცილებით დაბალი იყო. თუმცა ეს ნამდვილად არაა „ოლიმპის" ბრალი, რომელიც ღირსეულად ლიდერობს ჩემპიონატს და ჩემპიონიც დამსახურებულად გახდება. დარწმუნებული ვარ, „ოლიმპი" ევროთასებზეც ღირსეულად გამოვა. ევროტურნირებზე ახალგაზრდებზე გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ გამოცდილ ფეხბურთელებს, რუსთაველებს კი ასეთები მრავლად ჰყავთ. სხვა გუნდებზე კი, მით უმეტეს „ვიტ ჯორჯიაზე" საუბრისგან, გასაგები მიზეზების გამო, თავს შევიკავებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ გუნდის რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს ბევრის მიღწევა შეუძლია. ამას ზაქრაძესა და როსტიაშვილს ვუწინასწარმეტყველებ. ორივე მათგანი სწრაფია და თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს.

**- საუბრობენ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდაზე. ამაზე რა აზრის ხართ?**

- ალბათ, ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება. 10 გუნდს, ჩემი აზრით, 12 ან 14 აჯობებს. უკეთესი იქნება, ჩემპიონატი არა ოთხ, არამედ ორ წრედ ჩატარდეს. შესაძლოა, მიმდინარე ჩემპიონატს ელფერი გუნდების ნაკლებობამაც მოაკლო. ბუნებრივია, გუნდების რაოდენობის მომატება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება კარგი, თუ სეზონის მსვლელობისას უმაღლესი ლიგის მონაწილეებს ყოფნა-არყოფნის საკითხი არ დაუდგებათ.

**- „ვისოლი-ავაზაში" მწვრთნელებად ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელებიც ხომ არ მუშაობენ?**

- სულ მალე B ლიცენზიას აიღებს ბორის გონჩაროვი, რომელმაც ფეხბურთელის კარიერა სულ ახლახან დაასრულა და მწვრთნელობის სურვილი გამოთქვა. იგი უკვე „ავაზას" რეგიონული ლიგის გუნდში გადის სტაჟირებას. შემეხმიანა თენგიზ კობიაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში „ვიტ ჯორჯიაში" თამაშობდა და იმის გარდა, რომ მაღალი დონის მცველი იყო, შესანიშნავი პიროვნებაცაა. დარწმუნებული ვარ, მისგან კვალიფიციური მწვრთნელი დადგება. მზად ვარ, ნებისმიერ მსურველს აღმოვუჩინო დახმარება და ვინც ამ საქმისადმი სიყვარულსა და თავდადებას გამოიჩენს, მხარში ბოლომდე დავუდგები.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უქმეები

# ერთიც და, ვაჟა ჩემპიონია

## კალაძე და სირბილაძე გოლით იწყებენ

აზერბაიჯანში გამართული 29-ე ტურის მატჩების უმეტესობაზე უკვე ვწერდით. ზედა და ქვედა ექვსეულში თითო მატჩი გაიმართა ქართველ ლეგიონერთა მონაწილეობით. **გიორგი ადამიას** „ყარაბახმა" „გაბალას" უმასპინძლა და 1:1 დაუზავდა. ქართველმა ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა, მაგრამ გაბალელთა დაცვას ვერაფერი მოუხერხა. სტუმართა სასტარტოში **გოგა ბერაია** და **რევაზ გენაძე** იყვნენ, ეს უკანასკნელი 50-ე წუთზე შეცვალეს. „ყარაბახი" 20 ქულით მე-4 ადგილზე, ხოლო „გაბალა" 16 ქულით ბოლო, მე-6 ადგილზეა.

პრემიერლიგაში დარჩენისთვის მებრძოლ ექვსეულში „მუღანი" შინ 2:3 დამარცხდა ბოლოადგილოსან „ქარვანთან". მასპინძელთა შორის 82-ე წუთამდე ითამაშა **დავით სვანიძემ**, შეუცვლელად ითამაშა სტუმართა კაპიტანმა **ალექსანდრე ინწკირველმა**. „მუღანი" 21 ქულით ქვედა ექვსეულის მე-4 ადგილზეა, ხოლო „ქარვანი" 13 ქულით ბოლოა. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში ქარვანელებმა 2 წითელი და 7 ყვითელი ბარათი მიიღეს, გააფრთხილეს ინწკირველიც.

სომხური უმაღლესი ლიგის მე-5 ტურში ქართველთა „ულისმა" 2:0 მოუგო „კილიკიას" და 10 ქულით მე-3 ადგილზე დამკვიდრდა. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **გიორგი კრასოვსკიმ**, 75-ე წუთზე შეცვალეს **შოთა ჯიქია**, სათადარიგო იყო **თენგიზ უგრეხელიძე**, განაცხადში არ ყოფილა **გაგა თიბილაშვილი**. „განძასარი" „მიკას" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა, კაპანელთა კარში კვლავ **ლევან ბუბუტეიშვილი** იდგა, **დავით ხანიშვილი** კი 87-ე წუთზე შეცვალეს. „განძასარი" 3 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

ბელარუსის უმაღლესი ლიგის მე-5 ტურში ბრესტის „დინამო" გროდნოში „ნემანს" დაუზავდა - 0:0. სრულად ითამაშა სტუმართა ცენტრალურმა ნახევარმცველმა **ზაზა ჭელიძემ**. ჭელიძეს გატანაც შეეძლო, მისი დარტყმული მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა და ისევ მეკარეს, რომ არ ეყოჩაღა, სტუმრები დაწინაურდებოდნენ. „დინამო" 8 ქულით მე-6 ადგილზეა.



ზაზა ჭელიძე

მოლდოვის ჩემპიონატის 28-ე ტურში „შერიფის" შემადგენლობაში არ უთამაშია გუნდის კაპიტან **ვაჟა თარხნიშვილს**, ჩემპიონმა ექსპერიმენტული შემადგენლობითაც იმარჯვა „ცსკა-რაპიდზე" - 3:1. დარჩენილ ხუთ მატჩში „შერიფს" 1 ქულაც ჰყოფნის მე-10-დ გასაჩემპიონებლად. „დაჩია" შინ „ოლიმპიასთან" 2:4 დამარცხდა. მასპინძელთა შორის 90 წუთი დაყო მოედანზე **ვასილ ლუჭაშვილმა**. „დაჩია" 51 ქულით მე-3 ადგილზეა.

ესტონურ მეისტრილიგაში **ზაქარია ბეგლარიშვილის** „ფლორამ" 2:1 მოუგო „პაიდეს", ქართველმა შემტევმა პირველი ტაიმი ითამაშა. „ფლორა" და „ლევადია" 21-21 ქულით ლიდერობენ.

„ვენტსპილსთან" შერცხვენის შემდეგ ქართველთა „ოლიმპსმა" „სკონტოსთანაც" წააგო - 1:3. **კოტე ზარნაძემ** 90 წუთი ითამაშა, **დავით ჯანელიძე** 58-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო **ლაშა ღონღაძეს** არ უთამაშია. **ჩიკრაძის** და **იალიაშვილის** „დაუგავა" სტუმრად 1:3 დამარცხდა „ბლაზმასთან". ორივე ჩვენებურმა 90-90 წუთი ითამაშა.

დაიწყო საფეხბურთო სეზონი (ყველაზე ბოლოს ევროპაში) ფინეთის რანგით მეორე, იკონენლიგაში. ოპს-მ „ტამპერე" 3:0 დაამარცხა. ამ შეხვედრაში მასპინძელთა ქართველმა ლეგიონერმა **ანზორ კალაძემ** მე-5 წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო, 37-ე წუთზე გოლი გაიტანა, ხოლო მე-60 წუთზე შეცვალეს. იიპო-სა და **ირაკლი სირბილაძის** კპვ-ს მატჩი 1:1 დასრულდა. ქართველმა ფორვარდმა 64-ე წუთზე გახსნა ანგარიში. **პავლე და ვალტერ ხორგუაშვილების** „როვანიემიმ" 3:0 მოუგო მპ-ს, მეორე ტაიმში ორივე ქართველი შეცვალეს.

შვეიცარიის ჩელენჯლიგაში **გიორგი ივანიშვილის** „ვოლენი" „თუნს" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. ჩვენებურს არ უთამაშია, „ვოლენი" 30 ქულით მე-12 ადგილზეა და ალბათ აღარ გავარდება. უნგრეთის მეორე დივიზიონში „ეტო II" „სიგეტშენტმიკლოშს" 3:3 დაუზავდა. მასპინძელთა ერთი გოლი **ვახტანგ ფანცხავას** ანგარიშზეა.

ისრაელის ლეუმითლიგაში უმაღლესში გადასასვლელ პლეი ოფში ბათ იამის „ირონიმ" 4:3 მოუგო „სექციას". მასპინძელთა ბომბარდირ **კოკა მიკუჩაძეს** ამჯერად გოლი არ გაუტანია, თუმცა კი სრულად ითამაშა და მეორე ტაიმში ყვითელი ბარათიც მიიღო. სრულად ითამაშა სტუმართა ბომბარდირმა **გაგა ჩხეტიანმა**, ვერც მან გამოიჩინა თავი. **შოთა ბაბუნაშვილი** 58-ე წუთზე გაიყვანეს, **გიორგი ჭელიძე** სათადარიგო იყო. „ირონი" 26 ქულით მეოთხე ადგილზეა, „სექციას" ქულით ნაკლები აქვს და მეხუთეა.

უზბეკეთში **დავით ჭილლაძის** „მაშალი" „ფახთაქორს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა. „მაშალი" 6 ქულით მე-10 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ

# ვალერი აბრამიძე

## საქართველოს ნაკრებში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი



**რუსულ პრესაში საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა ბაქოს „ნეფთჩის" ქართველ მცველ ვალერი აბრამიძესთან, სადაც იგი მოსკოვის „სპარტაკის" გულშემატკივართა შეკითხვებს პასუხობს და ამ კლუბში გატარებულ პერიოდს იხსენებს. შეგახსენებთ, აბრამიძე „სპარტაკში" 2002-2003 წლებში თამაშობდა და მის შემადგენლობაში რუსეთის ჩემპიონატში 15, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში 4 მატჩი ჩაატარა. ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ...**

**- „სპარტაკში" როგორ მოხვდით?**

- პირველ რიგში, „სპარტაკის" გულშემატკივრებს გულითადად მივესალმები. „სპარტაკში" ქუთაისის „ტორპედოდან" მოვხვდი, რომლის რიგებშიც თანამეგობრობის თასზე ვითამაშე. შევხვდით „სპარტაკსაც" და მის მწვრთნელებს სწორედ იმ მატჩში მოვეწონე. რამდენიმე დღის განმავლობაში სინჯებზე ვიყავი და შემდეგ კონტრაქტიც გამიფორმეს. ოლეგ რომანცევმა და მისმა ასისტენტებმა ჩემი თამაში დადებითაც შეაფასეს.

**- „სპარტაკში" მოხვედრისას რას გრძნობდით?**

- ძალიან გახარებული ვიყავი. ქუთაისიდან ხომ პირდაპირ რუსეთის ყველაზე პოპულარულ კლუბში აღმოვჩნდი.

**- მოგიწიათ „სპარტაკისა" და ცსკა-ს დერბიში თამაშმაც.**

- დიახ, თანაც ორჯერ. ცსკა მაშინაც „სპარტაკის" უპრინციპულესი მეტოქე იყო და ახლაც ასეა. სტადიონზე ყოველთვის განსაკუთრებული ატმოსფეროა და გულშემატკივრებიც მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ. სამწუხაროდ, ჩემი „სპარტაკში" ყოფნისას ამ დერბიში ორჯერვე დავმარცხდით.

**- „სპარტაკის" მაშინდელ პრეზიდენტ ჩერვიჩენკოზე რას იტყვით?**

- რა უნდა ვთქვა? იგი აშკარად „სხვაგან მოხვდა". რაც მან „სპარტაკისთვის" „გააკეთა", ეს ყველამ კარგად იცის და მეტს ველარაფერს დავამატებ.

**- გაიხსენეთ ის ეპიზოდი, როცა ცსკა-ს კაპიტან სერგეი სემაკთან ბრძოლისას „სპარტაკის" კარში პენალტი დაინიშნა.**

- სემაკი ზურგზე ისე დამეჯახა, რომ ტკივილები ახლაც კი მაწუხებს ხოლმე. მსაჯმა კი რატომღაც მიიჩნია, რომ მე ვიუხეშე და ცსკა-ს სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი დანიშნა.

**- ჩემპიონთა ლიგიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?**

- ამ ტურნირის ტელევიზორით ყურებაც კი უდიდესი სიამოვნებაა და წარმოიდგინეთ, რა გრძნობა ეუფლება ფეხბურთელს, როცა ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალება ეძლევა. მსოფლიო დონის არაერთი ფეხბურთელის წინააღმდეგ ვითამაშე, რამაც უდიდესი გამოცდილება შემძინა. სანწყენი მხოლოდ ისაა, რომ იმ დროს „სპარტაკი" ვერ ბრწყინავდა და ჩემპიონთა ლიგაში ძალიან სუსტად გამოვიდა. ლიგაში დებიუტი „ლივერპულის" წინააღმდეგ მქონდა. თამაშში აუღელვებლად ჩავერთვე, რადგან სანერვიულო არაფერი მქონდა - იმ დროისთვის უკვე 0:3-ს ვაგებდით და მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

**- 2002-03 წლების სეზონში „სპარტაკმა" ჩემპიონთა ლიგაში ექვსი შეხვედრა ჩაატარა და ექვსივეში დამარცხდა. ნუთუ ერთი ქულის აღება მაინც არ შეგეძლოთ?**

- რა თქმა უნდა, შეგვეძლო და ამის ყველაზე რეალური შანსი „ბაზელთან" საშინაო მატჩში გვქონდა. მთელი თამაშის განმავლობაში აქტიურად ვუტევდით, მაგრამ მეტოქემ კონტრშეტევებით ორი გოლი გაგვიტანა. „ლივერპულთან" დაწინაურება შევძელით, მაგრამ უპირატესობა ვერც იქ შევინარჩუნეთ. რომ არა ტრავმირებულ ფეხბურთელთა სიმრავლე, აუცილებლად შევძლებდით ჯგუფში მინიმუმ მესამე ადგილის დაკავებას.

**- რომანცევის გადაყენებაზე როგორი რეაქცია გქონდათ?**

- ვერ გეტყვით, როგორ შეხვდნენ ამ ამბავს ჩემი თანაგუნდელები, მე კი ძალიან მეწყინა. რომანცევის გათავისუფლება ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო. ადამიანმა კლუბში ამდენი წელიწადი გაატარა, მისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა და ერთი ხელის მოსმით გაუშვეს. თანაც, მის ნაცვლად ყველასთვის უცნობი მწვრთნელი მოიყვანეს.

**- ეგორ ტიტოვთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

- ნორმალური. იგი იყო პიროვნებაც, კაპიტანიც და ლიდერიც. რომანცევისა არ იყოს, გუნდიდან ისიც უცერემონიოდ გაუშვეს. ტიტოვი „სპარტაკისთვის" იგივე იყო, რაც რაული – „რეალისთვის". მან მთელი კარიერა „სპარტაკში" გაატარა და ასეთ უპატივცემულო მოპყრობას არ იმსახურებდა.

**- საქართველოს ნაკრებში ბოლოს როდის ითამაშეთ?**

- დიდი ხნის წინ. სხვათა შორის, ნაკრებში სტაბილურად მაშინ მიძახებდნენ, როცა „სპარტაკიდან" უკვე წასული ვიყავი. ეს ძალიან უცნაური იყო, მაგრამ მსგავსი რამ ახლაც ხდება. მაგალითად, დიდი ხნის განმავლობაში ნაკრებში არ იწვევდნენ მალხაზ ასათიანს მოსკოვის „ლოკომოტივიდან" და ლაშა სალუქვაძესა და დავით კვირკველიას ყაზანის „რუბინიდან". სამაგიეროდ, ნაკრებში იძახებდნენ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს. საქართველოს ნაკრებში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი და მართალია, ეს ოცნება ავისრულე, მაგრამ მაშინ, როცა კარიერის საუკეთესო ფორმაში ვიყავი, ეს პატივი არ მეღირსა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დაპირისპირების დასასრული

### დინამომ აბრამიძეს ვალი გაუსტუმრა

ამ ცოტა ხნის წინ ვწერდით, ბარნაულის „დინამოს" ტრანსფერების განხორციელება და ახალი ფეხბურთელების რეგისტრაცია რომ აუკრძალეს. მიზეზი ის იყო, რომ კლუბს თავისი ყოფილი ფეხბურთელების დავალიანება არ ჰქონდა გასტუმრებული. ერთ-ერთი, ვისი ვალიც „დინამოს" ემართა, მცველი **ვალერი აბრამიძე** გახლდათ. რუსეთის საფეხბურთო კავშირის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ბარნაულის „დინამომ" დავალიანებები გაისტუმრა. როგორც ირკვევა, აბრამიძის გარდა კლუბს მწვრთნელ **სერგეი ბონდარენკოსა** და მცველ **ილია ზიანგაროვის** ვალიც ჰქონდა.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის სეზონში, რუსთავის „ოლიმპში" გადმოსვლამდე, აბრამიძე (**მიხეილ აშვეთიასთან** ერთად) რუსეთის მეორე დივიზიონის აღმოსავლეთ ზონაში მოასპარეზე ბარნაულის „დინამოში" გამოდიოდა. ამ გუნდში აბრამიძემ 12 მატჩი ჩაატარა და ერთი ბურთი გაიტანა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა

1/2 ფინალი. საპასუხო მატჩის წინ


დანიელ ვან ბუიტენი ტრავმირებულია

# ვან გაალი დაცვის გარეშე?

## დემიკელისის, ვან ბუიტენისა და კონტენტოს თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა, ტიმოშჩუკი საფრანგეთში არც წასულა. ვინ უნდა ათამაშოს ლუისმა დაცვაში?

*„ბაიერნთან" საპასუხო მატჩში სულ სხვა, შემტევი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ. ყველა თანაგუნდელს მაქსიმალური კონცენტრაციისკენ მოვუწოდებ, რადგან ეს არის ისტორიული შანსი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. მიუნხენში ზედმეტად დაცვაზე ორიენტირებული ფეხბურთი ვითამაშეთ, რადგან იქ ასე იყო საჭირო. ახლა კი, უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს,"* - ეს სიტყვები „ლიონის" ლიდერ **ლისანდრო ლოპესს** ეკუთვნის, რომელიც დღეს ფრანგული კლუბის ძირითად შემადგენლობაში კვლავ ერთადერთი ცენტრფორვარდი იქნება.

*„ჩვენი გულშემატკივრების იმედი მაქვს. მათთან ერთად ჩვენ დაუნდობლად ვიბრძოლებთ ფინალში გასვლისთვის,"* - ამბობს პუელი, რომელიც, ფრანგული პრესის ცნობით, დღეს საღამოს „სტად ჟერლანზე", **სიდნი გოვუსაც** ძირითად შემადგენლობაში გაამწესებს.

„ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** კი, სერიოზილი საკადრო პრობლემები აქვს. დავიწყოთ იმით, რომ დიდად საეჭვოა ცენტრალური მცველების, **მარტინ დემიკელისისა** და **დანიელ ვან ბუიტენის** თამაში. კითხვის ნიშნის ქვეშაა ახალგაზრდა მარცხენა მცველის, **დიეგო კონტენტოს** ასპარეზობაც. გაირკვა, რომ ნაღდად ვერ ითამაშებს უკრაინელი საყრდენი ნახევარმცველი **ანატოლი ტიმოშჩუკი**, რომელიც „ბაიერნს" საფრანგეთში არც გაჰყოლია, რაც რეკორდმაისტერისთვის ორმაგი დარტყმაა, რადგან დემიკელისისა და ვან ბუიტენის არყოფნის შემთხვევაში, დაცვის ცენტრში სწორედ ტიმოშჩუკს უნდა ეთამაშა. გუშინ საღამოს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეიძლება, ვერც **მიროსლავ კლოზემ** იასპარეზოს! შეგახსენებთ, რომ **ფრანკ რიბერი** და **დანიელ პრანიჩი** დისკვალიფიცირებულები არიან...

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, „ბაიერნში" არავინ წუწუნებს. *„ჩვენ ურთულესი მატჩი გველის - ეს ფაქტია. მაგრამ გუნდი ძალიან მოტივირებულია და მე მჯერა, რომ მიზანს მივაღწევთ. ვფიქრობ, გასულ თვეებში ნაჩვენები ფანტასტიკური შედეგების გამო, „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა დაიმსახურა,"* - თქვა რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** საფრანგეთში გაფრენამდე. ვან გაალმა კი დასძინა: *„ბევრი პრობლემა გვაქვს, მაგრამ ფინალში გასვლა იმდენად გვინდა, რომ ხელს ვერავინ და ვერაფერი შეგვიშლის!"*

„ბაიერნმა" შაბათს „გლადბახთან" ფრე (1:1) ითამაშა და ამ მატჩმა მიუნხენურ კლუბს სერიოზული ზიანი მიაყენა - დემიკელისმა და ვან ბუიტენმა ტრავმები მიიღეს. საფინალო სასტვენის შემდეგ, ბელგიელმა მცველმა თქვა, ძალიან ვშიშობ, რომ სამშაბათს საღამომდე გამოჯანმრთელებას ვერ მოვასწრებო. თუკი ვან ბუიტენი 64-ე წუთზე გახდა შესაცვლელი, მისმა არგენტინელმა მეწყვილე დემიკელისმა, მოედანი უფრო ადრე, პირველი ტაიმის დასრულებისთანავე დატოვა. ვან გაალი იმედოვნებს, რომ დღეს საღამომდე ერთ-ერთი ცენტრალური მცველი მაინც გამოუჯანმრთელდება - ასეთ შემთხვევაში, „ის ბედნიერი" დაცვის ცენტრში **ჰოლგერ ბადშტუბერს** შეუწყვილდება, მარცხნივ კი სავარაუდოდ კონტენტო ითამაშებს, მაგრამ ეს უკანასკნელიც დაშავებულია და შეიძლება, დღეს საღამოს მოედანზე გასვლა ვერც მან შეძლოს. მიუხედავად ამისა, ვან გაალი ოპტიმისტურადაა განწყობილი და იმედოვნებს, რომ მისი შეგირდები სასურველი შედეგის მიღწევას შეძლებენ.

გუშინ „ბაიერნის" ექიმები დემიკელისს, ვან ბუიტენსა და კონტენტოს ინტენსიურად მკურნალობდნენ. შედეგი: „ბაიერნს" საფრანგეთში სამივე ფეხბურთელი გაჰყვა, მაგრამ კითხვის ნიშნებით. ტრავმირებულია **მიროსლავ კლოზეც** და მისი თამაშიც უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა - ფაქტია, რომ გუშინ არც მიროს უვარჯიშია. გუშინ დილას, ვან გაალმა მხოლოდ 14 (!) ფეხბურთელი ავარჯიშა, საღამოს კი 15, რადგან კონტენტომ მსუბუქად ვარჯიში შეძლო.

თუ დემიკელისი და ვან ბუიტენი ვერ ითამაშებენ (ტიმოშჩუკიც ტრავმირებულია), კაცმა არ იცის, ვინ უნდა გაამწესოს ვან გაალმა დაცვის ცენტრში. ასეთ შემთხვევაში მას ერთადერთი ნომინალური ცენტრალური მცველი რჩება: ბადშტუბერი. გამორიცხული არაა, რომ ლუისმა ჰოლგერს საყრდენი **მარკ ვან ბომელი** შეუწყვილოს, რომელსაც დაცვის ცენტრში არასდროს უთამაშია. მაგრამ მოვრჩეთ მარჩიელობას და დაველოდოთ მატჩს: იქნებ, დემიკელისმა ან ვან ბუიტენმა გამოჯანმრთელება მოასწრონ...

### სავარაუდო შემადგენლობები

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი - რევეილერი, ბუმსონგი, კრისი, სისოხო - მაკუნი, გონალონსი - გოვუ, დელგადო, ბასტოსი - ლისანდრო ლოპესი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, კონტენტო - ვან ბომელი, შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი, ოლიჩი - კლოზე.

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

### ლიონი–ბაიერნი

*პირველი მატჩი 0:1*

„ლიონისთვის" დღევანდელი მატჩი განსაკუთრებულია და ისტორიული. ასეთი მატჩებისთვის კი განსაკუთრებული მომზადებაა საჭირო. სწორედ ამიტომ წაასხა **კლოდ პუელმა** თავისი შეგირდები შაბათს მონთიუს „გოლფ-ჰოტელში" და მას მერე, „ლიონს" „ბაიერნთან" შეხვედრისთვის სპეციალური პროგრამით ამზადებს. პუელის თქმით, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ „ლიონმა" შეძლოს ისტორიული მატჩის მოგება და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა. რაც მთავარია, გუნდის კაპიტანმა **კრისმა** ტრავმა თითქმის მოიშუშა და ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ დღეს საღამოს მოედანზე გასვლას შეძლებს.

ფრანგული პრესის ცნობით, კრისის თამაშს წინ ალარაფერი უდგას. ბრაზილიელი გუშინ თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა, ვიდრე გასულ უქმეებზე. სამაგიეროდ, პუელი ვერ გამოიყენებს ნახევარმცველს და გუნდის ერთ-ერთ ლიდერ **ჟერემი ტულალანს**, რომელიც პირველ მატჩში მოედნიდან გააძევეს და შესაბამისად, დისკვალიფიცირებულია. პუელმა მიუნხენში ტულალანი დაცვის ცენტრში ათამაშა, რადგან ამ პოზიციაზე დეფიციტი ჰქონდა, ახლა კი შეუძლია, შვებით ამოისუნთქოს, რადგან **ჟან-ალენ ბუმსონგი** მწყობრშია და კრისის მეწყვილეობას შეძლებს.

ჰამბურგი

# ლაბადია გააგდეს

აგერ უკვე რამდენიმე წელია, რაც „ჰამბურგი" მწვრთნელებს ხელსახოცებივით იცვლის. გუშინ, ჩრდილოგერმანული კლუბის ხელმძღვანელებმა კრიზისული ვითარების ფონზე იმსჯელეს და მოსალოდნელი გადაწყვეტილება მიიღეს: „ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია** პოსტიდან გათავისუფლებულია. ბოსებს მოთმინების ფიალა „ჰოფენჰაიმთან" განცდილმა სამარცხვინო მარცხმა (1:5) აუვსო, რომლის შემდეგაც ჩვენი გერმანელი კოლეგები წერდნენ, რომ ლაბადია ფეხბურთელებმა გაწირეს. „ბილდი" ირწმუნებოდა, რომ „ჰამბურგის" მოთამაშეებმა მწვრთნელის წინააღმდეგ შეკრეს პირი და მატჩებს სპეციალურად აგებდნენ. ფაქტი ისაა, რომ გუშინ „ჰამბურგი" ლაბადიას ასისტენტმა **რიკარდო მონისმა** ავარჯიშა, რომელიც გაწვრთნის კიდეც ჩრდილოგერმანულ კლუბს სეზონის დარჩენილ მატჩებში.

კრიზისული თათბირის შემდეგ, კლუბის ხელმძღვანელებმა ჟურნალისტებს აცნეს, რომ „ჰამბურგში" ლაბადიას ხანა დასრულებულია. არადა, ბრუნომ HSV ზუსტად ერთი წლის წინ ჩაიბარა. კლუბის შეფებმა, რა თქმა უნდა, ისაუბრეს იმაზეც, რომ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდათ, რომ მათ ძალიან უნდოდათ, ლაბადიას „ჰამბურგში" დიდხანს ემუშავა. სპორტული დირექტორის, **ბერნდ ჰოფმანის** თქმით, მას და მის თანაშტაბელებს სხვა გამოსავალი ნამდვილად აღარ ჰქონდათ, რადგან „ჰოფენჰაიმთან" მარცხის შემდეგ, „ჰამბურგის" მდგომარეობა კატასტროფულად დამძიმდა. ახლა კი, ჰოფმანს იმედი აქვს, რომ ლაბადიას გათავისუფლება გუნდზე დადებითად იმოქმედებს და კლუბი ევროპის ლიგის ფინალში გასვლას მოახერხებს. როგორც იცით, ჩრდილოგერმანელებმა ნახევარფინალის პირველ მატჩში ინგლისურ „ფულჰემთან" საკუთარ მოედანზე 0:0 ითამაშეს და ხუთშაბათს ლონდონში ჩადიან. ამრიგად, „ფულჰემთან" „ჰამბურგს" მონისი გაიყვანს. აღსანიშნავია, რომ ამ სპეციალისტს ზალცბურგის „რედ ბული" ეპატიჟება და იქ საფეხბურთო აკადემიის გახსნას სთხოვს.


როგორც მოსალოდნელი იყო, ბრუნო ლაბადია უმუშევარი დარჩა

ბრუნო ლაბადიას „ჰამბურგთან" კონტრაქტი 2012 წლის 30 ივნისამდე აკავშირებდა და იმის გამო, რომ ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, კლუბისგან კომპენსაციის სახით ერთ მილიონ ევროს მიიღებს. ამრიგად, „ჰამბურგის" შეფები უდიდეს ნაგებას ნახულობენ: შეგახსენებთ, რომ ჩრდილოგერმანულმა კლუბმა ერთი წლის წინ, „ლევერკუზენს" ლაბადიას სანაცვლოდ 1.3 მილიონი ევრო გადაუხადა - მიუხედავად იმისა, რომ ბრუნოს არც „ლევერკუზენში" ჰქონდა მაინცდამაინც წარმატებული სეზონი. ზოგადად, „ჰამბურგს" ხელმძღვანელობაში უფრო აქვს პრობლემა, რადგან ამ კლუბმა ბოლო ექვსი წლის განმავლობაში უკვე მეექვსე (!) მწვრთნელი გამოიცვალა. ლაბადიამდე, ყველა სეზონში ასეთ ბედს იზიარებდნენ შემდეგი მწვრთნელები: **კურტ იარა, კლაუს ტოპმიოლერი, თომას დოლი, ჰუუბ სტევენსი** და **მარტინ იოლი**...




მოსალოდნელი ტრანსფერი

## როსიცკი ისევ დორტმუნდში?

ინგლისური და გერმანული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, დიდი შანსია, რომ ლონდონის „არსენალის" ჩეხი ნახევარმცველი **ტომაშ როსიცკი** ბუნდესლიგაში დაბრუნდეს. „მირორი" წერს, რომ 29 წლის როსიცკი თავის ყოფილ კლუბს, დორტმუნდის „ბორუსიას" და „შტუტგარტს" სურთ. ჩეხ გამთამაშებელს „არსენალთან" კონტრაქტი 2012 წელს უმთავრდება. შეგახსენებთ, რომ როსიცკი „დორტმუნდის" ღირსებას 2001-დან 2006 წლამდე იცავდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბები

### ადლერი ამ კვირაში განაახლებს...

ლევერკუზენისა „ბაიერის" ოფიციალური განცხადებით, კლუბისა და გერმანიის ნაკრების მეკარე **რენე ადლერი** ვარჯიშს ამ კვირაში შეუდგება. შეგახსენებთ, იგი ბუნდესლიგის 31-ე ტურში, „შტუტგარტთან" მატჩისას დაშავდა. დეტალური გამოკვლევის შემდეგ, „ფარმაცევტთა" ექიმებმა დაადგინეს, რომ ადლერს მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩენის შანსი საერთოდ არ ემუქრება. შეგახსენებთ, მუნდიალზე იგი გერმანიის ეროვნული გუნდის მთავარი გოლკიპერი იქნება.

### ფაბრეგასი მოასწრებს...

ესპანეთის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" ნახევარმცველმა განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მომჯობინებას მოასწრებს. როგორც გახსოვთ, **სესკ ფაბრეგასი** ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, „ბარსელონასთან" შეხვედრაში დაშავდა, რამაც იმის დიდი საფრთხე შექმნა, რომ იგი მუნდიალზე ვერ გამგზავრებულიყო.

*„ახლა ესპანეთში ვიმყოფები, მაგრამ ლონდონში მალე დავბრუნდები ექიმთან კონსულტაციისა და შემდგომი გამოკვლევებისთვის. აუცილებლად დავესწრები სეზონის ბოლო მატჩს, რათა „არსენალის" გულშემატკივრებს თანადგომისა და მხარდაჭერისთვის მადლობა პირადად გადავუხადო. ამის შემდეგ ესპანეთში დავბრუნდები და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოვემზადები. დარწმუნებული ვარ, ესპანეთის ნაკრები სამხრეთ აფრიკაში ჩემ გარეშე არ გაემგზავრება",* - ამბობს ფაბრეგასი.

### ორტეგა ავარიაში

**არიელ ორტეგა** დილის 6 საათზე ბუენოს აირესში საკუთარი BMW-თი „მიცუბიშის" შეასკდა. „რივერ პლეიტის" ნახევარმცველი, რომელიც სამ მეგობართან ერთად მგზავრობდა, მსუბუქად დაშავდა. მისი თანამგზავრებიცა და მეორე მანქანაში მსხდომნიც უვნებლად გადარჩნენ, მაგრამ ორტეგა მაინც წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც ალკოტესტი ჩაუტარეს. არიელი ფხიზელი აღმოჩნდა და ინციდენტიც ამით ამოიწურა.

### დეკუ რეალისტია

**დეკუს** აცხადებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრები ფავორიტთა შორის არ იქნება. ამის მიზეზად იგი გუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელთა სიმრავლეს ასახელებს.

*„ბევრი დებიუტანტი გვყავს, რის გამოც უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა გაგვიჭირდება. ჩვენი გუნდი ძლიერია, მაგრამ მაინც მეეჭვება, 2006 წლის მუნდიალის მიღწევის გამეორება შეძლოს",* - ამბობს დეკუ. შეგახსენებთ, წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე მან და მისმა თანაგუნდელებმა მეოთხე ადგილი მოიპოვეს.

### მოურინიო განას უარყოფს

**ჟოზე მოურინიომ** ჭორი უწოდა ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს იგი მსოფლიოს ჩემპიონატზე განის ნაკრების გაწვრთნას აპირებდეს. *„ეს სრული სიცრუეა. არც განასთან და არც სხვა რომელიმე ნაკრებთან ერთად სამხრეთ აფრიკაში წასვლას არ ვაპირებ. ზაფხულში მხოლოდ და მხოლოდ საფუძვლიანად დასვენებას ვგეგმავ",* - აცხადებს „ინტერის" პორტუგალიელი თავკაცი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

სერია A დასკვნით ფაზაში

# რომა ლაციოს იმედად

## დიდი ბრძოლების მოლოდინში



პალერმო და სამპდორია საუცხოო სეზონს ატარებენ

**ვფიქრობთ, სერია A-ს ფინიში ფეხბურთის არც ერთ გულშემატკივარს არ ტოვებს გულგრილს, მათაც კი, რომლებსაც იტალიური ფეხბურთი დიდად არ უყვართ. მართლაც ძალიან საინტერესოდ ვითარდება მოვლენები თითოეული ქულისთვის და ყოველი ადგილისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული. ერთადერთი, რისი თქმაც დღეს თამამად შეგვიძლია, გახლავთ ის, რომ „ლივორნო" და „სიენა" უკვე გამოეთხოვნენ ელიტურ დივიზიონს. არა, ბოლო სამ ტურს აუცილებლად ითამაშებენ, აი მომავალ სეზონში კი უკვე სერია B-ში მოუწევთ ასპარეზობა.**

### გასავარდნი ზონა

თუ „კომუნისტები" უკვე დიდი ხანია ბედს შეგუებულნი არიან, „სიენასთვის" უდინეში მარცხი მართლაც ტრაგიკული გამოდგა. მართალია, გადარჩენის შანსი მიზერული იყო, მაგრამ ტოსკანელები არ ნებდებოდნენ და ყოველი შეხვედრის წინ საბრძოლო განცხადებებს უხვად აკეთებდნენ. „უდინეზემ" არ დაინდო „სიენა", დიდი ანგარიშით დაამარცხა მეტოქე და სერია B-შიც გაგზავნა. არადა, ბოლო ტურებში ტოსკანელებმა რამდენიმე მეტად კარგი შეხვედრა ჩაატარეს და მებრძოლ გუნდად დაგვამახსოვრეს თავი. შესანიშნავად ირჯება **მასიმო მაკარონე**, რომელსაც არ უნდა გაუჭირდეს ახალი კლუბის პოვნა. წესით, მასიმომ გაცილებით უფრო ამბიციურ გუნდში უნდა გააგრძელოს კარიერა. იგივე შეიძლება ითქვას **აბდელკადერ გეზალზე**, რომელმაც რამდენიმე ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა, მთლიანობაში სტაბილური თამაშით გამოირჩა და ალბათ, ახალ ნავსაყუდელს ისიც იოლად იპოვნის. ბუნებრივია, სერია A-ს გუნდებს ვგულისხმობთ.

აი, ვინ დაიკავებს იმ ვაკანტურ ადგილს, რომელიც კიდევ ერთ საგზურს იძლევა სერია B-ში, ამას ბოლო სამი ტური გვიჩვენებს. „ატალანტა" რთულ მდგომარეობაშია, მას მთელი ხუთი ქულა აშორებს მე-17 პოზიციაზე გამაგრებულ „ბოლონიასთან", მაგრამ ბერგამოელებს მაინც აქვთ შანსები და ამის თქმის საფუძველს მომდევნო ტურში გასამართი პაექრობა გვაძლევს. „ატალანტა" საკუთარ მოედანზე სწორედ „ბოლონიას" მიიღებს და თუ დაამარცხებს უშუალო კონკურენტს, ქულათა სხვაობა ორამდე შემცირდება. ანუ, „ნერაძური" ერთი ფეხის ნაბიჯზე მიუახლოვდება სანუკვარ მიზანს. ბერგამოული მატჩი მართლაც დიდ ინტერესს იწვევს, მერე რა, რომ ერთმანეთის პირისპირ გრანდები არ წარდგებიან.

ოპტიმისტურად არის განწყობილი „ატალანტას" მთავარი მწვრთნელი **ბარტოლო მუტი**: *„მომდევნო ტურში ჩვენს უშუალო კონკურენტს ვხვდებით და აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. გუნდი კარგ ფორმაშია და მჯერა, ეს ასეც მოხდება. ყველანი ერთი მიზნის ქვეშ ვართ გაერთიანებულნი, სერია A-ში ადგილი უნდა შევინარჩუნოთ. დანებებას ნამდვილად არ ვაპირებთ და ამაში ყველანი დარწმუნდებით".*

აქვე, გადავხედოთ „ბოლონიასა" და „ატალანტას" მიერ ჩასატარებელი შეხვედრების კალენდარს:

**XXXVI ტური**
ატალანტა-ბოლონია

**XXXVII ტური**
ბოლონია-კატანია
ნაპოლი-ატალანტა

**XXXVIII ტური**
ატალანტა-პალერმო
კალიარი-ბოლონია

### ჩემპიონთა ლიგა

**ალესანდრო დელ პიერო** გაწბილებულია და აცხადებს, რომ „ბარისთან" გამარჯვებას ფასი არ ჰქონდა. **დელიო როსიმ** ბედს შესჩივლა, ეტყობა განგებას არ უნდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშოთო - ეს ყველაფერი კი „სამპდორიას" მიერ „რომას" ძლევამ გამოიწვია. მართლაც ვერავინ წარმოიდგენდა თუ გენუელები „ჯალოროსის" მისსავე მოედანზე დაამარცხებდნენ და ასე გაუმრუდებდნენ სკუდეტოსკენ მიმავალ გზას. **ლუიჯი დელ ნერი** ბედნიერია და აცხადებს, რომ მისმა გუნდმა გამარჯვება დაიმსახურა:

*„შესანიშნავად ვითამაშეთ და სამი ქულა სრულიად დამსახურებულად ავიღეთ. ჩემი შეგირდები სწორად მოქმედებდნენ, საჭირო მომენტში საჭირო ადგილზე იყვნენ და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა ხელეწიფებათ. ბევრი ამბობს, „რომამ" დაცვაში შეცდომები დაუშვაო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. უბრალოდ, კარგად ვუტევდით და ამან თავისი შედეგი გამოიღო. ჩემპიონთა ლიგა? - მიზანი ახლოს არის, თუმცა მთავარი ბრძოლები წინ გველის".*

ჩემპიონთა ლიგა მიზანია, რომლისთვისაც „სამპდორიას" გარდა, კიდევ ორი გუნდი იბრძვის: „პალერმო" და „იუვენტუსი". ალბათ, „იუვეს" მაგივრად რომელიმე სხვა გუნდი რომ იყოს, ჩამოვწერდით კიდეც, მაგრამ ევროპული ფეხბურთის აღიარებულ გრანდთან გვაქვს საქმე და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. თუმცა, რეალობას თუ თვალებში ჩავხედავთ, „ბიანკონერის" ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსები მიზერულია. თავად განსაჯეთ, ტურინელები „სამპდორიას" მთელი ექვსი ქულით ჩამორჩებიან, ჩემპიონატის დასრულებამდე კი მხოლოდ სამი ტურია დარჩენილი. აი, რაც შეეხება „პალერმოს", აქ სულ სხვა ამბავია. სიცილიელები მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან გენუელებს და თანაც, XXXVII ტურში ისეთი მატჩი გველოდება, რომელმაც შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დააყენოს.

ალბათ, უკვე მიხვდით, რომ ერთმანეთის წინაშე სწორედ „პალერმო" და „სამპდორია" წარდგებიან. თანაც, თამაში სიცილიაში გაიმართება, გადაჭედილ „რენცო ბარბერაზე". იქ ამბავი იქნება, დედა შვილს არ აიყვანს ხელში. და მაინც, რა შანსები აქვს „იუვეს"? - მოდით გადავხედოთ დარჩენილ შეხვედრებს და დასკვნა თავად გამოიტანეთ:

**XXXVI ტური**
სამპდორია-ლივორნო
სიენა-პალერმო
კატანია-იუვენტუსი

**XXXVII ტური**
პალერმო-სამპდორია
იუვენტუსი-პარმა

**XXXVIII ტური**
სამპდორია-ნაპოლი
ატალანტა-პალერმო
მილანი-იუვენტუსი

### სკუდეტო

...და მივადექით მთავარს, საჩემპიონო ორთაბრძოლას, რომელიც „ინტერს" და „რომას" შორის არის გაჩაღებული. მას შემდეგ, რაც „ჯალოროსის" ფეხი დაუცდა და „ნერაძური" ორი ქულით წინ გაუშვა, ძალიან ბევრს გაუჩნდა ასეთი კითხვა - რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ გუნდებმა თანაბარი რაოდენობის ქულები დააგროვეს? - მეტად აქტუალური კითხვაა, რადგან თუ ასეთ შემთხვევაში უპირატესობა „ინტერს" ენიჭება, გამოდის, რომ დარჩენილი სამი შეხვედრიდან მილანელებმა ერთი ფრედაც რომ ითამაშონ, სკუდეტო მაინც მათ დარჩებათ. უნდა გავანბილოთ ლომბარდიული გრანდის გულშემატკივრები და აღვნიშნოთ, რომ ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, პრიორიტეტი ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენებ შედეგებს მიენიჭება. გავიხსენოთ „ინტერი" - „რომას" ურთიერთშეხვედრები - მილანში თამაში ფრედ 1:1 დასრულდა, რომში კი მასპინძლებმა იძალეს - 2:1. ანუ, თუ გუნდებმა ერთნაირი ქულებით ჩაამთავრეს პირველობა, ჩემპიონი „რომა" გახდება.

საგულისხმოა, რომ ურთიერთშეხვედრების პრინციპი მხოლოდ საჩემპიონო ორთაბრძოლაზე მოქმედებს, სხვა ყველა პოზიციაზე, უპირატესობა ბურთების შეფარდებას ენიჭება. აქვე დავძინოთ - რომ არა ზაფხულში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატი, ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდები ოქროს მატჩს ითამაშებდნენ. რეგლამენტის მიხედვით, თუ იტალიის ეროვნულ ნაკრებს სეზონის შემდეგ დიდ საფეხბურთო ფორუმზე არ უწევს ასპარეზობა, მაშინ სწორედ გადამწყვეტი მატჩი ინიშნება.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, „რომას" რჩება გარკვეული შანსები - თუ დედაქალაქელები სამივე შეხვედრას მოიგებენ, გამოდის რომ მილანელებმაც ცხრა ქულა უნდა დააგროვონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სკუდეტო სწორედ **კლაუდიო რანიერის** სამწყსოს დარჩება. და მაინც, რის იმედზეა „რომა"? - სად უნდა დაკარგოს „ინტერმა" ის ორი ქულა, რომელიც „ჯალოროსის" კიდევ ერთხელ გაუხსნის გზას ჩემპიონობისკენ? - ბედის ირონიით, „რომას" „ლაციოს" იმედზე უწევს ყოფნა. დიახ, ასეა, დარჩენილი შეხვედრებიდან „ინტერს" ყველაზე რთული პაექრობა სწორედ რომში ელის, სადაც „ბიანკოჩელესტეს" ესტუმრება. მართალია, „ჯენოაზე" გამარჯვებით „ლაციომ" პრაქტიკულად შეინარჩუნა სერია A-ში ადგილი, მაგრამ ამის ოფიციალურად გასაფორმებლად, მომდევნო ტურში მინიმუმ ერთი ქულის აღებაა საჭირო. „ლაციალე" საინტერესო დილემის წინაშე დგას: ერთი მხრივ, გუნდის პრესტიჟი, ელიტურ დივიზიონში დარჩენის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა და მეორე მხრივ, მოსისხლე მტრისთვის ხელის შეწყობა. საინტერესოა, რა პოზიციას დაიჭერენ „ბიანკოჩელესტეს" ტიფოზები, ბევრი რამე სწორედ მათზე იქნება დამოკიდებული.

კლაუდიო რანიერიმ უკვე ისაუბრა მომავალ პაექრობებზე და გამოთქვა იმედი, რომ დარჩენილი შეხვედრები ფეარ პლეის პრინციპების დაცვით ჩატარდება:

*„ძალიან დასანანია, რომ ლიდერობა დავკარგეთ, მაგრამ ეს რეალობაა და უნდა შევეგუოთ. არადა, პირველი ნახევარი ბრწყინვალედ ჩავატარეთ და ცოტა რომ გაგვმართლებოდა, ტაიმს ორი-სამი ბურთის სხვაობით მოვიგებდით. ვიტოვებ იმედს, რომ დარჩენილი შეხვედრები სამართლიან ბრძოლაში ჩატარდება და „ინტერი" კიდევ დაკარგავს ქულებს. ჩვენი მიზანია, ბოლო სამ ტურში ცხრა ქულა ავიღოთ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს".*

ბოლოს, გადავხედოთ დარჩენილ შეხვედრათა ჩამონათვალს და თავადაც დარწმუნდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია „ლაციო"-„ინტერის" რომაული პაექრობა:

**XXXVI ტური**
ლაციო-ინტერი
პარმა-რომა

**XXXVII ტური**
ინტერი-კიევო
რომა-კალიარი

**XXXVIII ტური**
სიენა-ინტერი
კიევო-რომა

**ლაშა წიკლაური**


კლაუდიო რანიერის რომამ სიმწრით მოპოვებული ლიდერობა დაკარგა

# ყველაფერი ბურგუნდიაში გადაწყდება



მატიო ვალბუენამ (მარცხნივ) მარსელი ტიტულს მიუახლოვა

ვინ იფიქრებდა სეზონის წინ, რომ ჩემპიონის ტიტულის ბედი „სტად დე აბე დეშამზე" გადაწყდებოდა, არადა უახლოეს პარასკევს სწორედ ასე იქნება, „ოსერისა" და „მარსელის" დაპირისპირებაში საკითხი ასე დგას, მოიგებს „ოსერი"? მაშინ ამ ორ გუნდს შორის ტიტულისთვის ბრძოლა ბოლომდე გაგრძელდება, ნებისმიერი სხვა შედეგი **დიდიე დეშამის** „ოლიმპიკს", ალბათ, გააჩემპიონებს. ვინ იფიქრებდა, რომ ჩემპიონატის ორი მთავარი გმირი ოსერელი **ირენეუშ იელენი** და მარსელელი **მატიო ვალბუენა** იქნებოდნენ, არადა „ოსერის" ბოლო წარმატებები სწორედ პოლონელ ფორვარდს უკავშირდება, მარსელელთა შემადგენლობაში კი ლიდერის ფუნქციები ხელთ 25 წლის ტანმორჩილმა ნახევარმცველმა ვალბუენამ იგდო.

სანამ ამ ორი პრეტენდენტის თამაშებზე ვიტყვით, მოქმედი ჩემპიონის მორიგ მარცხზე უნდა მოგითხროთ. **ლორან ბლანის** გუნდი ათიოდე ტურის წინ უბრალოდ გაჩერდა, ლიდერობას და ტიტულს ვინლა ჩივის, ჩემპიონატი კიდევ დიდ ხანს, რომ გრძელდებოდეს ჟირონდელებს გადარჩენისთვის მოუწევდათ ბრძოლა. 34-ე ტურში „ბორდო" „ლორიანს" ესტუმრა და **კევინ გამეიროს** ერთადერთი გოლის „წყალობით" დამარცხდა. მომდევნო ტურში „ბორდოს" ალბათ ოფიციალურად დაერქმება ექსჩემპიონი.

„ბორდომ" ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხი წააგო და ახლა გუნდს ევროთასების საგზურისთვის ბრძოლა უწევს. არადა თამაში სტუმრებმა უკეთ დაიწყეს, ვიდრე მასპინძლებმა. **იოან გურკუფმა** ბევრი იაქტიურა ის ხომ მამის, **კრისტოფ გურკუფის** გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა. მან თავზე დაასვა ბურთი **დიარას**, თუმცა მასპინძელთა გოლკიპერმა **ლიონელ კაპონემ** იმარჯვა. მალე **იაროსლავ პლაშილმა** გაიტანა, მაგრამ ოფსაიდიდან და, ბუნებრივია, მსაჯმა გოლი გააუქმა. გურკუფის გასროლა კაპონემ მოიგერია, **გუფრანისა** კი - „ლორიანის" კარის ძელმა.

57-ე წუთზე „ბორდო" ამდენი მომენტის გამოუყენებლობისთვის დაისაჯა - საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა კევინ გამეირომ **ლუდოვიკ სანე** მოატყუა და კარში დაარტყა, რამე თითქოს შეწვდა ბურთს, მაგრამ გუნდის გადარჩენა ვეტერანმა გოლკიპერმა ველარ შეძლო. „ბორდო" ისე დაიბნა, რომ **იან ჟოფრეს** უნდა გაეტანა, ბურთი ბოლო მომენტში ოდნავ შეეხო მცველს და ძელს მოხვდა. მატჩის მიწურულს გამეიროს კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა **რამეს** კარს - 1:0.

**კრისტიან გურკუფი** (ლორიანი): *„ჩვენ მოედანზე გავედით, რათა კარგად გვეთამაშა და მაყურებელთათვის სიამოვნება მიგვენიჭებინა. „ბორდო" ცუდ ფორმაშია, მათ განსაკუთრებით დაცვაში უჭირთ, არ ვიცი რა არის ამ გუნდის სახეცვლილების მიზეზი. ისინი გადამწვარები არიან ფიზიკურად და მორალურად, მათ შორის ჩემი შვილიც".*

**ლორან ბლანი** (ბორდო): *„ნუთუ ქულა მაინც არ დავიმსახურეთ? ყველაფერთან ერთად „ბორდოს" ზურგი ფორტუნამაც აქცია. პირველ ტაიმში რამდენჯერაც კარში დავარტყით ან მათმა მეკარემ ითამაშა ბრწყინვალედ ან კიდევ მასპინძლები ძელმა იხსნა. აუცილებლად უნდა გავსულიყავით წინ, მაგრამ ჩვენ ხომ ფატალურად არ გვიმართლებს. სამაგიეროდ, მეტოქეს ერთი მცირე შანსიც რომ შეექმნას ჩვენს კარში გოლი გარანტირებულია. იმედი მქონდა, რომ შუა კვირაში დასვენება წაგვადგებოდა, მაგრამ შევცდი. ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის საგზური ხელიდან გვეცლება".*

მატიო ვალბუენა ბოლო დროს ბრწყინვალედ თამაშობს, ის სამხრეთელთა შეტევების სულისჩამდგმელია და ახლა უკვე კომბინაციების დამგვირგვინებელიც. „მარსელს" „სენტ ეტიენთან" შეხვედრაში გამარჯვება, რომელიც ზედიზედ მეშვიდეა ჩემპიონატში, ვალბუენას ერთადერთმა გოლმა მოუტანა - 1:0.

„მაშინ", როცა გადაჭედილი „ველოდრომი" ანერვიულდა (თამაშის დასრულებას არაფერი უკლდა, მაგრამ გოლი სტუმართა კარში არ ჩანდა), ვალბუენამ გაიტანა. **კრისტოფ გალტიეს** გუნდი „ველოდრომზე" კარგ ხასიათზე გამოვიდა, მას შემდეგ, რაც „ლეს ვერტსის" ფეხბურთელებმა „ლე მანის" მარცხის შესახებ შეიტყვეს - „სენტ ეტიენს" ისევ 8 ქულა აშორებს გასავარდნ ზონას და შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ლიგა 1-ში დარჩენილია.

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *„ყველაზე მთავარი ფეხბურთში შედეგია, რაც დღეს ჩვენ მძიმე ბრძოლით მოვიპოვეთ. „სენტ ეტიენი" მომეწონა, კარგი გუნდია, მუდმივად ცდილობდა მეტოქე გოლის გატანას. პირველ ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ და გოლი, რომ გაგვეტანა საქმეს გავიიოლებდით. მეორე ტაიმში უკვე შებორკილები ვიყავით, მეტოქეც ძალზე „გვაწვებოდა". კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამ ჩემპიონატში იოლი მატჩი არ არსებობს. სიმართლე გითხრათ, ბევრს, თუ ყველაფერს არა, „ოსერთან" პარასკევის მატჩი გადაწყვეტს".*

**კრისტოფ გალტიე** (სენტ ეტიენი): *„ძალიან დასანანია, რომ ქულის მოპოვება ვერ შევძელით, არადა, ძალზე ახლოს ვიყავით ამასთან. ვფიქრობ, გავარდნის საფრთხე აცილებულია, „ოლიმპიკს" კი წარმატებას ვუსურვებ, თუმცა თავს წინასწარ ჩემპიონად მეტოქე ნუ ჩათვლის".*

„ოსერი" ტულუზის ესტუმრა, ეს **ჟან ფერნანდესის** გუნდის სერიოზული ტესტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბურგუნდიელებმა 3:0 მოუგეს მასპინძლებს. გამარჯვებაში ლომის წილი პოლონელმა ფორვარდმა ირენეუშ იელენმა დაიდო, რომელმაც დუბლი შეასრულა, თუმცა მანამდე ანგარიში **ბენუა პედრეტიმ** გახსნა, ეს მან მეორე ტაიმის დასაწყისში შეძლო. იელენმა ლიგა 1-ში უკვე 13 გოლი გაიტანა, ის სულ რაღაც ორი გოლით ჩამორჩება ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულ გამეიროსა და **მამადუ ნიანგს**.

**ჟან ფერნანდესი** (ოსერი): *„ძალიან კარგ ხასიათზე ვართ, წინა კვირაში 4 გოლი გავუტანეთ ძალიან კარგად ორგანიზებულ „ლორიანის" დაცვას, ახლა კი 3 გოლი გავუტანეთ ლიგაში მე-2 სიძლიერის დაცვის ხაზს. პარასკევს „მარსელს" ვმასპინძლობთ, მინდა გითხრათ, რომ ამ თამაშის ყველა ბილეთი გაყიდულია. ვნახოთ, ლიგის საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ როგორ ვითამაშებთ".*

გთავაზობთ „ეკიპის" მიერ შედგენილ ტურის სიმბოლურ ნაკრებს შეფასებებითურთ: **ლიონელ კაპონე** (ლორიანი, 8.0) - **კრისტოფ ჟალე** (პსჟ, 7.0), **ადამა კულიბალი** (ოსერი, 7.0), **სტეფან მბია** (მარსელი, 8.0), **მუჰამადუ დაბო** (სენტ ეტიენი, 7.0) - **ჟერომ ლეროა** (რენი, 7.0), **ლორენ აგუაზი** (ბულონი, 7.0), **მატიო ვალბუენა** (მარსელი, 8.0), **ანტონი მუნიე** (ნიცა, 7.0) - **კევინ გამეირო** (ლორიანი, 7.0), **ირენეუშ იელენი** (ოსერი, 7.0).

### მომდევნო ტური

27 აპრილი. გრენობლი-პარი სენ ჟერმენი, მონაკო-ლე მანი. 30 აპრილი. ოსერი-მარსელი. 2 მაისი. ბორდო-ტულუზი, ბულონი-ნიცა, ლილი-ნანსი, რენი-სოშო, სენტ ეტიენი-ლანსი, ვალანსიენი-ლორიანი, მონპელიე-ლიონი.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

### ნანსი-მონპელიე 0:0

**ნანსი (4-3-3):** ბრასილიანო - დიაკიტე, სამი, ანდრე ლუიზი, ლემაიტრი - ტრაორე, ნდიაიე (84. კა), ფერე - ბაკარი, ალოო (57. მალონგა), ბრიზონი (69. შაჰეშუში).

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - ბოკალი, სპაჰიჩი, ელკაუტარი (46. კოლინი), იანგამბივა - საიჰი, ბელჰანდა (90. კოიტა), პიტრო - ლაკომბი (72. დერნისი), მონტანიო, კამარა.

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 15-10 (3-3); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 16 361

### ლე მანი-ლილი 1:2

**ლე მანი (4-2-3-1):** ოვონო - კორჩია, ლუვიონი, ანდრადე, ბაალი - ნარი, ტომასი (68. გულონი) - დოსევი, ლე ტალეკი (74. ლამა), აბდი (82. ჰელსტადი) - მაიგა.

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - დებიუში, ბერია (64. ვანდამი), ჩედჯუ, ემერსონი - კაბაიე, მავუბა, დიუმონი (59. ჰაზარდი) - ობრანიაკი (80. ფრო), დე მელო, ჟერვინიო.

**გოლები:** 0:1 დე მელო (13), 1:1 მაიგა (55), 1:2 კაბაიე (79-პენ)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 23-18; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 17-13 (2-5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 10 301

### ლორიანი-ბორდო 1:0

**ლორიანი (4-4-2):** კაპონე - სოსა, მარშალი (76. ბურილიონი), კოშილნი, ლე ლანი (21. ბაკა) - ამალფიტანო, მვუემბა. დიუკასი, დიარა - გამეირო, ვაირუა (65. ჟოფრე).

**ბორდო (4-2-3-1):** რამე - შალმე, ენრიკე, სანე, პლასენტე (64. ბელიონი) - პლაშილი, დიარა - გუფრანი, გურკუფი (46. ტრაორე), ვენდელი - შამახი.

**გოლი:** 1:0 გამეირო (57)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 9-19; **თამაშგარე:** 9-3; **კარში დარტყმა:** 6-17 (1-6); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 15 708

### ნიცა-გრენობლი 2:1

**ნიცა (4-3-3):** ოსპინა - დიაკიტე, სიველი, პეისლი, გასე - ფაე, საბლე, კულიბალი (70. ბენ საადა) - რემი, მულუნგუი (79. ბამოგო), მუნიერი (87. ელბიკი).

**გრენობლი (4-4-1-1):** ვივიანი - კალვე, სესარი, ვიტაკიჩი (46. რენდულიჩი), სოჟე - კურტუა, დიოზი, ბატლე, მაცუი - აკრური (84. ტინანი) - ლიუბოია (65. ბოია).

**გოლები:** 0:1 აკრური (23), 1:1 მულუნგუი (36), 2:1 ფაე (77)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 18-9; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 15-12 (5-7); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 8 399

### პსჟ-რენი 1:1

**პსჟ (4-2-3-1):** ედელი - ჟალე, კამარა, სახო (67. სეარა), არმანი - ნგოი (85. კეჟმანი), კლემანი - ჟიული (65. ლუინდულა), სესენიონი, ერდინგი - ოარო.

**რენი (4-2-3-1):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, ბოკანეგრა - ლემოანი, მვილა - ბანგურა (70. კემბო-ეკოკო), ლეროა, მარვო (90. დუმბია) - ბრიანი (85. სოუ).

**გოლები:** 0:1 ლეროა (32), 1:1 ოარო (64)

**გაფრთხილება:** 3-0; **კუთხური:** 11-4; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 18-12 (5-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 32 596

### ტულუზი-ოსერი 0:3

**ტულუზი (4-2-3-1):** ბლონდელი - ებონდო, კაპუე, ნუნკეუ, მბენგე - ბერსონი (82. რეგატინი), სისოკო - მაშადო, დიდო (72. სირიეი), კაზიმ-რიჩარდსი (62. ბრაატენი) - ჟინიაკი.

**ოსერი (4-4-1-1):** სორენი - ენგბარი, კულიბალი, გრიხტინგი, ბერტო - ოლიეჩი (87. შაფნი), პედრეტი, დუდკა, ბირსა - ნიკულაე (89. კვერსია) - იელენი (80. კონტუტი).

**გოლები:** 0:1 პედრეტი (47), 0:2 იელენი (68), 0:3 იელენი (79)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 12-2; **ჯარიმა:** 12-9; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 16-5 (5-5); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 21 561

### ლანსი-ვალანსიენი 1:1

**ლანსი (4-2-3-1):** კასრაუი - დემონი, შელი, სარტრი, რამოსი - ერმახი, კოვაჩევიჩი - მონე-პაკე (76. ბედიმო), რუდე (82. სოუ), აკალე (70. მილოვანოვიჩი) - მაულიდა.

**ვალანსიენი (4-3-3):** პენეტო - მატერი (88. ტაე), ბიზევაცი, ანგუა, ბონგი - კადირი (74. საესი), გომისი, ტიენე (64. ბენ ხალფალაჰი) - დიუკურტუა, პუჟოლი, დანიჩი.

**გოლები:** 1:0 რუდე (37), 1:1 პუჟოლი (72)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 9-15; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 9-15 (5-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 34 182

### მარსელი-სენტ ეტიენი 1:0

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ბონარი, დიავარა, მბია, ჰაინცე - გონსალესი, სისე, კაბორე (71. შეირუ) - ვალბუენა (82. აბრიელი), ბრანდაო, ნიანგი (67. კონე).

**სენტ ეტიენი (4-4-2):** ჟანო - ვარო (75. პერენი), დიახატე, ბენალუანი, დაბო - საკო (66. ბერხესიო), ფერნანდესი (46. ნდავი), მატუიდი, პაიე - რივიერი, სანოგო.

**გოლი:** 1:0 ვალბუენა (6)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 18-16 (5-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 55 056

### სოშო-ბულონი 0:3

**სოშო (4-2-3-1):** რიშერი - დიუპლუსი, ფატი, ბრეშე, მიკარი - პუჟოლი (46. ბუტენი), გავანონი - მარტინი (77. პრივატი), სვერკოში (67. დიასი), მორის-ბელაი -ბრაუნი.

**ბულონი (4-3-1-2):** ბედენიკი - ლეკოინტი, სუმარე, ლაშო, რაბუელი - კარურუ (64. დაროშა), აგუაზი, დიუკატელი - კაპო - ტილი (80. ბლაიაკი), კუვილიე (38. იატაბარე).

**გოლები:** 0:1 ტილი (41), 0:2 იატაბარე (81), 0:3 ბლაიაკი (90)

**გაძევება:** ფატი (76. სოშო)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 2-0; **ჯარიმა:** 20-12; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 11-13 (4-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 14 112

ლიონი-მონაკო *12 მაისს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 34 | 21 | 8 | 5 | 62-32 | 71 |
| 2. ოსერი | 34 | 19 | 9 | 6 | 39-26 | 66 |
| 3. ლილი | 34 | 18 | 7 | 9 | 63-35 | 61 |
| 4. მონპელიე | 34 | 17 | 9 | 8 | 44-37 | 60 |
| 5. ლიონი | 33 | 16 | 11 | 6 | 54-35 | 59 |
| 6. ბორდო | 33 | 17 | 6 | 10 | 51-33 | 57 |
| 7. ლორიანი | 34 | 15 | 8 | 11 | 49-37 | 53 |
| 8. რენი | 34 | 14 | 10 | 10 | 48-33 | 52 |
| 9. მონაკო | 33 | 14 | 7 | 12 | 34-38 | 49 |
| 10. პსჟ | 34 | 12 | 10 | 12 | 47-36 | 46 |
| 11. ვალანსიენი | 33 | 13 | 6 | 14 | 43-45 | 45 |
| 12. ნანსი | 34 | 12 | 8 | 14 | 40-45 | 44 |
| 13. ტულუზი | 34 | 11 | 10 | 13 | 35-33 | 43 |
| 14. ლანსი | 34 | 10 | 10 | 14 | 31-39 | 40 |
| 15. ნიცა | 34 | 11 | 7 | 16 | 34-50 | 40 |
| 16. სოშო | 34 | 10 | 8 | 16 | 25-46 | 38 |
| 17. სტ. ეტიენი | 34 | 9 | 9 | 16 | 24-39 | 36 |
| 18. ლე მანი | 34 | 7 | 7 | 20 | 32-53 | 28 |
| 19. ბულონი | 34 | 6 | 9 | 19 | 27-56 | 27 |
| 20. გრენობლი | 34 | 3 | 7 | 24 | 24-58 | 16 |

**ბომბარდირები:** 15 - გამეირო (ლორიანი), ნიანგი (მარსელი); 14 - ნენე (მონაკო); 13 - ერდინგი (პსჟ), იელენი (ოსერი), ასამოა გიანი (რენი), ლოპესი (ლიონი); 12 - ჟერვინიო (ლილი), ფრო (ლილი); 11 - რემი (ნიცა); 10 - შამახი (ბორდო), მონტანიო (მონპელიე), ჰაჯი (ნანსი), კაბაიე (ლილი).

## ლიგა 2

### XXXIV ტური

**ტური-ვანი** 1:1

გოლები: 0:1 რესე (24), 1:1 ატიკი (55)

**ნანტი-სედანი** 1:3

გოლები: 1:0 აბდუნი (8), 1:1 კარაბუე (18), 1:2 მოკაკე (40), 1:3 ალარი (69)

**ლავალი-აიაჩო** 2:2

გოლები: 0:1 რივიერი (41), 1:1 ჟენესი (61), 2:1 შაპუა (70), 2:2 რივიერი (90)

**ისტრი-ბრესტი** 1:0

გოლი: 1:0 ნური (36)

**გენგამი-შატორუ** 1:1

გოლები: 1:0 მატისი (86), 1:1 ბაბი (89)

**დიჟონი-კლერმონი** 2:3

გოლები: 1:0 კიტამბალა (21), 1:1 ბრაჰიმი (45-პენ), 1:2 ჟოსიდერი (56), 2:2 ზივიეცკი (75), 2:3 არმანი (90-პენ)

გაძევება: მალიცკი (43. დიჟონი), სუპრაიენი (90. დიჟონი)

**ბასტია-სტრასბური** 1:0

გოლი: 1:0 პენტეკო (90)

გაძევება: ხაზრი (87. ბასტია)

**ნიმი-ანჟერი** 0:1

გოლი: 0:1 რენოარი (90)

**მეცი-არლი** 1:2

გოლები: 1:0 მენდი (17), 1:1 ნდიაიე (45), 1:2 დეილი (90)

გაძევება: ლირონი (25. არლი)

**ლე ავრი-კაენი** 1:1

გოლები: 1:0 მესლუბი (1), 1:1 არაბი (7)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 34 | 17 | 14 | 3 | 47-24 | 65 |
| 2. ბრესტი | 34 | 18 | 7 | 9 | 48-28 | 61 |
| 3. არლი | 34 | 14 | 11 | 9 | 41-36 | 53 |
| 4. კლერმონი | 34 | 14 | 8 | 12 | 44-37 | 50 |
| 5. მეცი | 34 | 12 | 13 | 9 | 39-37 | 49 |
| 6. ანჟერი | 34 | 13 | 9 | 12 | 40-39 | 48 |
| 7. ტური | 34 | 11 | 14 | 9 | 45-41 | 47 |
| 8. ნიმი | 34 | 12 | 10 | 12 | 33-39 | 46 |
| 9. ლავალი | 34 | 9 | 18 | 7 | 42-34 | 45 |
| 10. სედანი | 34 | 10 | 15 | 9 | 43-40 | 45 |
| 11. ლე ავრი | 33 | 12 | 9 | 12 | 38-41 | 45 |
| 12. დიჟონი | 34 | 10 | 14 | 10 | 43-41 | 44 |
| 13. ნანტი | 34 | 11 | 9 | 14 | 41-48 | 42 |
| 14. აიაჩო | 33 | 11 | 8 | 14 | 35-38 | 41 |
| 15. სტრასბური | 34 | 9 | 13 | 12 | 39-43 | 40 |
| 16. გენგამი | 34 | 7 | 16 | 11 | 30-35 | 37 |
| 17. ვანი | 34 | 8 | 13 | 13 | 34-45 | 37 |
| 18. ისტრი | 34 | 9 | 10 | 15 | 29-47 | 37 |
| 19. შატორუ | 34 | 7 | 14 | 13 | 42-51 | 35 |
| 20. ბასტია | 34 | 9 | 7 | 18 | 37-46 | 34 |

**ბომბარდირები:** 20 - ჟირუ (ტური); 18 - მოდესტე (ანჟერი); 14 - რუ (ბრესტი), რიბასი (დიჟონი); 13 - ანდრე (ბასტია); 12 - ფოვერჟი (სტრასბური); 11 - ბუენგო (შატორუ), დიალო (ლე ავრი), ალარი (სედანი); 10 - კიტამბალა (დიჟონი), პენტეკო (ბასტია), დეილი (არლი), აიტე (ნიმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# ერთი პენალტი და მილიონი წელი

ბირმინგემული დერბი ასე დამთავრდა: **ალექს მაკლიშმა** და მისმა ფეხბურთელებმა „ვილა პარკი" სასტიკად განაწყენებულებმა დატოვეს - ამ სეზონში თამაშის ბედი „ასტონ ვილას" სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ უკვე მერამდენედ გადაწყვიტა საეჭვო პენალტმა. პენალტებში „ვილას" თავკაც **მარტინ ონილს** ხან უმართლებს, ხანაც არა. ამჯერადა გაუმართლა. შეხვედრის დასრულებამდე 7 წუთილა რჩებოდა, როდესაც მსაჯმა **მარტინ ატკინსონმა** „ბირმინგემის" კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა.

*„ეს პენალტი არ იყო. მილიონი წელი გავა და ვერავინ დამიმტკიცებს, რომ ამ ეპიზოდში მსაჯს თერთმეტმეტრიანი დარტყმა უნდა დაენიშნა".* - განაცხადა მაკლიშმა, ხოლო **როჯერ ჯონსონმა**, ფეხბურთელმა, რომელმაც **გაბრიელ აგბონლაორს** თითქოსდა ფეხი დაუდო, ატკინსონს შერცხვენილი კაცი უწოდა.

მაკლიში: *„პენალტი? ვინმემ დაინახეთ წესის დარღვევა? სირცხვილია, როდესაც მსაჯი ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს და მართალი არ არის. ჯერ ერთი, მას იმ ეპიზოდის კარგად დანახვის შანსი არ ჰქონდა. იგი ძალიან შორს, უკან იდგა. მაგრამ, მან იცის, რომ აგბონლაორი სწრაფი ფეხბურთელია და რაკილა წაიქცა, ესე იგი წააქციეს - ასეთი იყო მსაჯის მსჯელობა. თან, თამაში „ვილა პარკზე" ტარდებოდა, ხალხმა იხუვლა, პენალტი მოითხოვა, ბურთის ისეთი მიმართულებით გაგორდა, რომ ძალიან ჰგავდა სარმას... ამ ყველაფერმა ატკინსონი შეაცდინა. არადა, ვარდნა ტექნიკური ელემენტია და მას ოსტატურად სჭირდება შესრულება. როჯერ ჯონსონმა სახელი სწორედ ამ ილეთის უზადო შესრულებით გაითქვა. აგბონლაორი მას ასწრებდა, მაგრამ ჯონსონი გასრიალდა და ბურთს ფეხი გაუკრა. მოკლედ, ლოგიკურად შემიძლია ავხსნა, რამ მოატყუა მსაჯი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მან ისე დაუსტვინა, რომ ასი პროცენტით დარწმუნებული არ იყო".*



როჯერ ჯონსონისა (მარცხნივ) და გაბრიელ აგბონლაორის ორთაბრძოლა, რასაც საკამათო პენალტი მოჰყვა

ჯონსონმა თავის მხრივ დასძინა: *„ბურთს ფეხი გავკარი, ყველაფერი აბსოლუტურად სუფთად იყო, პენალტი არ უნდა დანიშნულიყო. მსაჯი მართალი არ იყო. წესებში წერია, რომ თუ დარწმუნებული არ ხარ, გადაწყვეტილება არ უნდა მიიღო. მაგრამ, რა გინდა ქნა, როდესაც მსაჯმა სამარცხვინო რამ გააკეთა? გადაწყვეტილება მან კი არა, ტრიბუნებმა მიიღეს, ტრიბუნებმა დანიშნეს პენალტი. ვერ გეტყვით, ატკინსონს მაყურებლებთან ურთიერთობის რა გამოცდილება აქვს, მაგრამ მან ჩვენ თამაში რომ წაგვაგებინა, ფაქტია. მთელი ეს „მსაჯთა პატივისცემის" კამპანია, რომელიც ფეხბურთის ასოციაციამ წამოიწყო, მასხარაობაა. საკმარისია ამ ხალხთან შენი სიმართლით მიხვიდე და დალაპარაკება სცადო, რომ თავიდან მოგიშორებენ. თანამსაჯი იქ არ ჰყავდა? რისთვის არსებობს თანამსაჯი? მთავარ მსაჯს რომ დაეხმაროს, არა? მაგრამ, ამ შეხვედრაში ის მხოლოდ ერთ ფრაზას იმეორებდა: წადი აქედან, წადი აქედან"!*

ზემოთ მარტინ ონილის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ დანიშნული პენალტები ვახსენეთ. სასარგებლოზე უკვე ვთქვით, საწინააღმდეგო კი ორიოდ კვირის წინ, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში ვიხილეთ, როდესაც იგივე აგბონლაორი **ჯონ ობი მიკელმა** წააქცია, მსაჯმა **ჰოვარდ ვებმა** კი ვერ შეამჩნია. ონილი დღემდე მისტირის ვების მაშინდელ გადაწყვეტილებას...

**ილია ბაბუნაშვილი**



უეინ რუნი და ჯეიმს მილნერი

დაჯილდოება

# საუკეთესო კოლეგა!

**უეინ რუნი** პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ წლის საუკეთესოდ დაასახელა. „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავმა გამოკითხვაში გაასწრო **სესკ ფაბრეგასს, კარლოს ტევესსა** და **დიდიე დროგბას**. ძალიან მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ აგერ უკვე ზედიზედ მეოთხე წელიწადია ამ პრესტიჟულ ჯილდოს „იუნაიტედის" ფეხბურთელი ეუფლება. 24 წლის თავდამსხმელმა, რომელმაც მიმდინარე სეზონში საკლუბო დონეზე 34 გოლი გაიტანა, ნაკრების მაისურით კი 8 შეაგდო, თქვა:

*„ამ ჯილდოს მოგება ძალიან დიდი პატივია, რადგან ხმას კოლეგები გაძლევენ. მახსოვს, რა ბედნიერი მოვედი აქ 2005 და 2006 წლებში, როდესაც საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის ჯილდო გადმომცეს. მაშინ ვუყურებდი, როგორ გადასცემდნენ გამარჯვებულებს დიდ ჯილდოს და ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ ასეთივე მეც აუცილებლად უნდა მომეგო".*

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის ჯილდო ამჯერად „ასტონ ვილას" გარემარბმა **ჯეიმს მილნერმა** მიიღო. შეგახსენებთ, რომ მილნერი **ფაბიო კაპელოს** სიმპათიისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშისთვის იბრძვის.

*„საზარდულის ტრავმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დამიამდება. ამაზე გულშემატკივარს შეუძლია არ ინერვიულოს. იმედი მაქვს, რომ ამ სეზონში „იუნაიტედის" ბოლო შეხვედრაშიც კი ვითამაშებ",* - თქვა დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ რუნიმ.

ასოციაციის მიერ დასახელებული პრემიერლიგის ნაკრები კი ასეთია: **ჯო ჰარტი** (ბირმინგემი), **ბრანისლავ ივანოვიჩი** (ჩელსი), **რიჩარდ დანი** (ასტონ ვილა), **ტომას ვერმაელენი** (არსენალი), **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ანტონიო ვალენსია** (მანჩესტერ იუნაიტედი), **დარენ ფლეტჩერი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ჯეიმს მილნერი** (ასტონ ვილა), **სესკ ფაბრეგასი** (არსენალი), **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **დიდიე დროგბა** (ჩელსი)

**ილია ბაბუნაშვილი**




შეჯამება

# პრიმერას 10 წარუმატებელი ტრანსფერი

ესპანური სეზონის წინ „რეალმა" ნამდვილი სატრანსფერო ქარბორბალა დააყენა, რომლის წყალობითაც ლა ლიგის რამდენიმე სუპერვარსკვლავი შეემატა, თუმცა გამოაკლდა კიდეც. ერთი-ორი ხმაურიანი ტრანსფერი „ბარსელონამაც" გააკეთა. მათ შეძლებისდაგვარად აჰყვა პრიმერას სხვა 18 გუნდი. მოკლედ, ბევრი რამ, უფრო კი ვინ, შეიცვალა ესპანეთში და, ალბათ, დროა შევაფასოთ, რომელმა ტრანსფერმა გაამართლა და რომელმა - ვერა.

გთავაზობთ ლა ლიგის ათ ისეთ ტრანსფერს, რომელმაც მოლოდინი ვერ გაუმართლა ვერც გუნდს და ვერც გულშემატკივრებს.

## 10. კაკა (რეალი)

„რიკის" უცნაური პირველი სეზონი აქვს „ლოს მერენგესის" შემადგენლობაში, მაშინ როცა მწვავე კრიტიკოსები მის პროდუქტიულობას აკრიტიკებენ, სტატისტიკა სხვას გვეუბნება - როცა კაკა მოედანზეა, ის „რეალის" შეუცვლელი წევრია. მან 19 თამაშში 8 გოლი გაიტანა და 5 საგოლე პასი გააკეთა. ტრანსფერის „ჩავარდნის" მიზეზი კი ქრონიკული ტრავმაა, რომელიც ექიმებმა მხოლოდ მადრიდში დაუდგინეს ფეხბურთელს.

## 9. ალბერტო ბუენო (ვალიადოლიდი)

„რეალმა" „ვალიადოლიდს" ახალგაზრდა ბუენო 3 მილიონ ევროდ დაუთმო, აბა სად კაკას 65 მილიონი ევრო და სად - 3, მაგრამ „ვალიადოლიდის" დარი გუნდისთვის ეს თანხაც მეტისმეტია. 22 წლის ბუენომ კი ვერაფერი გვაჩვენა, რაც ამხელა თანხად ღირდეს. ბუენოს სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა უჭირს (7 სტარტი სეზონში), მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი გოლია, არადა ის ხომ ერთ-ერთ სუსტ გუნდში თამაშობს ესპანეთში.

## 8. ივან მარკანო (ვილიარეალი)

„ელ სუბმარინოს" ხელმძღვანელობა ამაყობდა, რომ მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის პირობებში მათ გუნდის რეორგანიზაცია ჭკვიანურად შეძლეს. გვეეჭვება ამ გამონათქვამისა - მარკანოს ტრანსფერი 6 მილიონი ევრო დაჯდა. 22 წლის მცველი რამდენჯერაც გამოჩნდა მოედანზე იმდენჯერ ცუდად ითამაშა. „რეალთან" 2:6 მარცხის შემდეგ მარკანოს უბრალოდ ალარ აკარებენ მწვანე მინდორს.

## 7. მიგელ ანხელ მოია (ვალენსია)

მას შემდეგ, რაც **კანისარესმა** თამაში დაასრულა „ღამურებს" პირველი ნომრის პრობლემა აქვთ. **ტიმო ჰილდებრანდი** და **რენანი** „მესტალიაზე" ვერ დამკვიდრდნენ. ზაფხულში „ვალენსიამ" ფსონი „მალიორკას" კარის დარაჯ **მოიაზე** გააკეთა და მის ნაცვლად თითქმის 6 მილიონი გადაიხადა. და რას ვხედავთ ახლა, კარში ისევ 38 წლის ვეტერანი **სესარი** დგას.

## 6. სერხიო ასენხო (ატლეტიკო)

როცა „ატლეტიკო" „ვალიადოლიდისგან" 20 წლის მეკარეს ყიდულობდა, მისი ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ ახალი **კასილიასი** შეიძინა. მართლაც ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერს მომავალში ესპანეთის ნაკრების პირველ მეკარეობას უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ სეზონის დასაწყისში მადრიდელთა მცველების საშინელმა თამაშმა, მეკარეს ფორმა და თვითრწმენა დაუკარგა. ახლა კი კარს მასზე ორი წლით უმცროსი **დავიდ დე ხეა** იცავს, რომელიც მასზე ნიჭიერი და პერსპექტიული აღმოჩნდა.



შუნსუკე ნაკამურამ ესპანეთი ვერ მოხიბლა

## 5. ალვარო ნეგრედო (სევილია)

როცა „ვალეკასის მხეცი" „რეალმა" 15 მილიონის სანაცვლოდ „სევილიაში" გაასხვისა, ბევრი მიიჩნევდა, რომ „სამეფო კლუბი" მწარედ შეცდა. ნეგრედო მაინცდამაინც ვერ უმართლებს ანდალუსიელებს იმედებს, იყო 15-მატჩიანი სერია, რომლის დროსაც ნეგრედომ მხოლოდ 1 გოლი გაიტანა. როცა **ლუიშ ფაბიანო** და **ფრედერიკ კანუტე** მწყობრშია არიან, „სევილიას" სასტარტოში „ვალეკასის მხეცის" ადგილი არ რჩება.

## 4. ჟერმეინ პენანტი (სარაგოსა)

როცა ვინგერმა „ლივერპული" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა და „სარაგოსაში" გადავიდა, ვიფიქრეთ, ნიჭიერი ფეხბურთელის კარიერა აღმასვლით წავიდოდა. სეზონის დასაწყისში ის სულ სასტარტოში ხვდებოდა, მაგრამ ვერც გოლი გაჰქონდა და ვერც გუნდურად თამაშობდა, წლეულს ინგლისელმა სასტარტოშიც დაკარგა ადგილი. არაგონელთა გუნდის მთავარი საზრუნავი ახლა ასეთია - როგორ მოიცილონ თავიდან პენანტი.

## 3. დმიტრო ჩიგრინსკი (ბარსელონა)

დონეცკის „შახტარიდან" 25 მილიონ ევროდ კატალონიურ გუნდში გადაბარგდა. 23 წლის ჩიგრინსკი საუკეთესო შემთხვევაში რომელიმე ტრავმირებულ მცველს ცვლის. იმდენიად უნიათოდ თამაშობს, რომ „ბარსას" გულშემატკივართა ანტიპათია დაიმსახურა.

## 2. ქარიმ ბენზემა (რეალი)

ფრანგმა „რეალის" მოსამზადებელ პერიოდში 5 გოლი გაიტანა და თითქოს იოლად შეერწყა გუნდს, მაგრამ დაიწყო პირველობა და ბენზემა ხშირად ანსამბლიდან ამოვარდნილია, ვერ იყენებს შანსებს. ამის გამო ის სასტარტო შემადგენლობის იშვიათი „სტუმარია". როცა ბენზემამ ენის ბარიერი გადალახა და გოლების გატანა დაიწყო, ტრავმა მიიღო. 8 გოლი არცთუ ცუდი შედეგია ფეხბურთელისთვის, მაგრამ არა 35 მილიონ ევროდ შეძენილი ვარსკვლავისთვის.

## 1. შუნსუკე ნაკამურა (ესპანიოლი)

იაპონელი ვარსკლავი კატალონიაში ლამის მხსნელად მონათლეს. მართალია, 31 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ არაფერი გადაუხდიათ, მაგრამ „ესპანიოლმა" ყოფილ სელტიკელს საკმაოდ დიდი ხელფასი დაუნიშნა. ნაკამურამ სულ 12-ჯერ მოირგო „ესპანიოლის" მაისურა და იაპონიაში, „იოკოჰამა მარინოსში" დაბრუნდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ათი ყველაზე...

# უდიდესი გამთამაშებლები


პელე


რობერტო ბაჯო

არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთ გუნდებს დასრულებულ სახეს აძლევენ. ხომ გაგიგონიათ, ამისა და ამის იერსახეზე ამან და ამან იზრუნაო, - ზუსტად ისე. ეს ადამიანები შემოქმედებითი ნიჭით არიან დაჯილდოებულნი, ისინი ერთი პასით თამაშის მიმართულებასა და რიტმს ცვლიან. მათი ეს პასი მეტოქეს პირდალებულს ტოვებს, პარტნიორი კი იდეალურ მდგომარეობაში იღებს ბურთს და გოლის გატანის მეტი არაფერი დარჩენია. ინგლისურ ფეხბურთში (ამას კი იმიტომ ვამბობთ, რომ ის, რასაც ქვემოთ გთავაზობთ, გაზეთ „სანის" შედგენილია), ასეთ მოთამაშეებს ფლეიმეიქერებს უწოდებენ, რაც ქართულად პირდაპირ რომ ვთარგმნოთ „თამაშის გამკეთებელს" ნიშნავს, თუმცა თარგმნა რაში გვჭირდება, როდესაც თავად გვაქვს ლამაზი და შინაარსის ზუსტად გამომხატველი სიტყვა - გამთამაშებელი.

დღეს, როცა მსოფლიო ფეხბურთს ვარსკვლავების ახალი ტალღა შემოესია, ზემოხსენებულმა „სანმა" გადაწყვიტა წარსულში გამორჩენილი გამთამაშებლების ათეული ჩამოგვითვალოს. ჩვენ, რასაკვირველია, სულაც არ ვართ ვალდებული, „სანის" ვერსია უაპელაციოდ მივიღოთ, თუმცა ის, რომ ინგლისური გაზეთის ტრადიციულმა რუბრიკამ ძველი ვარსკვლავების გახსენებისა და სასიამოვნო კამათის საშუალება მოგვცა, დიდებულია. ამრიგად, გთავაზობთ საუკეთესო გამთამაშებელთა სანისეულ ათეულს:

## 10. მიქაელ ლაუდრუპი

**ივან სამორანომ**, რომელიც დანიელთან ერთად 1990-იან წლებში მადრიდის „რეალში" თამაშობდა, თქვა, ეს კაცი ნამდვილი გენიოსიაო. თუმცა, მანამდე, „რეალის" თავგადაკლული მტრის „ბარსელონას" შემადგენლობაში ლაუდრუპს თავისი გენიოსობა უკვე დამტკიცებული ჰქონდა, თან მეტისმეტად მკაფიოდ. იგი „კამპ ნოუზე" „იუვენტუსიდან" გადავიდა. ეს 1989 წელს მოხდა და იქ, „ბარსელონაში" **იოჰან კრუიფის** ხელმძღვანელობით დანიის ლეგენდარული ნაკრების ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ვარსკვლავმა საოცარი ფეხბურთი ითამაშა. მან 1991-1994 წლებში ზედიზედ ოთხჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონის ტიტული შემდეგ კი ასეთი რამ მოხდა: კრუიფმა **რომარიო** იყიდა, ამის გამო გუნდში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ლაუდრუპმა და მწვრთნელმა ერთმანეთზე გული აიცრუეს და დანიელიც... „რეალში" გადავიდა. თქვენ გგონიათ, შეცდა? არამც და არამც, იგი გახდა პირველი ფეხბურთელი, ვინც „ლა ლიგის" ტიტული ორ სხვადასხვა გუნდში ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა.

## 9. რონალდინიო

ამდენი საფეხბურთო ტრიუკი, ალბათ, დედამიწის ზურგზე სხვამ არავინ იცოდა. ის ევროპულ ფეხბურთში 21 წლისა შემოვარდა, როდესაც „გრემიოდან" „პარი სენ ჟერმენში" გადავიდა, თუმცა ფრანგულ გუნდში ციდან ვარსკვლავები იმდენად არ მოუწყვეტია, რამდენადაც 2003 წლის შემდეგ „ბარსელონაში". „კამპ ნოუზე" გატარებულ ხუთ წელიწადში მან 145 შეხვედრაში 70 გოლი გაიტანა, ორჯერ ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიგო, ხოლო ერთხელ ჩემპიონთა ლიგაში იზეიმა. ამასთან, რონალდინიომ ბლომად მოიხვეჭა ინდივიდუალური ჯილდოც: ზედიზედ ორჯერ გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ფიფას ვერსიითა და „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთის" მფლობელი. რაც შეეხება სანაკრებო კარიერას, რონალდინიომ აქაც უდიდეს სიმაღლეებს მიაღწია - 2002 წელს ის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

## 8. ფერენც პუშკაში

უნგრული ფეხბურთის ლეგენდა ფერენც პუშკაში თავის სამშობლოში 15 წლიდან ბრწყინავდა. იქ, მან 341 შეხვედრაში 352 გოლი გაიტანა. მაგრამ, როდესაც 31 წლისა მოიყარა, ესპანეთის ჩემპიონატმა, კერძოდ მადრიდის „რეალმა" უხმო და 1958 წელს ეს „ჯადოსნური" ტრანსფერიც განხორციელდა. „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასული ვეტერანი კვლავ დიდებულად თამაშობდა, მას გოლი გოლზე გაჰქონდა. „ლა ლიგაში" თავის პირველ სეზონში მან ოთხი ჰეთ-თრიკი შეასრულა, ხოლო შემდგომი ექვსი სეზონის განმავლობაში თითოში, სულ მცირე, 20 გაჰქონდა. პუშკაში გახლდათ ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იმ „რეალისა", რომელმაც 60-იანი წლების პირველ ნახევარში ხუთჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. მისი დახმარებით „თეთრებმა" სამჯერ ჩემპიონთა თასიც აღმართეს.



ზინედინ ზიდანი

## 7. რობერტო ბაჯო

მიუხედავად იმისა, რომ რობერტო ბაჯო „ფიორენტინას" ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, მისმა საუკეთესო პერიოდმა „ფიორენტინას" ქომაგთა საძულველი გუნდის „იუვენტუსის" შემადგენლობაში გაიარა. „ღვთაებრივმა ცხენისკუდამ" 1993 წელს „ბებერი ქალბატონის" შემადგენლობაში უეფას თასი მოიპოვა, შემდეგ იტალიის ჩემპიონის ტიტულიც მოიგო და ბოლოს ამას ქვეყნის თასი დაამატა. ტურინში ბაჯომ ხუთი წელიწადი გაატარა და 141 შეხვედრაში 78 გოლი შეაგდო. რაც შეეხება მის მონაწილეობას მსოფლიოს სამ ჩემპიონატში, ეს, არც მეტი არც ნაკლები, პირდაპირი დამტკიცება გახლდათ იმისა, რომ ბაჯო თავისი ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი გამთამაშებელი გახლდათ.

1990 წელს მან ჩეხოსლოვაკიის კარში გაიტანა გოლი, რომელიც ტურნირის ულამაზეს გოლად აღიარეს, 1994 წელს მან „სკუადრა აძურა" ფინალამდე თავისი ზურგით ატარა, ტურნირის განმავლობაში 5 გოლი გაიტანა, მაგრამ ფინალში, ბრაზილიასთან პენალტების სერიაში თერთმეტმეტრიანი უზუსტოდ დაარტყა და რასაკვირველია, განტევების ვაცადაც იქცა.

## 6. დენის ბერგკამპი

მას მერე, რაც „აიაქსის" შემადგენლობაში 185 შეხვედრაში 103 გოლი გაიტანა, ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა (რომელსაც ფრენის ეშინოდა) მილანის „ინტერში" ორი უსახური წელიწადი გაატარა და 1995 წელს „ჰაიბერიზე", ანუ ლონდონის „არსენალში" გადავიდა. აქ, მან 11 წელიწადი გაატარა და თანამედროვე ეპოქის უდიადეს ფეხბურთელთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. მასზე **ტიერი ანრიმ** თქვა: *„დენისი საუკეთესო ფეხბურთელია მათ შორის, ვის მხარდამხარაც მითამაშია".*

„მეთოფეთა" ლეგენდა **იან რაიტი** მას მესიას უწოდებდა. ბერკამპი გახლდათ განა მარტო პასების ოსტატი, მას გოლების გატანაც ფრიად ეხერხებოდა. „ლესტერს" ერთხელ, ერთ თამაშში სამი ისეთი გოლი გაუტანა, რომ თვის ულამაზეს გოლებში პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გავიდა. „არსენალის" შემადგენლობაში მან 11 ჯილდო მოიგო. იგი გახლდათ წევრი იმ „არსენალისა" რომელიც ისტორიას „უძლეველთა" სახელით შემორჩა და რომელიც ისე გახდა ჩემპიონი, რომ ერთი თამაშიც არ წაუგია.

## 5. მიშელ პლატინი

ეს გახლდათ უნიკალური ფეხბურთელი, რომელსაც თამაშის საოცარი წაკითხვა შეეძლო და როგორც ნაკრებში, ასევე თავის ყველა კლუბში გუნდის ნებისმიერი შეტევის სული და გული გახლდათ. ფრანგი გამთამაშებელი თავიდან „ნანსიში" გამოდიოდა, შემდეგ „სენტ ეტიენში", იქიდან კი „იუვენტუსში" გადავიდა და კარიერის საუკეთესი პერიოდიც სწორედ იქ გაატარა. მიშელ პლატინის „იუვენტუსმა" ორჯერ იტალიის ჩემპიონის ტიტული მოიგო. 1985 წელ ის გახლდათ „ეიზელის" ცნობილი ფინალის ერთადერთი გოლის ავტორი. სამჯერ იყო იტალიური სეზონის საუკეთესო ბომბარდირი და, რაც მთავარია, ზედიზედ (!) სამჯერ მოიპოვა „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთი".

თუმცა, ყველაზე დიდი წარმატება მიშელ პლატინის 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე ხვდა. ის ტურნირზე გამორჩეული ფიგურა გახლდათ და 9 გოლი გაიტანა.

## 4. ზინედინ ზიდანი

დავიწყოთ იმით, რომ **ზიზუმ** 1996 წელს „ბორდოდან" „იუვენტუსში" გადასვლის შემდეგ იტალიურ ფეხბურთს ახალი ნაპერწკალი შესძინა. ამას მოჰყვა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ლიდერის პოზიციაზე იყო და ფინალში ბრაზილიასთან ორი გოლი გაიტანა. შმდეგ იყო 2000 წლის ევროპის ჩემპიონობა, ხოლო მუნდიალსა და ევროპის პირველობას შორის შუალედში ზიდანი ზედიზედ ორჯერ გახდა ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. 2001 წელს ზიზუ სარეკორდო თანხის საფასურად „რეალში" გადავიდა და პირველსავე სეზონში გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებამდე მიიყვანა - გაიხსენეთ არაჩვეულებრივი გოლი, რომელიც მან ფინალში ლევერკუზენის „ბაიერს" შეუგდო. ეს გოლი ლიგის ისტორიაში საუკეთესოდ არის მიჩნეული. ამის შემდეგ ზიდანმა კვლავ მოიპოვა ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი და **რონალდოსთან** ერთად გახდა ის გამონაკლისი, ვისაც ეს ჯილდო სამჯერ ალუმართავს. ზიდანის კარიერაც ისევე გამორჩეულად დასრულდა როგორც ჩაიარა: 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჯერ პენალტი გაიტანა შემდეგ კი შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე დის შეგინებისთვის **მარკო მატერაცის** მკერდში თავი ჩაარტყა და მოედნიდან გააგდეს.

## 3. იოჰან კრუიფი

კაცმა რომ თქვას და, როგორც თავად „სანი" აღიარებს, ჰოლანდიელი მთლად გამთამაშებელი არ ყოფილა. ის „ტოტალური ფეხბურთის" შვილი გახლდათ და ბევრ სხვადასხვა პოზიციაზე თამაშობდა. ტექნიკურად უზადო ფეხბურთელს გოლების გატანაც ეხერხებოდა: ნაკრებში 48 შეხვედრაში 33 გოლი გაიტანა. „აიაქსის" შემადგენლობაში რვაჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი, 1973 წელს კი „ბარსელონაში" გადავიდა. მისი დახმარებით კატალონიურმა გუნდმა 1960 წლის შემდეგ პირველად მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული. სამჯერ გახლდათ „ფრანს ფუტბოლი" გამოკითხვის გამარჯვებული.

## 2. დიეგო მარადონა

მას მერე, რაც სახელი სამშობლოში გაითქვა, 1982 წლის მუნდიალის შემდეგ „ბარსელონაში" გადავიდა. კატალონიაში მას ტრავმებმა და კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტებმა შეუშალა ხელი, რის გამოც ორ წელიწადში „ნაპოლიში" გადავიდა. საკლუბო ფეხბურთში მარადონამ მწვერვალს სწორედ „ნაპოლიში" მიაღწია - 1987 წელს ნეაპოლელები ისტორიაში პირველ ჩემპიონობამდე მიიყვანა, 1990 წელს კი მიღწევა გაიმეორა. თუმცა მარადონა გამორჩეულ სანაკრებო დონეზე გახლდათ. 1986 წელს მისი „ჯადოსნური ფეხბურთის" წყალობით არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. იმ შეჯიბრების მეოთხედფინალში, ინგლისის ნაკრების კარში მან გაიტანა გოლი, რომელიც 2002 წლის ფიფას გამოკითხვით „საუკუნის საუკეთესო გოლად" აღიარეს. იმავე შეხვედრაში მან გოლი ხელითაც შეაგდო - „ღმერთის ხელის" ისტორიას აქ აღარ გავიმეორებთ. მიუხედავად იმისა, რომ მის კარიერას ნარკოტიკებმა ფრიად შეუშალა ხელი, ის ნამდვილი გენიოსი გახლდათ.

## 1. პელე

„სანისა" და მილიონობით ადამიანის აზრით, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი „სანტოსში" პირველად 15 წლისა გამოჩნდა და ამ გუნდთან ერთად ათჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული გუნდები იმ დროისათვის ენით აუწერელ ფულს სთავაზობდნენ, 18 წელიწადი ამ გუნდს უერთგულა. ის იყო საოცარი დრიბლიორი და პასების ოსტატი. სულ ითამაშა 1363 თამაში და გაიტანა 1281 გოლი. კარიერაში 92 ჰეთ-თრიკი აქვს შესრულებული. 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, რომელიც ბრაზილიამ იტალიას 4:1 მოუგო, პელემ მუნდიალებზე თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის მე-100 გოლი გაიტანა. 1958 წელს, შვედეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში მან 17 წლისამ ითამაშა და თავისი როლი შეიტანა ბრაზილიელთა მსოფლიოს ჩემპიონობაში. მისი ქარიზმისა და თამაშის სიტყვებით აღწერა შეუძლებელია.

**ილია ბაბუნაშვილი**


იოჰან კრუიფი

# სლოვაკეთი

**მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატს ერთადერთი დებიუტანტი ჰყავს - სლოვაკეთის ნაკრები, რომელმაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 15 წლისთავზე შეძლო პირველად უმაღლეს საფეხბურთო ფორუმზე მოხვედრა.**



სლოვაკებმა პირველ სერიოზულ წარმატებას მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მიაღწიეს. მაშინ მათ უკან ჩამოიტოვეს რუსეთის ნაკრები და პლეი ოფში გაალწიეს. თუმცა **დუშან გალისის** გუნდს ესპანეთის წინაალმდეგ (1:5, 1:1) შანსი არ ჰქონდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება ოთხი წლით გადაიდო.

არც ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე გამგზავრება მოხერხდა. ამ შესარჩევ ციკლში გუნდს **იან კოციანი** ხელმძღვანელობდა, ჯგუფი კი საკმაოდ ძლიერი იყო, სადაც პირველი ორი ადგილი ძლიერმა ჩეხეთმა და გერმანიამ დაისაკუთრეს. მორიგი სამწვრთნელო ცვლილების შემდეგ ნაკრებს სათავეში **ვლადიმირ ვაისი** ჩაუდგა და ამ სპეციალისტმა მოახერხა ის, რაც მისი შვიდი წინამორბედისთვის (მათ შორის ტიტულოვან **იოზეფ ვენგლოშისთვის**) მიუღწეველი ოცნება იყო. ვაისმა ერთგვარად ლოგიკურად დაასრულდა სლოვაკეთის რესპუბლიკის 15-წლიანი დამოუკიდებელი არსებობის პერიოდი. საინტერესოა, რომ 1994 წლის თებერვალში სწორედ ვაისმა გაიტანა დამოუკიდებელი სლოვაკეთის ისტორიაში პირველ ოფიციალურ მატჩში პირველი გოლი (არაბეთის გაერთიანებულ საამიროებთან - 1:0), თუმცა სლოვაკეთის გუნდი მეორე მსოფლიოს ომამდეც არსებობდა და მის აქტივში თვით ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვებაა - 2:0 (1939 წლის აგვისტოში).

■ ■ ■

ვლადიმირ ვაისმა სათამაშო კარიერა „არტმედიაში" დაასრულა, სადაც პარალელურად სამწვრთნელო პროფესიის ანბანს ეუფლებოდა. ქალაქ პეტრჟალკას გუნდთან მუშაობისას მას საუკეთესო მოგონებები დარჩა. ვაისი ამ მოკრძალებულ კლუბს სათავეში 2000 წელს ჩაუდგა და ხუთი წლის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა. საფეხბურთო სამყარომ ავტომატურად აღიარა სლოვაკი ფეხბურთელების მაშინდელი თაობა, რომელიც თანდათანობით დამკვიდრდა ეროვნულ ნაკრებში. „პეტრჟალკას" შემდეგ ვაისი რუსეთში გადავიდა სამუშაოდ - იქ „სატურნს" ჩაუდგა სათავეში და თან რამდენიმე სლოვაკი ფეხბურთელიც იახლა. თუმცა ვლადიმირს რუსეთში დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია. რუსული მივლინებიდან სამშობლოში დაბრუნებული ვაისი გაშლილი ხელებით მიიღეს „არტმედიაში", ერთი წლის შემდეგ, 2008 წელს კი სლოვაკეთის ნაკრებში გადაიყვანეს.

სლოვაკეთში თვლიან, რომ დღევანდელმა თაობამ, მართალია, დიდ წარმატებას მიაღწია და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთელები კლასით ჩამორჩებიან მათ, ვინც დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე თამაშობდნენ სლოვაკეთის ეროვნულ გუნდში.

სლოვაკეთი - პატარა ქვეყანაა, ხუთმილიონიანი მოსახლეობით და იქ ფეხბურთი არ არის პირველ როლებზე. ამიტომაც იმავე ჩეხეთისგან განსხვავებით, სლოვაკეთში დიდი ფეხბურთელები იშვიათად იბადებიან, ხოლო მეტ-ნაკლებად სტაბილური შედეგები ჩეხი და სლოვაკი ხალხის ტრადიციული შრომისმოყვარეობითა და სამშობლოსადმი შესაშური სიყვარულით მიიღწევა.

■ ■ ■

**რობერტ ვიტეკი, მარეკ მინტალი** და **მიროსლავ კარჰანი** ხუთი წლის წინ ნაკრების ლიდერები იყვნენ. ახლა ისინი ავტორიტეტები უფრო არიან და სამხრეთ აფრიკაში მხოლოდ კარის გასაჯახუნებლად მიდიან. გუნდს კი, წესით და რიგით, წინ ახალგაზრდები უნდა გაუძღვნენ, თუმცა ახალი ნიჭიერი ფეხბურთელები ისე ხშირად არ ჩნდებიან, როგორც ამას ხელმძღვანელობა ისურვებდა.

ხანდახან, ამა თუ იმ გუნდის რეალური ძალის შესაფასებლად საკმარისია იმ კლუბების სიას გადავხედოთ, რომელსაც ნაკრების ფეხბურთელები წარმოადგენენ. ამ მხრივ სლოვაკეთი ბევრით ვერაფრით იწონებს თავს, ბელადის როლზე კი **მარტინ შკრტელი** ან **მარეკ ჰამშიკი** თუ გამოდგებიან. ორივენი საკმაოდ სწრაფად შეიჭრნენ ევროპულ საკლუბო ელიტაში და დიდ გუნდებში დაიწყეს თამაში, თუმცა სტაბილურობით ჯერ ვერ დაიკვეხნიან. თავის დროზე, 22 წლის ჰამშიკის ხელში ჩასაგდებად მდიდარი კლუბების რიგი დადგა, მაგრამ მან ჯერ თავის „ნაპოლიშიც" ვერ გამოიჩინა თავი. შკრტელი „ზენიტის" შემდეგ თვით „ლივერპულს" მოუვიდა თვალში, მაგრამ შემდეგ ეს ფეხბურთელი ტრავმებმა შეაწუხეს და ისეთივე კრიზისი დაეწყო, როგორიც თავად მერსისაიდულ კლუბს აქვს.

თუმცა ამ ფეხბურთელზე ღირს მაინც შეჩერება. მარტინ შკრტელი სლოვაკური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელია - 2008 წლის ზამთარში „ლივერპულმა" 24 წლის მცველის სანაცვლოდ „ზენიტს" 10 მილიონი ევრო გადაუხადა. შკრტელის ტრავმის (ტერფის ძვლის მოტეხილობა) შესახებ ცნობა მთელი სლოვაკეთისთვის ტრაგედია იყო, მაგრამ ექიმების პროგნოზი დამაიმედებელია - მარტინი მოასწრებს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამოჯანმრთელებას.

სხვათა შორის, შკრტელი თავდასხმაში იწყებდა თამაშს და საერთოდ ვერ იტანდა დაცვაში მოქმედებას. მოგვიანებით ის მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე გადაიყვანეს, 16 წლის ასაკში კი ტანმაღალი ბიჭი მწვრთნელის ბრძანებით დაცვაში დააყენეს. მარტინს მოულოდნელად ახალ პოზიციაზე თამაში მოეწონა, ამასთან ძველი თვისებები არ დაუკარგავს და საკმაოდ უნარიანად ეხმარება თავდამსხმელებს.

ძველი ავტორიტეტების სიაში უნდა შევიყვანოთ მეკარე **კამილ ჩონტოფალსკი**. მაშინ, როცა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს" **ვლასტიმილ პეტრჟელა** ავარჯიშებდა, ჩონტოფალსკი რეგულარულად თამაშობდა რუსულ კლუბსა და ეროვნულ ნაკრებში, მაგრამ „ზენიტში" **დიკ ადვოკაატის** მისვლის შემდეგ კამილმა სათადარიგოთა სკამზე დაიმკვიდრა ადგილი და არ არის გამორიცხული, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელთა სიის მიღმა დარჩეს. ვაისის ნაკრებში პირველი ნომერი **იან მუჰა** გახდა, რომელმაც პოლონეთის მოკრძალებული ჩემპიონატიდან გაიკვალა გზა ეროვნულ გუნდში.

დაცვის ხაზში შკრტელის გარდა ძირითადის მოთამაშეებად შეიძლება ჩავთვალოთ გერმანიის ჩემპიონი **პეტერ პეკარიკი** და **იან დურიცა**, რომელიც ასევე ბუნდესლიგაში თამაშობს. ბოლო ვაკანტურ პოზიციაზე პრეტენდენტები საკმარისადაა, მაგრამ მათი დონე საშუალომდე ძლივს აღწევს.

იგივე სიტუაციაა ნახევარდაცვაში, სადაც ხელშეუხებელ ჰამშიკსა და ასეთივე როლს მიახლოებულ **ვლადიმირ ვაის-უმცროსს** ბევრმა ფეხბურთელმა შეიძლება გაუწიოს პარტნიორობა. მათ შორის 33 წლის კარჰანმა, რომელიც სულ მალე მე-100 შეხვედრას ჩაატარებს სლოვაკეთის ნაკრებში.

მთავარ მწვრთნელს მხოლოდ თავდასხმაში აქვს მეტ-ნაკლებად გარკვეული სიტუაცია. პირველი ფორვარდის როლი სავარაუდოდ ვიტეკს ერგება, რომელმაც ბუნდესლიგიდან წასვლისა და ფრანგულ „რენში" არცთუ ისე კარგი გამოსვლის შემდეგ, მოკრძალებულ „ანკარაგიუჯუში" დაიმკვიდრა ადგილი. წესით, ვიტეკის პარტნიორი უნდა გახდეს შესარჩევ ციკლში ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი **სტანისლავ შეშტაკი** (მას „ბოხუმშიც" რეგულარულად გააქვს გოლები), მისი კონკურენტები კი **მარტინ იაკუბკო, ერიკ ენდრიშეკი** და მარეკ მინტალი იქნებიან.

სლოვაკები სამხრეთ აფრიკაში კარგ ხასიათზე მიემგზავრებიან. ამის მიზეზი მარტო ის არ არის, რომ მათ დებიუტი ექნებათ ასეთი დონის საფეხბურთო ფორუმზე - ვაისის შეგირდებს წილისყრის მხრივ გაუმართლათ. მოთამაშეთა და მწვრთნელთა აზრით, გუნდს აქვს ჯგუფიდან გასვლის შანსი და ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს პირველი მატჩი ახალ ზელანდიასთან. წარმატების შემთხვევაში, რაც სენსაციად ნამდვილად არ ჩაითვლება, პარაგვაის ნაკრების წინაალმდეგ შესაძლებელი იქნება გარკვეული ვარიანტების გათვლა, ხოლო ჯგუფის მთავარ ფავორიტთან - იტალიასთან ბოლო ტურის მატჩმა კი, შესაძლოა, საერთოდ დაკარგოს აზრი.

მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტს კარგ გუნებაზე ყოფნის კიდევ ერთი მიზეზი აქვს, რადგან შესარჩევ ჯგუფში მის უკან დარჩა ჩეხეთის ნაკრები, რომელიც საერთოდ ვერ მოხვდა ფინალურ ეტაპზე. ორი მოძმე რესპუბლიკის ისტორიული დაპირისპირება შესარჩევი ტურნირის მე-3 ჯგუფის მთავარი მოვლენა გახდა. ჩეხებს უამრავი პრობლემა დაუგროვდათ, მაგრამ ბოლო მომენტამდე იბრძოდნენ მეორე ადგილისთვის. ისინი აფრიკულ ოცნებებს საბოლოოდ მაშინ გამოეთიშნენ, როცა ბოლოსწინა ტურში სლოვაკეთმა შინ მოულოდნელად წააგო სლოვენიასთან...

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

### სლოვაკეთი

სლოვაკეთის საფეხბურთო კავშირი1938 წელს დაარსდა. ფიფა-ს წევრია 1994 წლიდან. ფიფა-ს რეიტინგში 33-ე ადგილი უკავია.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე არ უთამაშია.

მთავარი მწვრთნელი: ვლადიმირ ვაისი

ნაკრების რეკორდსმენი ჩატარებული თამაშების რაოდენობით: მიროსლავ კარჰანი (95)

ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი - შილარდ ნემეტი (22)

ჯგუფური ეტაპი

15 ივნისი. ახალი ზელანდია-სლოვაკეთი (რუსტენბურგი)

20 ივნისი. სლოვაკეთი-პარაგვაი (ბლუმფონტეინი)

24 ივნისი. სლოვაკეთი-იტალია (იოჰანესბურგი)

### შესარჩევი ტურნირი

06.09.08 სლოვაკეთი-ჩრ. ირლანდია 2:1 (შკრტელი, ჰამშიკი)
10.09.08 სლოვენია-სლოვაკეთი 2:1 (იაკუბკო)
11.10.08 სან მარინო-სლოვაკეთი 1:3 (შეშტაკი, კოზაკი, კარჰანი)
15.10.08 სლოვაკეთი-პოლონეთი 2:1 (შეშტაკი-2)
01.04.09 ჩეხეთი-სლოვაკეთი 1:2 (შეშტაკი, იენდრიშეკი)
06.06.09 სლოვაკეთი-სან მარინო 7:0 (მ.ჩეხი-2, პეკარიკი, შტოხი, კოზაკი, იაკუბკო, ჰანჟელი)
05.09.09 სლოვაკეთი-ჩეხეთი 2:2 (შეშტაკი, ჰამშიკი)
09.09.09 ჩრ. ირლანდია-სლოვაკეთი 0:2 (შეშტაკი, ჰოლოშკო)
10.10.09 სლოვაკეთი-სლოვენია 0:2
14.10.09 პოლონეთი-სლოვაკეთი 0:1 (ავტოგოლი)

### შესარჩევში ითამაშეს

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | | |
| იან მუჰა | 05.12.82 | ლეგია (პოლ) | 6 | - |
| შტეფან შენეცკი | 06.01.80 | ანკარა (თურ) | 3 | - |
| ლუბოშ კამენარი | 17.06.87 | ნანტი (საფ) | 1 | - |
| **მცველები** | | | | |
| პეტერ პეკარიკი | 30.10.86 | ვოლფსბურგი (გერ) | 9 | 1 |
| იან დურიცა | 10.12.81 | ჰანოვერი (გერ) | 8 | - |
| მარტინ შკრტელი | 15.12.84 | ლივერპული (ინგ) | 6 | 1 |
| რადოსლავ ზაბავნიკი | 16.09.80 | მაინცი (გერ) | 6 | - |
| მარტინ პეტრაში | 02.11.79 | ჩეზენა (იტა) | 5 | - |
| მარეკ ჩეხი | 26.01.83 | ვესტ ბრომვიჩი (ინგ) | 4 | 2 |
| კორნელ სალატა | 24.01.85 | სლოვანი | 2 | - |
| ლუბოშ ჰანჟელი | 07.05.87 | ტრნავა | 1 | 1 |
| მატეი კრაიჩეკი | 19.03.78 | სპარტა (ჩეხ) | 1 | - |
| რომან კრატოხვილი | 24.06.74 | დაასრულა კარიერა | 1 | - |
| პეტერ პეტრაში | 07.05.79 | უკლუბოდ | 1 | - |
| **ნახევარმცველები** | | | | |
| მარეკ ჰამშიკი | 27.07.87 | ნაპოლი (იტა) | 8 | 2 |
| მიროსლავ კარჰანი | 21.06.76 | მაინცი (გერ) | 7 | 1 |
| ზდენკო შტრბა | 09.06.76 | ქსანტი (საბ) | 6 | - |
| იან კოზაკი | 22.04.80 | ტიმიშოარა (რუმ) | 6 | 2 |
| მარეკ საპარა | 31.07.82 | ანკარაგიუჯუ (თურ) | 6 | - |
| ვლადიმირ ვაისი | 30.11.89 | ბოლტონი (იტა) | 4 | - |
| მიროსლავ შტოხი | 19.10.89 | ტვენტე (ჰოლ) | 4 | 1 |
| დუშან შვენტო | 01.08.85 | ზალცბურგი (ავსტრია) | 3 | - |
| კამილ კოპუნეკი | 18.05.84 | ტრნავა | 2 | - |
| ბალაჟ ბორბელი | 02.10.79 | აელ (კვიპროსი) | 2 | - |
| ბრანისლავ ობჟერა | 29.08.81 | სლოვანი | 1 | - |
| **თავდამსხმელები** | | | | |
| რობერტ ვიტეკი | 01.04.82 | ანკარაგიუჯუ (თურ) | 9 | - |
| ერიკ ენდრიშეკი | 26.10.86 | კაიზერი (გერ) | 7 | 1 |
| სტანისლავ შეშტაკი | 16.12.82 | ბოხუმი (გერ) | 6 | 6 |
| მარტინ იაკუბკო | 26.02.80 | მოსკოვი (რუს) | 6 | 2 |
| ფილიპ ჰოლოშკო | 17.01.84 | ბეშიქთაში (თურ) | 4 | 1 |
| იან ნოვაკი | 06.03.85 | კოშიცე | 3 | - |
| მარეკ მინტალი | 02.09.77 | ნიურნბერგი (გერ) | 2 | - |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

## ძიუდო

ევროპის ჩემპიონატი

# განბილებულნი და აღზევებულნი

ჩვენი ძიუდოისტთა ნაკრებმა კიდევ ერთხელ გაგვახარა და მეოთხედ გახდა ევროპის ჩემპიონი. შეგახსენებთ, რომ კვირას ვენაში დასრულებულ ტურნირში ჩვენებმა მოლდოვას, პოლონეთს და საფრანგეთს ერთნაირი ანგარიშით - 3:2 სძლიეს, ოღონდ, თუ პირველ ორ შემთხვევაში ყველაფერი მძიმეწონოსანმა **ლაშა გუჯეჯიანმა** გადაწყვიტა ჩვენს სასარგებლოდ, ფრანგებთან საჩემპიონო გამარჯვება ვადამდე გავინაღდეთ - ოქროს მომტანი **ვალერი ლიპარტელიანის** (90) გამარჯვება აღმოჩნდა. ამ დუეტის გარდა, ჩემპიონობაში **ლევან ნიკლაურმაც** (81) ლომის წილი დაიდო - სამივე შეხვედრაში იმარჯვა.

ჩვენმა ნაკრებმა 2002-2003 წლებში ზედიზედ დაიმსახურა ევროპის ჩემპიონობა. შემდეგ ოქროზე გარკვეული პაუზა გამოუვიდათ, თუმცა ბრინჯაოს მედლები კი მოიპოვეს, 2007-ში კი მინსკში კვლავ აღზევდნენ ჩეპიონობამდე. ამასთან, ჩვენებმა ორჯერ მოიგეს მსოფლიოს გუნდური პირველობა - 2006-ში პარიზში და 2008-ში ტოკიოში. აღსანიშნავია, რომ პარიზულ ფინალში რუსეთი დაამარცხეს.

წლევანდელ ჩემპიონატს ვენაში რუსეთის პრემიერ-მინისტრი **ვლადიმირ პუტინიც** ესწრებოდა, მისმა ჩასვლამ კი ყველაფერს სხვა დატვირთვა მისცა. რუსები ძირითად ნაკრებს გუნდური პირველობისთვის ინახავდნენ და წარმატებაში დარწმუნებულები ლამის წინასწარ ზეიმობდნენ. პუტინმა წინა დღეს ისიც კი განაცხადა რიხით, მთავარი ბრძოლები ხვალ იქნება და დაე, უძლიერესმა გაიმარჯვოსო. მან ეს პირად პირველობაში განცდილი მარცხის საპირწონედ თქვა და აქედანაც ჩანს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გუნდურ ჩემპიონატს. ჰოდა, როცა უძლიერესმა გაიმარჯვა და რუსების ნაცვლად უმაღლეს საფეხურზე ქართველები დადგნენ, როცა ფრანგ **ანტონ ჟენანთან** გამარჯვების შემდეგ ლევან ნიკლაური ვიპ-ლოჟისკენ ზურგით შიბრუნდა და თითებით კიმონოზე წარწერილი გეორგია აჩვენა, საქართველოს ჰიმნზე პუტინიც წამოდგა და ჩვენს ბიჭებს ტაშიც დაუკრა.

სამწუხაროდ, ქართველმა ქომაგებმა ბოლომდე და სრულად ვერც ჩვენების ზეიმი ვნახეთ და ვერც - პუტინის განბილება. ქართულ ტელევიზიებს ვენაში არც ჟურნალისტები მიუვლენიათ და არც რეპორტაჟზე უფიქრიათ. ამას კვირას კიდევ ერთი პრობლემა დაემატა - ზედ ჩვენი ფინალური შეხვედრის დაწყების წინ ლამის მთელ თბილისში ინტერნეტი გაითიშა და რეპორტაჟს ვეღარც ძიუდოს ევროპული ფედერაციის საიტზე ვუყურეთ. ჩვენთვის დეფიციტი გახდა ისტორიული შეხვედრის ამსახველი კადრებიც.

რაკიღა იმ ისტორიული კადრების ნახვის საშუალება არ მოგვეცა, ისევ თვითმხილველს მოვუსმინოთ. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** პირადად ესწრებოდა ამ ჩემპიონატს და კულუარულ მიმდინარე ამბებზეც ის გვესაუბრება.

- ვენაში იყვნენ ქვეყნები, რომლებიც ემზადებოდნენ მხოლოდ გუნდურისთვის და იყვნენ ცალკეული სპორტსმენები, რომლებიც ემზადებოდნენ მხოლოდ პირადი პირველობისთვის. მაგალითად, რუსები ძირითად აქცენტს გუნდურზე აკეთებდნენ და ამისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ. იმავე ფრანგებმა გუნდის ლიდერი, მსოფლიოს ორგზის და ევროპის მძიმეწონოსანი ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **ტედი რინერი** პირად პირველობაში არ გამოიყვანეს და გუნდურში აჭიდავეს.

ჩვენ ვცდილობდით, გამოსვლა შედეგიანი ყოფილიყო გუნდურშიც და პირადშიც. გუნდურს ამჯერად ძალიან დიდი, აქამდე არნახული დატვირთვა ჰქონდა სწორედ პუტინის ფაქტორის გამო. მთელი ავსტრიული და ევროპული ტელევიზიები მას აჩვენებდნენ და მასზე იყვნენ ფოკუსირებული. ეს მთელი სცენარი იყო. ეტყობა, ვანკუვერში განცდილი მარცხის მერე, როცა დიდი შედეგები არც პეკინში ჰქონდათ, იქით ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოვარდნენ, ანუ სპორტში წარუმატებლობების შემდეგ პუტინს სურდა ეჩვენებინა, რომ კვლავაც სპორტულ „დერჟავად" რჩებიან. ამიტომ ორგანიზებულად ჩამოიყვანეს ქომაგებიც - დაახლოებით 150-მდე მოზარდი, საგანგებო ატრიბუტიკით აღჭურვილები. თვითონ პუტინიც ხშირად ჩნდებოდა მათთან. მართალია, თეა დონღუზაშვილმა, წააგო ფინალი სლოვენიელ ლუსია პოლავდერთან, მაგრამ მაინც გადაკოცნა, მერე თავისი ასაკოვანი მწვრთნელი ანატოლი რახლინი მოისვა გვერდით, ამ ყველაფერს კი ერთი დატვირთვა ჰქონდა - თითოეული ამ დეტალისგან უკვე სიუჟეტი იქმნებოდა, რადგან ჟურნალისტები გაფაციცებით აღნუსხავდნენ ყველაფერს. შაბათს, როცა ვაჟთა პირად პირველობაში რუსებმა ყველაფერი წააგეს, მან ინტერვიუც მისცა, სადაც დაახლოებით ასე განაცხადა, ნაღდი ძიუდო, მთავარი შეჯიბრება ხვალ იქნება, რადგან ის ქვეყნებს შორის შეჯიბრებაა და დაე, უძლიერესმა გაიმარჯვოსო.

ერთი სიტყვით, რუსები ყველანაირად ემზადებოდნენ ჩემპიონობისთვის, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ჩვენ მივაჩნდით მთავარ კონკურენტებად. ამ მოლოდინში ის გუნდი ისე გადაიწვა, ჩვენთან მოსვლამდე იტალიელებთან წააგეს, თუმცა იმათაც კარგი გუნდი ჰყავდათ. თან, მოგეხსენებათ, რუსებს იტალიელი მწვრთნელი ჰყავთ - **ეციო გამბა,** რომელიც იტალიაში დიდად არ მოსწონთ და მასთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვთ. ამიტომ, რუსებთან მოგება ისე იზეიმეს, მგონი, ასე ჩვენ არ გაგვეხარებია გამარჯვება.

ფინალისთვის ისეთი ვითარება შეიქმნა, პუტინი წასვლით ვერ წავიდოდა, თორემ ძალიან ცივი სახით იჯდა. მე მის უკან ვიჯექი, რამდენიმე მეტრით უკან და კარგად ვხედავდი, როგორ ნერვიულობდა, ოფლად გაიღვარა იმის მიუხედავად, რომ დარბაზში საერთოდ არ ცხელოდა. დარწმუნებული ვარ, უკვე დაბარებული ჰყავს კაბინეტში ის ოლიგარქები, რომლებიც ძიუდოს აფინანსებდნენ და უშვერი სიტყვებით ლანძღავს. კაცს ამხელა სცენარი ჩაუშალეს და აბა, რა იქნება! ქალები მან დააჯილდოვა და უკანვე ამობრუნდა. მაინც მეგონა, რომ კაცებსაც დააჯილდოვებდა. ჩვენც ისე ვიცოდით, რომ ეს პროცედურა მას უნდა შეესრულებინა, მაგრამ არც კი მივიდა იმის მიუხედავად, რომ კვარცხლბეკზე რუსეთის ნაკრებიც იდგა. კვარცხლბეკი ტრიბუნასთან საკმაოდ ახლოს იყო და როცა ჩვენს ჰიმნზე ბიჭები მთელი ხმით მღეროდნენ, ფეხზე კი წამოდგა, მაგრამ მეორე მხარეს იყურებოდა და არა გუნდისკენ. თუმცა ერთ მომენტში, როცა ბიჭებს ხელი დავუქნიე და იმათაც მიპასუხეს, ეტყობა, მიიჩნია, რომ მას ესალმებოდნენ, რადგან მის უკან ვიდექი და პასუხად მანაც დაუქნია ხელი.

ერთი სიტყვით, ყველაფრიდან ჩანდა, რომ ხასიათი წაუხდა და ეს ვერც დამალა.

**ირაკლი თავაძე**

ჭაბუკთა ევროპის თასი

# ჭაბუკების წარმატება

იმ დროს, როცა ძიუდოს მოყვარულთა ყურადღება ვენაში მიმდინარე უფროსთა ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატისკენ იყო მიპყრობილი, ჩეხურმა ტეპლიცემ ჭაბუკთა ევროპის თასს უმასპინძლა. ტურნირში ჩვენი ვაჟთა ნაკრებიც მონაწილეობდა და წარმატებითაც გამოვიდა - ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩემპიონები **გელა კელეხაშვილი** (50) და **პავლე ქავთარაძე** (66) გახდნენ, **თომა თავზარაშვილი** (66) კი მეორე იყო.

ეს შეჯიბრება ბოლო შესარჩევი ეტაპია ევროპის პირველობის წინ, რომელიც 25-27 ივნისს ისევ ჩეხეთში, ოღონდ დედაქალაქ პრაღაში უნდა გამართულიყო, მაგრამ ტეპლიცეში გადმოიტანეს. ჩვენი ნაკრების თავკაცმა **რამაზ ჩოჩიშვილმა** ჩეხეთში არასრული გუნდი წაიყვანა, რადგან რამდენიმე წონაში ლიდერი უკვე გამოვლენილია. ვფიქრობთ, ჩოჩიშვილმა ჩეხეთში საინტერესო შედეგიც მიიღო. რატომღაც ისე მოხდა, რომ ჩვენებმა მედლები პირველ დღეს მოიპოვეს, თუმცა მონაწილეთა ძირითადი რაოდენობაც მაშინ ჭიდაობდა და არა მეორე დღეს. ტურნირი საკმაოდ ძლიერი გამოდგა - იგი გოგოებშიც ტარდებოდა (თუმცა აქ ჩვენები არ გამოდიოდნენ) და მთლიანობაში 27 ქვეყნის 533 მოზარდი მონაწილეობდა, რაც შთამბეჭდავი ციფრია. შედეგად, სამივე მედალოსანმა ექვს-ექვსი შეხვედრა გამართა, ამდენს კი უფროსები არ ჭიდაობენ არც ერთ ტურნირში.

კელეხაშვილი საქართველოს ჩემპიონია და, ვფიქრობთ, ამ გამარჯვებით საბოლოოდ განიმტკიცა ლიდერობა. ჩეხეთში მისმა კონკურენტმა **მიხეილ იმერლიშვილმაც** იჭიდავა, მაგრამ მეორე წრეში დამარცხდა. იმერლიშვილი კელეხაშვილთან საქართველოს ჩემპიონატის ფინალშიც დამარცხდა, მერე კი ორივემ ანთალიაში იჭიდავა ასევე ჭაბუკთა ევროპის თასზე და მიხეილი უკეთესადაც გამოვიდა. ისინი ერთმანეთს არ შეხვედრიან, მაგრამ იმერლიშვილმა ბრინჯაო მოიპოვა, კელეხაშვილი კი მეხუთეზე გავიდა. ამჯერად უკეთ კელეხაშვილმა იასპარეზა, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც მწვრთნელს ეკუთვნის.

ვფიქრობთ, ჩოჩიშვილს ამაზე მეტი საფიქრალი 66-ში გაუჩნდა, სადაც მის გასახარად, ქართული ფინალი გაიმართა, მაგრამ შედეგმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ქავთარაძე და თავზარაშვილი საქართველოს ჩემპიონატის ფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს, თავიდან ქავთარაძე იგებდა, მაგრამ თავზარაშვილმა სანაქებო იპონით გაიმარჯვა. ჩოჩიშვილმა ორივე წაიყვანა ანთალიაში, სადაც ორივემ ბრინჯაო მოიპოვა, ამჯერად კი ქავთარაძემ რევანში აიღო. ერთი სიტყვით, ჩოჩიშვილი ძნელი, თუმცა კი სასიამოვნო არჩევანის წინაშეა - ძლიერი კონკურენცია ნებისმიერი მწვრთნელის ოცნებაა და, შესაძლოა, მან უშუალოდ შეჯიბრებისას რომელიმეში დაინახა რაღაც ისეთი, რაც ამ არჩევანს გაუადვილებს.

შეიძლება ითქვას, ჩვენმა ჭაბუკებმა ევროპის მომავალი ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქი ფეხბედნიერად დასცადეს. იმედია, ევროპაზეც წარმატებით იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

## ცურვა

# მთვრალაშვილი სინგაპურში იასპარეზებს



გიორგი მთვრალაშვილი

წლეულს 14-26 აგვისტოს სინგაპური მსოფლიო ახალგაზრდობის პირველ ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის სალიცენზიო ნორმატივებია შესასრულებელი. ქართველთაგან ვინც ამ ფორუმზე გამოვა, გახლავთ ცურვაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ახალგაზრდებს შორის ქვეყნის რეკორდსმენი 200 და 400 მეტრ კომპლექსურ ცურვაში, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი **გიორგი მთვრალაშვილი,** რომელიც 1999 წლიდან **ირინა მინჟულინასთან** ვარჯიშობს.

გიორგიმ შარშან რომის მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრი 2.10-12-ში გაცურა, რითაც თავისივე მიღწევა გააუმჯობესა და სინგაპურის სალიცენზიო ნორმატივიც (2.11,92) შეასრულა, თუმცა საგზური მაშინვე ვერ დაიმსახურა, რადგან ცურვის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაწესებულ ნორმატივს ძალიან ბევრმა ახლგაზრდა მოცურავემ გადააჭარბა და თამაშების კვოტა დაირღვა. ლენი იძულებული გახდა, სალიცენზიო ჭერი აეწია და 30 მარტამდე ახალი ტურნირებიც დანიშნა. იმ შეჯიბრებების დამთავრების შემდეგ ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ შედეგები შეაჯამა და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს აცნობა, რომ გიორგი მთვრალაშვილი სინგაპურში ველური ბარათით გაემგზავრება და 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში იასპარეზებს.

**ვაჟა დანელია**

## კრივი

# გამარჯვებაც და მარცხიც

ბაქოში დაწყებულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ქართველთა ნაწილი უკვე ჩაება. ტურნირის პირველ დღეს შვიდიდან ორმა ჩვენიანმა იბრძოლა, რომელთაგან შემდგომ ეტაპზე მხოლოდ ერთმა გააღწია.

57 კგ წონით კატეგორიაში პირველივე ეტაპზე დამარცხდა წინა ჩემპიონატის ფინალისტი **ალეკო ჭადაშვილი.** მან ფრანგ **მენდი მარსიანო მაესთან** 1:7 წააგო. სამაგიეროდ, 1/16 ფინალში გავიდა 69 კგ-ში მოასპარეზე **ნიკოლოზ სეხნიაშვილი,** რომელმაც პირველ ეტაპზე ინდოელ **კიშონ ტაპას** 5:2 სძლია. მისი მომავალი მეტოქე ლატვიელი **ნიკიტა ვერსოკისი** იქნება.

48 კგ წონით კატეგორიაში **გიორგი გოგატიშვილი** პირდაპირ 1/16 ფინალიდან დაიწყებს ბრძოლას. მისი მეტოქე ჩრდილოკორეელი **სონ კვან სონი** იქნება; **ავთანდილ ჭუბაბრია** (51 კგ) პირველ ეტაპზე იაპონელ **სადაიორი აოკის** დაუპირისპირდება; 60 კგ-ში **ლევან კაჟაშვილი** პირველ ეტაპზე ხორვატ **იოსიპ გრბავაცს** შეხვდება; 64-ში, ასევე პირველ ეტაპზე, **ზურაბ მექერიშვილი** ირლანდიელ **კირონ ფორდს** შეებრძოლება; **ზაზა სტურკი** (81 კგ) ჩემპიონატში 1/16 ფინალიდან ჩაერთვება - ამ სტადიაზე ის თურქ **ბურაქ აქსინს** შეხვდება.

სხვა წონით (54, 75, 91 და მძიმე) კატეგორიებში საქართველოს მონაწილე არ ჰყავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## სამთო ველორბოლა

# ჯერ პირველობა, შემოდგომაზე ჩემპიონატი



მარცხნიდან: გიორგი ნადირაძე (აჭარა), ლევან მიქელაძე (თბილისის)

მთის ველორბოლა (ქროს-ქანთრი) პოპულარულია მთელ მსოფლიოში. დიდ დიღომში სპორტის ამ მიმზიდველ სახეობაში თბილისის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, ზესტაფონის 50-მდე მრბოლის მონაწილეობით გაიმართა საქართველოს პირველობა. არახელსაყრელი ამინდი დამატებითი გამოცდა იყო მონაწილეებისთვის. სტარტიდან თბილისელი **ბესიკ გავაშელი** და ბათუმელი **გიორგი ნადირაძე** დაწინაურდნენ. ლიდერებს შუა დისტანციაზე ველოსიპედები დაუზიანდათ, რითაც კარგად ისარგებლა უახლოესმა მდევარმა, ქუთაისელმა **ვიტალი ეროხინმა.** ფინიშამდე ორი წრე რჩებოდა, როცა მას ნადირაძე კვლავ წამოეწია, გადაუსწრო და საგრძნობლად დაწინაურებულმაც დაამთავრა რბოლა. აი, გავაშელმა კი ეროხინის შემდეგ გადაკვეთა ფინიშის ხაზი და მესამე ადგილს დასჯერდა. ჭაბუკებში ადგილები ასე განაწილდა: 1. **ლევან მიქელაძე,** 2. **დათო ორაგველიძე** (ორივე — თბილისი), 3. **თორნიკე წიქარიშვილი** (ზესტაფონი). დავძენთ, რომ უფროსი ასაკის მრბოლებმა 10 კმ-ზე (10 წრე) იასპარეზეს, ჭაბუკებმა - 6 კმ-ზე (6 წრე).

„მადლობელი ვართ „რედ-ბულის" და შეჯიბრების ორგანიზატორის **გიორგი ბაბუხარდიასი.** ჩვენი ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება. შემოდგომაზე საქართველოს ჩემპიონატს ჩავატარებთ — თქვა საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესარიონ ნადირაძემ.**

**„ლელოს" კორ.**

## ჭადრაკი

# ჩემპიონებს ბოლო ტური გამოავლენს

ათი წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე გუშინ ბოლოსწინა - VIII ტურის პარტიები გაიმართა. 27-დან მხოლოდ სამი შეხვედრა დამთავრდა ყაიმით. მეწინავეთა ჯგუფიდან ერთპიროვნული ლიდერი **ნატა ჯიბუტი** და **ელა სვანიძე** დაზავდნენ. ეს შედეგი ხელსაყრელი გამოდგა **ნინო ჯალალონიასთვის,** რომელმაც შავი ფიგურებით **მარი დოლიძეს** სძლია და ქულებით ჯიბუტს გაუთანაბრდა. **თამარ ფარჩუკიძემ გვანცა მარგველაშვილს** აჯობა, **სალომე სანიკიძემ — სანდრა კაპანაძეს, სალომე ხუციშვილი ლილე ქორიძეს** დანებდა, **ნუცა ცირეკიძე - ელენე კოსტავას, მარი სკამკოჩაიშვილი — მარიამ ნამალაშვილს.**

8 ტურის შემდეგ ჯალალონია და ჯიბუტი ლიდერობენ. ნახევარი ქულით ნაკლები აქვს სვანიძეს. ფარჩუკიძემ და სანიკიძემ 6-6 ქულა, ხოლო კოსტავამ, მარგველაშვილმა, ქორიძემ და ნამალაშვილმა 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს.

ვაჟთა ტურნირში ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა **ირაკლი ახვლედიანმა,** რომელმაც **გურამ ჭელიძესთან** გაიყო ქულა. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ცოტნე მამულაიშვილი-გიორგი ბოტკოველი** 0:1, **გიორგი თადუმაძე-ოთარ ზარგინავა** 0:1, **გიორგი ვარაზაშვილი-ლუკა ობოლაძე** 0:1.

8 ტურის შემდეგ 7 ქულით მეორე ადგილზეა ბოტკოველი. იგი ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება. ზარგინავამ, ჭელიძემ და ობოლაძემ 6,5-6,5 ქულას მოუყარეს თავი.

ბოლო ტურში მეწინავეთაგან ითამაშებენ: **გოგონები.** ჯალალონია-ფარჩუკიძე, ჯიბუტი-სანიკიძე, კოსტავა-სვანიძე, მარგველაშვილი-ქორიძე, ნამალაშვილი-ბეჭვაია. **ვაჟები.** ახვლედიანი-ბოტკოველი, ზარგინავა-ჭელიძე, ობოლაძე-მამულაიშვილი (6), ლობჟანიძე (6)-პეტრიაშვილი (6), კიკნაველიძე (5,5)-თათურაშვილი (6).

# ნანა ყაიმით იწყებს

ნალჩიკში გუშინ დაიწყო მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის გათამაშება მსოფლიოს 12 უძლიერესი დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის მონაწილეობით. პირველი ტურში 6 პარტიიდან თეთრებმა 4 მოიგეს და 2 ყაიმით დაამთავრეს. ქუთაისელმა **ნანა ძაგნიძემ** (2479) მხოლოდ ნახევარი ქულა ჩაიწერა — თეთრი ფიგურებით იგი ყატარელ **ჟუ ჩენს** (2476) დაუზავდა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ შვედი ევროპის ჩემპიონი **პია კრამლინგი** (2532) და სომეხი **ლილით მკრტიჩიანი** (2503). დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ბაირა კოვანოვა** (რუსეთი, 2385)-**ბაქჰუიაგ მონგონთუული** (მონღოლეთი, 2428) 1:0, **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2622)-**ელინა დანიელიანი** (სომხეთი,2491) 1:0, **ბეთულ ილდიზი** (თურქეთი, 2244)-**ჟაო სიუ** (ჩინეთი, 2490) 1:0, **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2524)-**ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2570) 1:0.

დღეს II ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ჟუ ჩენი-მკრტიჩიანი, ჰოუ იფანი-კრამლინგი, ჟაო სიუ-კოსინცევა, დანიელიანი-ილდიზი, მონგონთუული-კონერუ, ძაგნიძე-კოვანოვა.

**ვაჟა დანელია**



ნანა ძაგნიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ფიჟაკის შანსი დეკასვილია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში გასულ უქმეებზე შესვენება იყო, ფედერალ 2-ში კი ბოლოსწინა ტურის შეხვედრები გაიმართა. პლეი ოფში თამაშის უფლება ქართველ მორაგბეთა ორმა გუნდმა - „დომონმა“ და „კარკერენმა“ მოიპოვა. **მერაბ კვირიკაშვილის, მალხაზ ურჯუკაშვილისა** და **დიმა პავლოვის** „ფიჟაკმა“ სატურნირო ცხრილში პირველი საფეხური დაიბრუნა და ფედერალ 1 დივიზიონში პირდაპირ, პლეი ოფის გარეშე გადასვლის შანსი აქვს.

F ჯგუფში მოასპარეზე ფიჟაკელებმა ბოლოსწინა, 21-ე ტურში სტუმრად ითამაშეს უშუალო კონკურენტ „როდეზთან“ და გამარჯვება ურთულეს ბრძოლაში, მატჩის ბოლო წუთებზე მოიპოვეს - 14:12. ამით ჩვენებურთა გუნდმა მეტოქეს სატურნირო ცხრილში ორი ქულით გაუსწრო და ლიდერობა ჩამოართვა. „ფიჟაკი“ ბოლო ტურში, მომავალ უქმეებზე შინ ეთამაშება მეშვიდეადგილოსან „დეკასვილს“ და გამარჯვების შემთხვევაში ფედერალ 1-ის საგზურს მოიპოვებს.

B ჯგუფში 59 ქულით მესამე ადგილზეა **ზურაბ მჭედლიშვილის** „დომონი“, რომელმაც ბოლოსწინა ტურში შინ დაამარცხა აუტსაიდერი „მარკ ან ბარო“ - 30:3. პარიზელებმა ამ გამარჯვებით პლეი ოფში თამაშის უფლება რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მიიღეს.

რამდენად დიდია „პანკრაშკინას“ გუნდის შანსი, პლეი ოფში წარმატებას მიაღწიოს, ძნელი სათქმელია. თავად განსაჯეთ: პარიზელები ჯგუფის ლიდერ „ნევერს“ 27 ქულით, ხოლო მეორეადგილოსან „სტრასბურს“ 25 ქულით ჩამორჩებიან.

ფედერალ 2 დივიზიონში კიდევ უფრო დაქვეითდა **ირაკლი აბუსერიძისა** და **სანდრო ქელიძის** „ოსერი“. ჩვენებურთა გუნდმა ბოლოსწინა ტურში სტუმრად წააგო „სტრასბურთან“ - 15:43.

სულ უფრო აუმჯობესებს თამაშის ხარისხს D ჯგუფში მოასპარეზე **ილია ზედგინიძისა** და **რეზო ბელქანიას** „კარკერენი“, რომელმაც შინ „ვალანსს“ მოუგო 40:17. კარკერენელები 67 ქულით მეოთხე ადგილზე არიან და პლეი ოფში თამაშის უფლება გარანტირებული აქვთ.

სხვა საქმეა, შესწევს თუ არა ძალა გუნდს, პლეი ოფში სასურველ შედეგს მიაღწიოს. ჩამორჩენა ჯგუფის ლიდერებთან „კარკერენსაც“ საგრძნობი აქვს. ჩვენებურთა გუნდი პირველადგილოსან „გრასს“ 16 ქულით, ხოლო მეორეადგილოსან „სენ რაფაელს“ 14 ქულით ჩამორჩება.

E ჯგუფში უშუალო კონკურენტ „გურდოსთან“ სტუმრად წააგო **რეზო გიგაურის** „სენაკმა“ - 13:35 და პლეი ოფის მიღმა დარჩა. სენაკელები 44 ქულით მე-8 ადგილზე არიან და მეექვსეადგილოსან „გურდოს“ რვა ქულით ჩამორჩებიან.

ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა ესპუართა ჩემპიონატის რეგულარულ გათამაშებაში. A ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდიდან პლეი ოფში ოთხმა გააღწია.

ბოლო ტურში „ბაიონთან“ სტუმრად მარცხის - 9:14 მიუხედავად, პირველობა არავის დაუთმო **გიორგი ჯიმშელაძის** „კლერმონმა“. „უმცროსმა ვულკანებმა“ 59 ქულა დააგროვეს და **დავით ლოსაბერიძისა** და **ლევან მიქაუტაძის** მეორეადგილოსან „აჟენს“ 6 ქულით გაუსწრეს. აჟენელები ასევე სტუმრად დამარცხდნენ „პოსთან“ - 19:21.

„აჟენს“ სამი ქულით ჩამორჩა და მესამე ადგილზეა **გიორგი ტორაძის** „ტულუზი“. ჩვენებურის გუნდმა ბოლო, მე-18 ტურში სტუმრად ითამაშა **ვასილ კაკოვინის** „ბრივთან“ და 12:15 წააგო. ბრიველებმა ამ მოგებით „მონპელიეს“ გაუსწრეს და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ბოლო ადგილზე დაასრულა ასპარეზობა **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა“, რომელიც შინ დამარცხდა „მონპელიესთან“ - 5:28.

### ესპუართა ჩემპიონატი

**XVIII ტური: ბრივი-ტულუზი 15:12, ბაიონი-კლერმონი 14:9, ტულონი-მონპელიე 5:28, პო-აჟენი 21:19, კასტრი-პერპინიანი 7:36**

საბოლოო მდგომარეობა: **1. კლერმონი - 59 ქულა, 2. აჟენი - 53, 3. ტულუზი - 50, 4. პერპინიანი - 48, 5. ბრივი - 44, 6. მონპელიე - 40, 7. ბაიონი - 37, 8. პო - 36, 9. კასტრი - 34, 10. ტულონი - 18**

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში ერთი გამოტოვებული შეხვედრა გაიმართა. **გურამ კავთიძის** „ლიონმა“ სტუმრად მოუგო აუტსაიდერ „ლანამეზანს“ - 30:17 და რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურით ადრე მეორე ადგილზე დამკვიდრდა. კავთიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

### II დივიზიონი

სატურნირო მდგომარეობა: **1. აჟენი - 99 ქულა, 2. ლიონი - 89, 3. ლა როშელი - 86, 4. ოიონაქსი - 84, 5. გრენობლი - 78, 6. პო - 76, 7. ორიაკი - 71, 8. ბორდო - 68, 9. ნარბონი - 68, 10. ტარბი - 65, 11. მონ დე მარსანი - 59, 12. დაქსი - 59, 13. ოში - 51, 14. კოლომიე - 41, 15. ექსი - 31, 16. ლანამეზანი - 19**

რუმინეთის სარაგბო ჩემპიონატის მე-6 ტური საკმაოდ უხვლელოიანი გამოდგა. B ჯგუფში მოასპარეზე **ბიძინა სამხარაძის, ირაკლი ნატრიაშვილის, ლაშა თავართქილაძის, ოთარ ტურაშვილის** და **კახაბერ უჩავას** კონსტანცას „ფარულმა“ შინ დაამარცხა „ბარლადი“ - 64:8. კონსტანცელებმა მეტოქეს ათი ლელო გაუტანეს, აქედან ორი ნატრიაშვილის ანგარიშზეა, სამხარაძემ და უჩავამ კი თითო ლელო მიითვალეს.

შეგახსენებთ, რომ 12 გუნდი ორ ჯგუფშია განაწილებული და პლეი ოფის ნახევარფინალში ორ-ორი საუკეთესო გადის.

### B ჯგუფი

**VI ტური. ფარული-ბარლადი 64:8, სტიაუა-პეტროშანი 95:0, ტიმიშოარა-იაში (გადაიდო).**

სატურნირო მდგომარეობა: **1. სტიაუა - 29 ქულა, 2. ფარული - 19, 3. იაში - 14, 4. ტიმიშოარა - 8, 5. ბარლადი - 5, 6. პეტროშანი - 4**

### A ჯგუფი

**დინამო ბუქარესტი-ბუკოვინა 59:0, კლუჟი-კსმ ბუქარესტი 7:17, ბაია მარე-არადი 45:9**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ბაია მარე - 24 ქულა, 2. დინამო - 22, 3. კსმ - 18, 4. არადი - 14, 5. კლუჟი - 5, 6. ბუკოვინა - 0**



ბურთით ირაკლი ნატრიაშვილი

სტადიონები





# ერთის ნაცვლად ორი

„შევარდენის“ სარაგბო სანაკრებო ბაზაზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ უკვე გიამბეთ. ორი თვით გვიან დაიწყო ავჭალაში მდებარე „სინათლის“ სტადიონის რეკონსტრუქციაც. შესაბამისად, აქ შესრულებული სამუშაოების მოცულობა „შევარდენისას“ ოდნავ ჩამორჩება, თუმცა უკვე გაკეთებულიც საკმაოდ შთამბეჭდავია.

გეხსომებათ, „სინათლის“ სტადიონზე ერთი მოედანი და საკმაოდ დიდი აუთვისებელი ტერიტორია იყო. ახალი პროექტის მიხედვით კი, მიწის ერთი გოჯიც არ დარჩება გამოუყენებელი.

ერთის ნაცვლად მორაგბეებს ორი სტანდარტული მოედანი ექნებათ, ისე, როგორც „შევარდენზე“ - ერთი ბუნებრივი საფრით, მეორე კი ხელოვნურსაფრიანი.

შენდება ტრიბუნაც, რომელიც 2000 გულშემატკივარზეა გათვლილი. აქ ძირითადად ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების შეხვედრები გაიმართება. რა თქმა უნდა, კეთილმოეწყობა გასახდელები და სხვა საჭირო ნაგებობებიც. აქვე გაიხსნება რაგბის ბავშვთა სექცია, რომელიც ავჭალაში დღემდე არ არის.





ამბები

# მონტობანი გაკოტრდა

გუშინ **გოდერძი შველიძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „მონტობანის“ დირექტორთა საბჭომ კლუბი გაკოტრებულად გამოაცხადა. შედეგად, გუნდი პირველი დივიზიონიდან მეორეში დაქვეითდება, თუმცა, შესაძლოა, ყველაფერი ამით არ დამთავრდეს...

კლუბის პრეზიდენტმა **პატრიკ ვეინკომ** „ბრძოლა“ შეწყვიტა. ქალაქის მერმა **ბრიჯიტ ბარომ** მხარი არ დაუჭირა კლუბის გადარჩენის მისეულ პროექტს. მალე მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება, რადგან კლუბს სტადიონის რეკონსტრუქციაზე გაწეული სამუშაოები აქვს ასანაზღაურებელი, პლუს მიმდინარე სეზონის დავალიანება -1,7 მილიონი ევრო.

„მონტობანის“ ხელმძღვანელებმა ახალი პროექტი უნდა შეადგინონ, რითაც სპონსორებისა და ინვესტორების მეტად დაინტერესება იქნება შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლუბის ქონება აუქციონზე გაიყიდება. თუ მოვლენები ასე განვითარდება, მაშინ „მონტობანს“ ყველაზე დაბალ, ფედერალ 3 დივიზიონში დაქვეითება ემუქრება.

# აზიის ხუთი ერი ერთი საგზურისთვის

აზიაში დაიწყო ხუთი ერის გათამაშება 2011 წლის მსოფლიო თასის ერთი საგზურის მოსაპოვებლად. ახალ ზელანდიაში მოხვედრის შანსი ამ ტურნირის მეორეადგილოსანსაც ექნება - ის რეპეშაჟში სამხრეთ ამერიკის მესამე გუნდს, ურუგვაის დაუპირისპირდება. გამარჯვების შემთხვევაში კი მომდევნო მეტოქე ევროპის ერთა თასის მესამე გუნდი, რუმინეთის ეროვნული ნაკრები იქნება.



აზიის ხუთი ერის გათამაშებაში ფავორიტი იაპონიის ნაკრებია, რომელიც დანარჩენებს სათამაშო კლასითაც და გამოცდილებითაც ბევრად აღემატება. აი, მეორე ადგილზე გასვლის შანსი კი დანარჩენებს, ყაზახეთის, სამხრეთ კორეის, ჰონკონგისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრებებს თანაბრად აქვთ.

გასულ უქმეებზე აზიის ხუთი ერის ორი შეხვედრა გაიმართა. რაგბის სპეციალისტებმა სენსაციად შერაცხეს ჰონკონგის საშინაო გამარჯვება სამხრეთ კორეის ნაკრებთან საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით - 32:8.

მეორე მატჩში კი ყაზახეთის ნაკრებმა ალმატიში არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრებს სძლია - 48:28. ამ შეხვედრების ანგარიშებიდან გამომდინარე, მეორე ადგილისთვის, ალბათ, ყაზახეთისა და ჰონკონგის ნაკრებები იბრძოლებენ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

კალათბურთი



მანუჩარ მარკოიშვილი



ვიქტორ სანიკიძე

# მარკოიშვილი ბელგიელებსა და პოლონელებს დაერია

## სანიკიძემ 10 მოხსნა

სამი ტურის წინ იტალიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსი" იყო. მას შემდეგ ბოლონიელებმა ორი მატჩი დათმეს და მეხუთე პოზიციამდე ჩამოქვეითდნენ (15 მოგება, 11 წაგება). შაბათს „ვირტუსის" ნაცვლად მეორეზე **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ" ავიდა, თუმცა ეს აღზევება ხანმოკლე აღმოჩნდა - კვირას „კასერტამ," კანტუელთა მსგავსად, მე-16 მატჩი მოიგო და მეორე ადგილი წაართვა მათ („კანტუს" 10 წაგება აქვს, „კასერტას" - 9).

რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ვიქტორისა და მანუჩარის გუნდებს 2-2 მატჩი დარჩათ და მეორე ადგილზე გასვლის შანსი არ დაუკარგავთ. პირველ პოზიციაზე „მონტეპასკია", რომელსაც ლიდერობას ველარავინ შეეცილება. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და კნახოთ, „ვირტუსი" და „კანტუ" პლეი ოფში რომელი ადგილიდან შეაბიჯებენ. მანამდე განვლილი ტურის მატჩებზე ვთქვათ...

■ ■ ■

კანტუელებმა „აველინოსთან" სტუმრად ურთულესი შეხვედრა მოიგეს - 85:76. მანუჩარ მარკოიშვილმა 34-ე წუთზე შედეგიანი გადაცემით **ანტონი ჯოვაჩინის** სამქულიანი ჩააგდებინა. იმ ეპიზოდის შემდეგ მწვრთნელმა მანუ სათადარიგოთა სკამზე დასვა და მას მერე მოედანზე აღარ გაუყვანია. ეს არც იყო საჭირო, რადგან მანუს პასის შემდეგ „კანტუ" 77:63 დაწინაურდა. ასეთი ფორის 6 წუთში განიავება კი „კანტუს" დონის გუნდს არ ახასიათებს.

სტუმრებმა გადამწყვეტი უპირატესობა მესამე პერიოდში მოიპოვეს, რომლის დასაწყისში მარკოიშვილმა ორქულიანით 13:4 გაქცევას ჩაუყარა საფუძველი. ამ ეპიზოდში კანტუელებმა სამი სამქულიანი ჩააგდეს.

ქართველმა უკანახაზელმა (სასტარტოში იყო) 28 წუთში 7 ქულა (6-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 2 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. 6 რეალიზებული სამქულიანით სტუმრებს დიდი დახმარება გაუწია **მარაცინომ**. მან მატჩი 23 ქულით დაასრულა.

„აველინოს" რიგებში საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქეებმა ითამაშეს: ბელგიელმა **დიმიტრი ლაუერსმა** 21 წუთში 2 ქულა ჩააგდო, პოლონელმა **ფილიპ დილევიჩმა** - 15 წუთში 3 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა, პოლონელმავე **შიმონ შევჩიკმა** 29 წუთში - 12 ქულა (4-დან 2 სამქულიანი), 4 მოხსნა, 3 დაფარება.

ამ წაგების შემდეგ პლეი ოფში გამსვლელი მერვე ადგილი „აველინოს" „ბენეტონმა" წაართვა.

■ ■ ■

ყველასთვის მოულოდნელად საშინაო მატჩი დათმო „ვირტუსმა". ბოლონიელები, ალბათ, ვერც იფიქრებდნენ, რომ ბოლოსწინა ადგილზე მყოფი „კრემონა" მათ დიდ წინააღმდეგობას გაუწევდა. მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა: სირენამდე წუთით ადრე **დევიდ მოსმა** სამქულიანით ბოლონიელები 61:60 დააწინაურა. ამის შემდეგ გუნდები ერთმანეთს საჯარიმოებში გაეჯიბრნენ: ყველაზე მეტი თავისუფალი ტყორცნა კრემონელმა **ტროი ბელმა** ჩააგდო და თანაგუნდელებს ხმაურიანი გამარჯვება მოუტანა - 68:65.

მასპინძლებს 10 მოხსნით (16 წუთში) დაეხმარა **ვიქტორ სანიკიძე**, თუმცა შეტევაში ყველაფერი ისე არ გამოსდიოდა, როგორც სურდა - სამი ორქულიანი ისროლა და მოედანი უქულოდ დატოვა.

ლამაზი ორმაგი დუბლი შეასრულა ვირტუსის მეფარე **დიეგო ფახარდომ** - 11-11 ქულა-მოხსნა. მოსმა კი 22 ქულას მოუყარა თავი.

სანიკიძის წინააღმდეგ „კრემონას" მაისურით ითამაშა გაბულგარელებულმა ამერიკელმა **ერლ როულანდმა**, რომელმაც 33 წუთში 13 ქულა, 5 მოხსნა და 4 პასი მიითვალა.

■ ■ ■

5 მაისს გასამართ მომდევნო ტურს გამოტოვებს „ვირტუსი" („სკავოლინისთან" წინასწარ ითამაშა), „კანტუ" კი „ვარეზეს" უმასპინძლებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ელისი VS ცქიტიშვილი

ესპანეთის ჩემპიონატში ჩვენთვის საინტერესო დუელი შედგა - **ტაირონ ელისის** „კახასოლმა" **ნიკა ცქიტიშვილის** „ფუენლაბრადას" უმასპინძლა. ამ სეზონში სევილიელები შთამბეჭდავად გამოიყურებიან და ცხრილში მეხუთე ადგილზე სამართლიანადაც არიან. ნიკა ცქიტიშვილის გუნდი კი 12 მოგებით მე-14 პოზიციაზეა და პლეი ოფის ზონის მერვეადგილოსან „გრან კანარიას" 3 მოგებით ჩამორჩება. „კახასოლი"-"ფუენლაბრადას" მატჩში ძლიერმა მასპინძლებმა გაიმარჯვეს - 78:56. თუ საწყისი 30 წუთის განმავლობაში მადრიდელები მეტოქეს წინააღმდეგობას უწევდნენ, ბოლო რაუნდში 10 ქულამდეც ვერ ავიდნენ (9:19).



ნიკა ცქიტიშვილმა 15 წუთში 2-2 ორქულიანი და სამიანი ისროლა, რომელთაგან ორი ორქულიანი გამოიყენა და 4 ქულას 1 მოხსნა მიამატა.

„კახასოლიდან" მაისურით ყველაზე მეტი, 12 ქულა **სატორანსკიმ** ჩააგდო. ტაირონ ელისმა კი 10 ქულას, 4 პასსა და 1 მოხსნას მოუყარა თავი.

მომდევნო ტურში, 2 მაისს ცქიტიშვილის „ფუენლაბრადა" „მანრესას" ეწვევა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# გამყრელიძის ბირი: ტრირი

გერმანულ ბუნდესლიგაში **ლაშა გამყრელიძის** „მიტელდოიჩერმა" მე-17 მატჩი მოიგო, თუმცა ეს შედეგი პლეი ოფში გასასვლელად საკმარისი არ არის. „მგლები" ორი მოგებით ჩამორჩებიან „ბრაუნშვაიგს", რომელსაც 19 მოგება აქვს და საპლეიოფო ოქტეტში ბოლო ადგილზეა. რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა.

„დოიჩერის" კალათბურთელებმა ბოლოსწინა ტურში „ტრირი" მისსავე მოედანზე გაანადგურეს - 95:66. სტუმართა წარმატებაში ღირებული წვლილი შეიტანა ქართველმა გამთამაშებელმა გამყრელიძემ. მან 19 წუთში 13 ქულა (5-დან 4 ორქულიანი, 9-დან 5 საჯარიმო), 4 პასი და 1 მოხსნა მოაგროვა. „მიტელდოიჩერის" შემადგენლობაში ყველაზე მეტი, 16 ქულა **ანატოლი კაშიროვმა** ჩააგდო.

ბოლო ტურში, 5 აპრილს ლაშა და მისი თანაგუნდელები „ესენს" მიიღებენ და გულშემატკივარს მომდევნო სეზონამდე დაემშვიდობებიან.

# პანათინაიკოსის ოცდამეოთხე

საბერძნეთის ჩემპიონატში მორიგ წარმატებას მიაღწია ათენის „პანათინაიკოსმა" - შინ აეკ-ი 91:62 დაამარცხა. ანგარიშში სხვაობიდანაც ჩანს, რაოდენ იოლად მოიგეს „მწვანეებმა".

ათენელთა ქართველმა **გიორგი შერმადინმა** 7 წუთი ითამაშა და 1 ქულას 4 მოხსნა მიამატა.

მასპინძელთა სნაიპერი სასტარტო ცენტრი **ნიკოლა პეკოვიჩი** გახდა - 16 წუთში 16 ქულა.

„პანათინაიკოსს" 25 ტურის შემდეგ 24 მოგება აქვს და ორი ქულით უსწრებს „ოლიმპიაკოსს".

# უგრეხელიძე ლიგაში დასარჩენ თოქს გრეხს

სლოვენიის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის „კუპერი", რომლის ღირსებას **დავით უგრეხელიძე** იცავს. კუპერელებმა მეორე ჯგუფური ეტაპი მეოთხე ადგილზე დაასრულეს (ხუთ გუნდში) და ახლა მეორელიგელ „როგასკასთან" პლეი ოფში არკვევენ ურთიერთობას

პირველი მატჩი „კუპერის" მოედანზე გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. სამმატჩიანი შესვენების შემდეგ უგრეხელიძე სასტარტო ხუთეულს დაუბრუნდა და ეფექტურადაც გაისარჯა: 28 წუთში 15 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა. კუპერელთა შორის დათოზე მეტი მხოლოდ **ემანუელ რიხტერმა** ჩააგდო - 20 ქულა.

„კუპერისა" და „როგასკას" განმეორებითი მატჩი 28 აპრილს გაიმართება. სერია ორ მოგებამდეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**




საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ტყვიით სროლაში

**მარლენ პაპავა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩოგბურთი

# მაკა პორშეს ვერ შეხვდა

მოწინავე ქართველ ქალ ჩოგბურთელებს რეიტინგში ცვლილებები ნაკლებად შეეხოთ, უფრო საინტერესო გადაადგილებები არიერგარდში მყოფებში მოხდა. **ანა ტატიშვილი** 380 ქულით კვლავ მსოფლიოს 155-ე ჩოგანია, მხოლოდ ერთი საფეხურით დაწინაურდა **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც 364 ქულით მსოფლიოში 161-ეა, **მაკა ჩახნაშვილმა** რეიტინგის კიბეზე 4 საფეხურით აინაცვლა, ის 250 ქულით მსოფლიოს 207-ე ჩოგანია. სხვები: 337 (+12) **სოფიო შაფათავა** - 119 ქულა; 395 (+25) **სოფიო ქვაცაბაია** - 88; 418 (38) **მანანა შაფაქიძე** - 81; 435 (-2) **თათია მიქაძე** - 77; 523 (-5) **ეკა გორგოძე** - 55; 1062 (-2) **ანა ჯიქია** - 5. ალბათ, შეამჩნევდით, რომ სიაში აღარ არის **მაგდა ოქრუაშვილი**, სამაგიეროდ, კარიერის საუკეთესო ნიშნულს მიაღწიეს ქვაცაბაიამ და შაფაქიძემ. ქართული ჩოგბურთის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ პირველ 400-ეულში ხუთი ქართველი ჩოგბურთელია.

ვაჟთა რეიტინგში უკან დაიხია **ნიკოლოზ ბასილაშვილმა**, 17 წლის ქართველი 42 ქულით მსოფლიოს 577-ე ჩოგანია, 7 ქულის ჩამოკლებამ მას 42 ადგილი დააკარგვინა. **ლაზარე კუხალაშვილი** 6 ქულით მსოფლიოს 1073-ე (+5) ჩოგანია.

ვტა-ს პრემიერკატეგორიის ტურნირ „პორშე ოუფენის" (700 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში ვერ გავიდა მაკა ჩახნაშვილი, რომელმაც საკვალიფიკაციო ბადის ფინალში რუს **ანა ლაპუშჩენკოვასთან** (140) წააგო - 2:6, 2:6. ვერც კანსურ მერის ტურნირში (საფრანგეთი, 100 ათასი დოლარი) გავიდა ძირითად ბადეში სოფიო ქვაცაბაია. საკვალიფიკაციო ბადის მეორე წრეში მან პირველ ნომრად განთესილ ფრანგ **კლერ ფიურსტეინთან** (189) წააგო - 4:6, 2:6. ბრიტანეთის ქალაქ ბორნმუთში საერთაშორისო ტურნირის (15 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში წარუმატებლად იასპარეზა **ლაზარე კუხალაშვილმა**. ქართველი მე-7 ნომრად იყო განთესილი, პირველ წრეში ის ისვენებდა, მეორეში კი ურეიტინგო ირლანდიელ **ჯონ მორისეისთან** 3:6, 5:7 დამარცხდა.

ხვალ ერევანში საქართველოს ნაკრები „ფედერაციის თასის" II ევრო-აფრიკულ ზონაში ჩაებმება და I ზონის საგზურის მოპოვებას შეეცდება. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ანა ტატიშვილი, ოქსანა კალაშნიკოვა, სოფიო შაფათავა და მანანა შაფაქიძე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# უმაღლესში ისევ ორი ქართველით

გუშინ სუმოს ასოციაციამ ოფიციალური რეიტინგ-ლისტი (ბანძუკე) გამოაქვეყნა, რომლის დადგენილი იერარქიითაც პროფესიონალი სუმოისტები მაისის ბაშოზე იასპარეზებენ. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ის იყო, თუ რას გადაწყვეტდა ასოციაცია **თეიმურაზ ჯუღელთან (გაგამარუ)** მიმართებაში. გაგამარუმ მარტის ბაშოზე 8-7 ბალანსი გაახერხა, საინტერესო იყო, ეყოფოდა თუ არა მას მინიმალური დადებითი ბალანსი უმაღლეს დივიზიონში გადასასვლელად. სპეციალისტები ქართველის შანსებს 50/50-ზე აფასებდნენ. როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, სუმოს ასოციაციამ უცხოელის მხარე არ დაიჭირა - უმაღლეს დივიზიონში კვლავ ორი ქართველი რიკიში რჩება...

მარტში სამივე ქართველმა სუმოისტმა ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულა, ამიტომაც სამივე დაწინაურდა რეიტინგში. **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** მე-6 მაეგაშირა იყო, და 9-6 ბალანსი აჩვენა. დღეიდან ლევანი დასავლეთის მე-2 მაეგაშირაა, რაც მშვენიერი პლაცდარმია კომუსუბის ტიტულისთვის საბრძოლველად. ტრადიციულმა სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ტოჩინოშინი კიდევ ერთი სანტიმეტრით ამაღლდა (192 სმ), მისი წონა 160 კილოგრამია. ტოჩინოშინი რჩება ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტად, ის 22 წლისაა. ლევანს კარიერაში 163 ორთაბრძოლა აქვს მოგებული და 116 წაგებული (88:92 უმაღლეს დივიზიონში).

ქართული სუმოს პიონერი **ლევან ცაგურია (კოკაი)** მარტში მე-14 მაეგაშირა იყო, ბაშო მან 10-5 ბალანსით დაასრულა და დასავლეთის მე-6 მაეგაშირობამდე აღზევდა. კოკაი 190 სმ სიმაღლისაა და 154 კილოგრამს იწონის. ლევანს კარიერაში 373 ორთაბრძოლა აქვს მოგებული და 334 წაგებული (276:294 უმაღლეს დივიზიონში).

გაგამარუ დასავლეთის პირველი მაეგაშირა იქნება და ახლა ნამდვილად ეყოფა თუნდაც მინიმალური დადებითი ბალანსით დასრულებული ტურნირი უმაღლესის საგზურის მოსაპოვებლად. იგი ქართველთა შორის ყველაზე დაბალი (185 სმ) და ყველაზე მძიმეა (189 კგ). მისი კარიერის ბალანსი ასეთია: 128-78.

**ასაშორიუს** წასვლის შემდეგ მონღოლი **ჰაკუჰო** ერთ დიდ ჩემპიონად რჩება, ხუთი ოძეკია, მათ შორის ესტონელი **ბარუტო** პირველად გახდა ჩემპიონის ტიტულის მფლობელი. დიდი ხნის შემდეგ ყველა სეკივაკე და კომუსუბი იაპონელია. მაისის სუპერტურნირი, რომელსაც იაპონელები ნაცუ ბაშოს (ზაფხულის ბაშო, მარტის ტურნირს გაზაფხულისა ჰქვია) უწოდებენ, სუმოს მექა „კოკუგიკანში" 9-23 მაისს გაიმართება.

**აპრილის ბანძუკე**

| | | |
|---|---|---|
| ჰაკუჰო | იოკოძუნა | - |
| ჰარუმაფუჯი | ოძეკი | კოტოოშუ |
| კოტომიცუკი | ოძეკი | კაიო |
| - | ოძეკი | ბარუტო |
| კისენოსატო | სეკივაკე | ამინიშიკი |
| კოტოშოგიკუ | კომუსუბი | ტოჩიოძანი |
| ტოიონოშიმა | მაეგ. 1 | მიაბიამა |
| ჰომაშო | მაეგ. 2 | ტოჩინოშინი |
| კაკურიუ | მაეგ. 3 | ვაკანოსატო |
| კიტატაიკი | მაეგ. 4 | ასასეკირიუ |
| ივაკიამა | მაეგ. 5 | ჰაკუბა |
| ტოკიტენკუ | მაეგ. 6 | კოკაი |
| ტამავაში | მაეგ. 7 | კიოკუტენჰო |
| კაკიძოე | მაეგ. 8 | ტოიოჰიბიკი |
| ტოსაიუტაკა | მაეგ. 9 | გოეიდო |
| არანი | მაეგ. 10 | ოკინოუმი |
| მოკონამი | მაეგ. 11 | ტოკუსეგავა |
| ტაკეკაძე | მაეგ. 12 | კიმურაიამა |
| იოშიკაძე | მაეგ. 13 | ტაკამისაკარი |
| ტოჩინონადა | მაეგ. 14 | ჰოკუტორიკი |
| ვაკაკოიუ | მაეგ. 15 | შიმოტორი |
| კორიუ | მაეგ. 16 | ტამანოშიმა |
| საგაცუკასა | ძურიო 1 | გაგამარუ |
| შოტენრო | ძურიო 2 | კოტოკასუგა |
| კასუგაო | ძურიო 3 | ჩიოჰაკუჰო |
| ტამაასუკა | ძურიო 4 | სოკოკურაი |
| მასაცუკასა | ძურიო 5 | ბუშუიამა |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მძლეოსნობა

# პირველობას არ თმობს

გასულ უქმეებზე ფილადელფიაში მძლეოსანთა საუნივერსიტეტო ტურნირზე კვლავ წარმატებით იასპარეზა ქართველმა მძლეოსანმა, ორი ოლიმპიადის მონაწილე **მარიამ ქევხიშვილმა**. წლეულს ღია ცის ქვეშ მისთვის ეს მესამე სტარტი იყო. თბილისელმა სპორტსმენმა, რომელიც ამერიკაში სწავლობს და ვარჯიშობს, ბირთვი 18,17-მეტრიან ზღვარს გადააცილა და კვლავ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

მარიამ ქევხიშვილი ოკეანისგაღმა კიდევ რამდენიმე სტუდენტურ ტურნირში მოსინჯავს ძალებს, ივნისის მიწურულს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ქვეყნის სპორტულ ღირსებას ევროპის გუნდურ ჩემპიონატში დაიცავს, რომელსაც მალტა უმასპინძლებს, აგვისტოს ბოლოს კი ბარსელონაში კონტინენტის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე გამოვა.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი — ტურნირების მიმოხილვა

# ისევ იტალია-ამერიკა

## კიმ კლაისტერსი როლან გაროსს გამოტოვებს?



ფედერაციის თასის ფინალში ზედიზედ მეორედ იტალიისა და ამერიკის ნაკრებები გაარკვევენ ურთიერთობას. მოქმედმა ჩემპიონებმა - იტალიელებმა ერთი ქულაც არ დაანებეს ჩეხეთის ნაკრებს და ამ ნახევარფინალზე შეჩერება არ ღირს. გაცილებით საინტერესო იყო ამერიკისა და რუსეთის ნაკრებთა მატჩი, რომლის ბედი ბოლო დღეს წყვილების თამაშმა გადაწყვიტა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბირმინგემში გამართულ შეხვედრაში რუსების მხრიდან ამერიკის ნაკრებს მარტო **ელენა დემენტიევა** ებრძოდა. სტუმრების გუნდში ვერც **კუდრიავცევამ** და ვერც **მაკაროვამ** ვერ შეძლეს მასპინძლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, არადა, ამერიკაც დები უილიამსების გარეშე შესუსტებული შემადგენლობით შეხვდა ნახევარფინალურ მატჩს.

ძალთა ასეთი თანაფარდობის პირობებში გადამწყვეტი აღმოჩნდა წყვილების მატჩი. მანამდე დემენტიევამ ორივე ერთეულთა შეხვედრა მოიგო, ამერიკას კი ორი ქულა **მელანი ოუდინმა** და **ბეტანი მატეკმა** მოუტანეს, რომლებმაც შესაბამისად კუდრიავცევა და მაკაროვა დაამარცხეს.

რა თქმა უნდა, რუსებს არ სურდათ საქმის წყვილთა მატჩამდე მიყვანა, რადგან აქ ფავორიტად თავიდანვე ამერიკელები იყვნენ მიჩნეულნი, რომელთა რიგებში მსოფლიოში საუკეთესო მეწყვილე **ლიზელ ჰუბერი** ირიცხება. მას პარტნიორად მატეკი დაუყენეს, რომელიც ასევე მაღლა დგას WTA-ის შესაბამის რეიტინგში (მე-14 პოზიცია).

რუსებში დუეტი დემენტიევამ და კუდრიავცევამ დააკომპლექტეს. პირველ მათგანს წყვილებში საერთოდ არ აქვს რეიტინგი და ბოლოს ერთი წლის წინ ითამაშა წყვილთა თანრიგის მატჩი. ამ ყველაფერმა ლოგიკური შედეგი გამოიღო. თანაბარი ბრძოლა მხოლოდ პირველი სეტის დასაწყისში იყო, რის შემდეგაც თანდათან უფრო შესამჩნევი გახდა ამერიკელთა მაღალი კლასი. მასპინძლებმა ქულების დიდი ნაწილი ბადესთან კარგი თამაშით მოიპოვეს. ამ მხრივ განსაკუთრებით ჰუბერი უნდა გამოვყოთ, რომელიც ბოლოს ისე შევიდა ეშხში, რომ პრაქტიკულად შეცდომას არ უშვებდა. საბოლოოდ, მატჩი ამერიკელთა დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა - 6:3, 6:1.

ასე რომ, შარშანდელის მსგავსად ფედერაციის თასის ფინალში ერთმანეთს ამერიკა და იტალია შეხვდებიან. გადამწყვეტი მატჩი 6-7 ნოემბერს აშშ-ის ტერიტორიაზე ჩატარდება.

**1/2 ფინალი**

| აშშ-რუსეთი | 3:2 |
|---|---|
| 1:0 მელანი იუდინი-ალა კუდრიავცევა | 6:3, 6:3 |
| 1:1 ბეტანი მატეკი-ელენა დემენტიევა | 4:6, 3:6 |
| 2:1 მელანი იუდინი-ელენა დემენტიევა | 6:7(4), 6:0, 3:6 |
| 2:2 ბეტანი მატეკი-ეკატერინა მაკაროვა | 6:4, 2:6, 6:3 |
| 3:2 ჰუბერი/მატეკი-დემენტიევა/კუდრიავცევა | 6:4, 6:1 |

| იტალია-ჩეხეთი | 5:0 |
|---|---|
| 1:0 ფლავია პენეტა-ლუსი ჰრადეცკა | 6:4, 7:5 |
| 2:0 ფრანჩესკა სკიავონე-ლუსი საფაროვა | 6:0, 6:2 |
| 3:0 ფლავია პენეტა-პეტრა კვიტოვა | 7:6(3), 6:2 |
| 4:0 სარა ერანი-ლუსი ჰრადეცკა | 6:4, 6:2 |
| 5:0 ერანი/სკიავონე-ჰრადეცკა/პეშკე | 6:2, 6:4 |

■ ■ ■

ფედერაციის თასის მატჩები მხოლოდ მსოფლიოს ჯგუფში არ გამართულა. ჩატარდა აგრეთვე ელიტურ დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებელი მატჩები და ერთ-ერთში ბელგიის ნაკრებმა ესტონეთი 3:2 დაამარცხა.

ეს შეხვედრა სავალალოდ დასრულდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის **კიმ კლაისტერსისთვის. მარეტ ანის** წინააღმდეგ მატჩში კიმმა მარცხენა ფეხის კუნთი დაიზიანა. ბელგიელმა შეძლო თამაშის დასრულება, მაგრამ მოგვიანებით ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ კლაისტერსს დაახლოებით ექვსი კვირის გამოტოვება მოუწევს.

*„როცა ექიმი ამბობს, რომ ექვსი კვირის გამოტოვებაა საჭირო, პანიკაში ვვარდები. მაგრამ, როგორც წესი, მე იოლად ვმკურნალობ ტრავმებს, ასე რომ, საშიში არაფერია“*, - ამბობს კლაისტერსი.

აღსანიშნავია, რომ თუ ექიმის პროგნოზი ზუსტი აღმოჩნდა, კიმს მოუწევს „დიდი სლემის“ რიგით მეორე ტურნირის - როლან გაროსის გამოტოვება.

# სერენას 100 კვირა

ფედერაციის თასის გამო გასულ კვირას WTA-ის ტურში ტურნირები არ გამართულა და ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** შეინარჩუნა რეიტინგში პირველი ადგილი. თანაც უმცროს უილიამსს ერთგვარი იუბილე ჰქონდა - მან უკვე 100 კვირა დაყო კლასიფიკაციის პირველი ნომრის რანგში.

სერენა ქალთა პროფესიული ტურის კლასიფიკაციას 2009 წლის ნოემბერში ჩაუდგა სათავეში და მისი პირველობა ზედიზედ 24 კვირას ითვლის. პირველად კარიერაში უილიამსი რეიტინგის მწვერვალზე 2002 წლის 8 ივლისს მოექცა და მისი ლიდერობა 57 კვირა გაგრძელდა. შემდეგ იყო ხუთწლიანი პაუზა და მხოლოდ 2008 წლის 8 სექტემბერს დაბრუნდა კლასიფიკაციის სათავეში, თუმცა პირველი ჩოგნის რანგში სულ რაღაც ოთხ კვირა დაყო, შემდეგ იყო 11-კვირიანი ბატონობის პერიოდი (2009 წლის 2 თებერვლიდან 19 აპრილამდე) და კიდევ ორი კვირა - ამავე წლის 12-25 ოქტომბერს.

სერენა უილიამსი მეშვიდე ჩოგბურთელია ისტორიაში, ვისმა ლიდერობამაც ჯამში 100 კვირას გასტანა. მანამდე ამ



ზღვარს შემდეგმა ჩოგბურთელებმა გადააბიჯეს - გერმანელმა **შტეფი გრაფმა** (სულ 377 კვირა), ამერიკელმა **მარტინა ნავრატილოვამ** (322), მისმა თანამემამულემ **კრის ევერტმა** (260), შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა** (209), ამერიკელმა **მონიკა სელეშმა** (178) და ცოტა ხნის წინ დიდ სპორტში დაბრუნებულმა ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა** (117).

# ვერდასკოს მეხუთე ტიტული



გასულ კვირას კარიერაში მეხუთე ტურნირი მოიგო ესპანელმა **ფერნანდო ვერდასკომ**. მსოფლიოს მეცხრე ჩოგანმა გააგრძელა ბარსელონაში ესპანელი ჩოგბურთელების 8-წლიანი ჰეგემონია - კატალონიის დედაქალაქში ზედიზედ ხუთი წელი **რაფაელ ნადალი** ბატონობდა და ახლა მისგან ესტაფეტა ვერდასკომ გადაიბარა. ნადალამდე კი აქ **ტომი რობრედომ** და **ხუან-კარლოს ფერერომ** გაიმარჯვეს.

ფერნანდო ბრწყინვალე ფორმაში შეხვდა სათიხნარო სეზონს. წინა კვირას მან მონაკოს მასტერსის ფინალში გააღწია და იქ ნადალთან წააგო, ამჯერად კი ბარსელონაში მთავარ პრიზს დაეუფლა.

ფინალში ვერდასკოს მეტოქედ როლან გაროსის ფინალისტი **რობინ სიოდერლინგი** ჰყავდა. სხვათა შორის, ამ ჩოგბურთელთა ურთიერთშეხვედრებში წინ შვედი იყო - 4:1, ასე რომ, ესპანელს პირადი სტატისტიკის გამოსწორებაზეც უნდა ეზრუნა, რაც მან კარგად მოახერხა.

მატჩი 2 საათსა და 4 წუთს გაგრძელდა და ვერდასკომ სამ სეტში გაიმარჯვა - 6:3, 4:6, 6:3. მეტოქეებმა პირველი ორი სეტი გაცვალეს, რის შემდეგაც გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე პარტიის სტარტზე გაკეთებული ბრეიკი, რომელმაც ვერდასკოს გამარჯვება მოუტანა. ესპანელმა 286 ათასი ევრო მიიღო, ხოლო რეიტინგში ქულათა მონაგარი 500 ქულით შეავსო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი — ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კრ. პალასი-ვესტ ბრომვიჩი | 1:1 |

**იტალია — სერია B**

| | |
|---|---|
| ტრიესტინა-მოდენა | 1:1 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ოსასუნა-ბილბაო | 0:0 |

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ასპილიკუეტა, როვერსიო, სერხიო, ეჩაიდე (76. ოიერი) - რუპერი (82. ვადოში), პუნიალი - ხუანფრანი, არანდა (66. მასუდი), კამუნიასი - პანდიანი.

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - უსტარიცი, სან ხოსე, ამორებიეტა, კოიკილი - გურპეგი (58. სუსაეტა), იტურასპე, მარტინესი, იესტე (88. გაბილონდო) - ლორენტე (84. მუნიაინი), ტოკერო.

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 12-8 (3-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 18 000

**გერმანია — II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კოტბუსი-უნიონი | 4:2 |

**საფრანგეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰავრი-კაენი | 1:1 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| გიმარაეში-ბელენენსეში | 2:0 |

**ჰოლანდია — I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| რეითი-ეირდრი | 0:1 |
| როსი-მორტონი | 2:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| რანდერსი-მიდტიულანდი | 2:0 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| მიოლდე-ტრომსიო | 2:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მალმიო-იურგორდენი | 2:1 |
| მიალბიუ-ჰელსინგბორგი | 0:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლანდსკრონა-სირიანსკა | 1:2 |
| ნორჩოპინგი-ბრაგე | 0:0 |
| იორგრიტე-ლიუნგსკილე | 0:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ტურკუ-ჰონკა | 1:0 |
| ჰიკ-ჰაკა | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კოტეპე-ესპოო | 0:0 |

**შვეიცარია — ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ლუგანო-ვინტერტური | 2:0 |

**საბერძნეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ილიუპოლი-როდოსი | 2:0 |
| პიერიკოსი-პანსერაიკოსი | 1:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ესქისეჰირი-ტრაბზონი | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ადანა-ქართალი | 1:0 |
| ბუკა-ბბ გაზიანთეფი | 0:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| დანდალკი-ბრეი | 2:3 |
| გალვეი-სტ. პატსი | 0:2 |
| სპორტინგი-ბოჰემიანსი | 0:2 |
| უნივერსიტი-დროგედა | 2:0 |
| შემროკი-სლიგო | 1:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი 1905-ბანიკი | 0:1 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| კრილია-ამკარი | 1:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| კორონა-ლეგია | 0:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ინტერნასიონალი-ვასლუი | 1:2 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| მონტანა-ლოკომოტივი (მ) | 1:1 |
| მინიორი-ლოკომოტივი (პ) | 0:0 |

**ჩოგბურთი**

**ATP. რომი**

| | |
|---|---|
| კოლშრაიბერი-კუევასი | 6:7, 6:1, 6:4 |
| ფერერო-ხირალდო | 0:6, 3:6 |
| მონტანიესი-ლორენსი | 6:2, 4:6, 3:6 |
| ისნერი-სებალიოსი | 4:6, 7:6, 7:5 |
| გულბისი-ბაღდატისი | 6:2, 6:2 |
| კუერი-ბენეტო | 6:7, 6:3, 6:7 |
| გარსია ლოპესი-ჩელა | 6:2, 6:2 |
| მონაკო-ანდრეევი | 7:6, 7:5 |
| ბერდიხი-გრანოლერსი | 6:3, 6:3 |
| ლოდრა-ბეკი | 6:2, 3:6, 6:4 |
| სტარაჩე-ჰაიეკი | 6:2, 6:2 |
| ლუბიჩიჩი-მატიო | 7:5, 6:7, 6:0 |
| ლუჩაკი-ვოლანდრი | 4:6, 3:6 |

**WTA. ფესი**

| | |
|---|---|
| ბენეშოვა-ოლარუ | 6:0, 6:4 |
| ოლარუ-ზაკოპალოვა | 6:4, 2:6, 6:4 |
| მეირი-სავჩუკი | 4:6, 6:7 |

## TV პროგრამა

**27 აპრილი. სამშაბათი**

**I არხი**

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიონი-ბაიერნი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბრაზილია.
08:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
09:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
11:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სტოკი.
13:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-კალიარი.
15:10 პოკერი.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ბრაზილია.
18:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:10 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მიმოხილვა.
18:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:45 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
21:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიონი-ბაიერნი (LIVE).
00:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სტოკი.
03:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-კალიარი.
05:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ბაიერნი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:00 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ჰოლანდია-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
09:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.
11:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ატალანტა.
13:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი.
15:45 სქვოში.
17:10 სავიზიტო ბარათი.
17:25 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. შტუტგარტი. გერმანია.
20:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-ლიონი.
21:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ჰოლანდია-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
00:45 სავიზიტო ბარათი.
01:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი.
02:45 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. შტუტგარტი. გერმანია.
05:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.

**EUROSPORT**

10:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
11:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
12:15 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. X დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.
13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
17:45 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:10 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ექსტრემალური სპორტი.
01:30 ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
01:45 პროფესიული კრივი. WBO-ის ვერსია. მძიმე წონა. მარკო ჰუკი (გერმანია)-ადამ რიჩარდსი (აშშ). გერმანია.
02:45 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).

## ჰოკეი — NHL პლეი ოფი. 1/8 ფინალი

**დეტროიტი-ფინიქსი 2:5**

0:1, 1:3, 1:1

**გოლები:** 0:1 კორპიკოსკი-1, 0:2 შნაიდერი-1 (სტემპნიაკი-2, პიატი-1), 1:2 ბ. სტიუარტი-1 (დაციუკი-3, ფრანცენი-5), 1:3 ვრბატა-2 (ლანგი-1, იენდლი-2), 1:4 ვოლსკი-4 (პრუხა-2, ზ. მიხალეკი-2), 1:5 პიატი-1 (იენდლი-3, მორისი-3), 2:5 ჰელმი-1 (კრონვალი-5).

**სერია: 3:3**

**ლოს ანჯელესი-ვანკუვერი 2:4**

1:0, 1:1, 0:3

**გოლები:** 1:0 ფროლოვი-1 (რიჩარდსონი-1), 1:1 ბერნიე-4 (ედლერი-2), 2:1 დაუტი-3 (კოპიტარი-3, ჯ. ჯონსონი-7), 2:2 ბიეკსა-1 (დ. სედინი-6, სამუელსონი-3), 2:3 დ. სედინი-4 (სამუელსონი-4, ჰ. სედინი-7), 2:4 ბაროუზი-1.

**სერია: 2:4**

# ლებრონის კორიდა ჩიკაგოში

**დუეინ უეიდმა** არ მოისურვა საკუთარი გულშემატკივრების წინაშე სეზონის დასრულება და მინიმუმ ერთი მატჩით გაახანგრძლივა „ბოსტონთან" სერია. „მაიამის" ლიდერი მეხუთე მატჩში ყველაფერს ასწრებდა და როგორც კი ერთ სანტიმეტრ თავისუფალ სივრცეს მიიღებდა, მაშინვე ზუსტად ისროდა მეტოქის კალათში.

„ჰიტის" სერიოზული განწყობა სასტარტო მეოთხედში გამოჩნდა, როცა მასპინძლები ამ სერიაში სარეკორდო სხვაობით (+17) გავიდნენ წინ. „ბოსტონი" მოგვიანებით მოეგო გონს და **კევინ გარნეტმა** და **ტონი ალენმა** სერიოზულად მიხედეს საქმეს. ფორვარდისა და გამთამაშებლის 12 ქულის წყალობით „სელტიქსმა" 19:5 გაქცევა მოაწყო და ჩამორჩენა სიმბოლურ ნიშნულამდე - ოთხ ქულამდე დაიყვანა. ხოლო, როცა საბოლოოდ გაილვიძეს **პირსმა, რონდომ** და **რეი ალენმა**, მასპინძლების მდგომარეობა თითქმის უიმედო გახდა - 71:77 ბოლო მეოთხედის წინ.

სწორედ ამ დროს დაიწყო მოედანზე დუეინ უეიდის შოუ. ის ჯერ საშუალო მანძილიდან ტყორცნით გახურდა და როცა იგრძნო, რომ მიზანი გასწორებული ჰქონდა, ოთხი სამქულიანი და ხუთი საჯარიმო ჩააგდო, რითაც საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე თითქმის გადაწყვიტა მატჩის ბედი - 93:82.

უეიდმა ბოლო მეოთხედი მეტოქეს პირადად მოუგო - 19:15 და 46 ქულით პლეი ოფში შედეგიანობის პირადი რეკორდი გააუმჯობესა. მატჩის შემდეგ გუნდების მწვრთნელები დუეინის მოქმედების შეფასებისას ლაკონიურები იყვნენ. *„ფენომენალური"*, - თქვა რივერსმა, *„ბრწყინვალე"*, - დაეთანხმა სპოელსტრა.

■ ■ ■

უეიდთან ერთად გუშინდელი დღის გმირი **ლებრონ ჯეიმსი** გახდა, რომელმაც ჩიკაგოელ „ხარებს" მათსავე მოედანზე ნამდვილი კორიდა მოუწყო. „კლივლენდმა" მხოლოდ მატჩის დებიუტში გაათამამა მეტოქე, რითაც „ჩიკაგოს" ფანებს ზედიზედ მეორე თამაშის მოგების იმედი მიეცათ, მაგრამ შეხვედრის ბედი მეორე და მესამე მეოთხედებში მოქცეულმა იმ 10-წუთიანმა მონაკვეთმა გადაწყვიტა, რომელიც „კავალერებმა" 35:13 მოიგეს.

მასპინძელთა რიგებში მხოლოდ **ჟოაკიმ ნოას** გამოყოფა შეიძლება, რომელმაც ფანტასტიკური ორმაგი დუბლი შეასრულა - 21 ქულა და 20 მოხსნა. ლებრონმა კი ეტყობა გაიგო, რომ უეიდი მას მიმდინარე პლეი ოფის სნაიპერობაში ეცილებოდა და თავისი მონაგარი 37 ქულამდე აიყვანა, თანაც ამას 12 მოხსნა და 11 შედეგიანი პასი დაუმატა და სამმაგი დუბლით დაასრულა შეხვედრა.

■ ■ ■

წინა მატჩში ცხვირგატეხილმა **მანუ ჯინობილიმ** მაინც შეძლო „დალასთან" მეოთხე შეხვედრაში მონაწილეობა და კინაღამ მორიგი ტრავმა მიიღო. „მავერიქსის" მექსიკელმა ლეგიონერმა **ედუარდო ნახერამ** სულ რაღაც 50 წამი დაჰყო მოედანზე და თავში ისე ჩაარტყა „სან ანტონიოს" არგენტინელ მცველს, რომ მაშინვე მოედნიდან გაძევეს. გონზე მოსულმა ჯინობილიმ კი ახალი ძალით შეუტია მეტოქეს.

მატჩში და შესაძლოა, სერიაში გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე მეოთხედი. „მავერიქსი" დიდი შესვენებისთვის წინ იყო - 48:37 და მაღალი დონის თამაშსაც აჩვენებდა, მაგრამ პაუზამ ცუდად იმოქმედა „დალასზე". სტუმართა შეტევა მთლიანად მოიშალა, „სპურსის" მცველმა **ჯორჯ ჰილმა** კი 12 წუთში 11 ქულა მოიპოვა და „კოვბოების" 11-ქულიანი უპირატესობა 7-ქულიან ჩამორჩენად იქცა.

მაგრამ „დალასს" ნაადრევად არ დაუყრია ფარ-ხმალი. **ჯეისონ ტერის, კერონ ბატლერისა** და **დირკ ნოვიცკის** მონდომებით, საფინალო სირენამდე 57 წამით ადრე სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა - 89:87. თუმცა შემდეგ შეტევაში ჯინობილიმ ორი საჯარიმო გამოიყენა და „დალასს" თითქმის აღარ დარჩა გადარჩენის შანსი. **მარკ ქიუბანის** გუნდი, რომელიც პლეი ოფის წინ ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, ზედიზედ მესამედ დამარცხდა და უფსკრულის პირას დადგა.

■ ■ ■

მიმდინარე პლეი ოფის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოულოდნელობა „იუტა ჯაზის" წარმატებული თამაშია „დენვერის" წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს კლავაც **ადრიან დენტლი** ავარჯიშებს, რომელიც კიბოთი დაავადებულ **ჯორჯ კარლს** ცვლის და აშკარად ვერ ართმევს თავს მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს. დენტლის აშკარად უგებს დუელს გამოცდილი **ჯერი სლოუნი**, რომელიც ორი წამყვანი კალათბურთელის (**ოქური** და **კირილენკო**) არყოფნაში მაქსიმუმს იღებს დრაფტზე ყველასგან მივიწყებული **უეს მეტიუზისგან** და ადრე არასტაბილური **სი ჯეი მაილზისგან.**

„იუტა" არ შეუშინდა სტუმრების საწყის სპურტს და საპასუხოდ არანორმალური ტემპი შესთავაზა მეტოქის. შედეგად, მასპინძლების უპირატესობა მეთოდურად იზრდებოდა: პირველი შესვენების შემდეგ - ექვსი, მეორეს შემდეგ - ცხრა, მესამე მეოთხედის შუაში - 20.

ბოლო მეოთხედში, როგორც იქნა ათამაშდა **კარმელო ენტონი**. მისმა ზუსტმა ტყორცნებმა „დენვერს" სამჯერ შეამცირებინა სხვაობა შვიდ ქულამდე, მაგრამ „იუტა" ჯიუტად მიდიოდა ფარქვეშ და ჯარიმების უფლებას იღებდა. საბოლოოდ, „ჯაზმენებს" 42 თავისუფალი ტყორცნა დაუგროვდათ. ამ ტაქტიკის წყალობით „იუტამ" 117:106 მოიგო და სერიაში 3:1 დაწინაურდა. სხვათა შორის, სავსებით რეალურად მოჩანს მომდევნო წრეში „იუტასა" და „ოკლაჰომას" შეხვედრა, რასაც ორი კვირის წინ ვერავინ წარმოიდგენდა.



**მაიამი-ბოსტონი 99:92**

31:18, 18:25, 22:34, 28:15

მ: უეიდი (46+5 პასი), რიჩარდსონი (20+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბიზლი (15), ჰასლემი (0+11 არლქრპრვ).

ბ: რონდო (23+9 პასი), გარნეტი (18+12 მოხსნა), პირსი (16), რ. ალენი (15).

**სერია: 1:3**

**ჩიკაგო-კლივლენდი 98:121**

21:24, 31:38, 24:37, 22:22

ჩ: ნოა (21+20 მოხსნა), როუზი (21+5 პასი), დენგი (16), მიურეი (11), ჰაინრიხი (10).

კ: ჯეიმსი (37+12 მოხსნა+11 პასი), ჯეიმისონი (24+7 მოხსნა), უილიამსი (19), პარკერი (12), ჰიქსონი (10).

**სერია: 1:3**

**იუტა-დენვერი 117:106**

31:25, 23:20, 32:23, 31:38

ი: ბუზერი (31+13 მოხსნა+5 პასი), უილიამსი (24+13 პასი), მაილზი (21), მეტიუზი (18+3 ჩაჭრა), მილსეპი (12+5 მოხსნა).

დ: ენტონი (39+11 მოხსნა), მარტინი (14+9 მოხსნა), ბილაპსი (14), ნენე (10+11 მოხსნა), სმიტი (10+7 მოხსნა).

**სერია: 3:1**

**სან ანტონიო-დალასი 92:89**

20:17, 17:31, 29:11, 26:30

ს-ა: ჰილი (29), ჯინობილი (17+7 პასი+4 ჩაჭრა), ჯეფერსონი (15), მაკდაესი (10+8 არლქრპრვ), პარკერი (10+5 პასი), დანკანი (4+11 მოხსნა).

დ: ნოვიცკი (17+11 მოხსნა), ბატლერი (17), მერიონი (14+7 მოხსნა), ტერი (13), კიდი (10+7 მოხსნა+5 პასი), ჰეივუდი (10+3 დაფარება).

**სერია: 3:1**

„ალკოლიზინი" ✕ „პახმელიას"

„ალკოლიზინი" უნიკალური პრეპარატია, მას სამედიცინო სფეროში ანალოგი არ გააჩნია!

„ალკოლიზინის" დახმარებით თქვენ თავიდან შეგიძლიათ აიცილოთ „პახმელიის სინდრომი", დაიცვათ ღვიძლი ალკოჰოლური გადაგვარებისაგან.

„ალკოლიზინი" დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებისგან. ალკოლიზინს გვერდითი მოვლენები და უკუჩვენებები არ გააჩნია. ალკოჰოლის მიღების წინ არ დაგავიწყდეთ „ალკოლიზინი", ის თქვენ ცხოვრებას უფრო სასიამოვნოს გახდის. გამოიყენება პროფილაქტიკის მიზნითაც 3 კვირის განმავლობაში.



მოგვაკითხეთ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №28 ან მიმართეთ „ნეოფარმის" და „ჯი პი სის" სააფთიაქო ქსელს, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში. დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე 99 00 14; 92 19 68; 893 668318; 899 21 02 32 e-mail - promoda@mail.ru nikosani8d@mail.ge

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს




## ავტოსპორტი

# კულტჰარდის დებიუტი

ფორმულა 1-ის ვეტერანმა **დევიდ კულტჰარდმა** მე-12 ადგილი დაიკავა DTM-ის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე, რომელიც ჰოკენჰაიმის ავტოდრომზე გაიმართა. სახელოვან შოტლანდიელს დებიუტი ჰქონდა ამ სარბოლო სერიაში.

სტარტის წინ დევიდი მოკრძალებულ მიზანს ისახავდა და ამბობდა, რომ მთავარი ამოცანა ფინიშზე მისვლა იყო. ბრიტანელმა შეძლო ამის გაკეთება: თუ წინასასეზონო ტესტებზე მას „მერსედესის" სარბოლო მანქანით სულ რაღაც 20 წრე ჰქონდა გავლილი, ამჯერად 39 წრე დაფარა და ფინიშზე მე-12 მივიდა, არადა სტარტი მე-17 პოზიციიდან აიღო. ასე რომ, დებიუტი წარმატებულად უნდა ჩაითვალოს.




*„სტარტის შემდეგ მანქანა საკმაოდ კარგად მუშაობდა და რამდენიმე პოზიციის მოგება შევძელი. ბრძოლა მხიარული გამოვიდა და რაც მთავარია, გარკვეული გამოცდილება მივიღე, თუმცა ჯერ ბევრი რამ მაქვს სასწავლი"*, - განაცხადა კულტჰარდმა.

გერმანელმა **რალფ შუმახერმა** მე-10 ადგილი დაიკავა, „ფორს ინდიას" ტესტპილოტი **პოლ დი რესტა** მეოთხე იყო, DTM-ის პირველი ეტაპის გამარჯვებული კი „მაკლარენის" ტესტპილოტი **გარი პაფეტი** გახდა. სხვათა შორის, პირველი ოთხი ადგილი იმ პილოტებმა დაიკავეს, რომლებიც „მერსედესის" მანქანებით გავიდნენ ტრასაზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**